

**ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული
საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC)**

GEPLAC-ი დაფუძნდა 1997 წელს. იგი წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია ევროკავშირთან საქართველოს მაქსიმალური დაახლოების ხელშეწყობა. ცენტრი კონსულტაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივ სფეროში ევროკავშირთან დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს.

პროექტის მიმდინარე მეექვსე ფაზა ხორციელდება ალტაირ ასესორს-ის (Altair Asesores), ბრიტიშ ქაუნსილ-ის (The British Council), იუროპეან სოუშალ ენდ ლიგალ ეკონომიკ პროჯექტ-ის (European Social and Legal Economic Projects – ESTEP) და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის (GFSIS) მიერ.

GEPLAC-ი ყოველკვარტალურად ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცემს ორ პუბლიკაციას – საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები და ქართული სამართლის მიმოხილვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გამოცემები ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ხორციელდება, მათი შინაარსი ასახავს მხოლოდ ავტორთა შეხედულებებს და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ევროკავშირის პოზიციად.

საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები

კვარტალური მიმოხილვა

ოქტომბერი

2007



პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები

საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები (GET) წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) კვარტალურ გამოცემას, რომლის მიზანია რეგულარულად მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს საქართველოს ეკონომიკაში არსებული ვითარების მიმოხილვა, ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობისა და ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი. GET-ი გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე. იგი ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებით.

საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები დამოუკიდებელი გამოცემაა. მასში გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ევროკავშირის, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრის თუ საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პოზიციად.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ:
ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების
ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი,
ჩიტაძის ქუჩა, 3ა, თბილისი, 0108, საქართველო.
ტელ: (095 32) 921371
ფაქსი: (095 32) 931716
ელ-ფოსტა: get@geplac.ge
www.geplac.org

სარედაქციო საბჭო:

კახა გოგოლაშვილი
მერაბ კაკულია
კრისტოფ კორდონიე
ალექსეი სეკარევი
ვლადიმერ პაპავა
ივან სამსონი

საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების ამ გამოშვებაზე მუშაობდნენ:

ლელა ბახტაძე	მთლიანი შიდა პროდუქტი და რეალური სექტორი, სახელმწიფო ფინანსები
ვონა თუთბერიძე	ფული და საბანკო საქმე, საგარეო სექტორი, ევროკავშირის და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები
ვერონიკა შნაიდერი	შრომის ბაზარი და შინამეურნეობათა ბიუჯეტები

სარჩევი

თვალსაზრისი.

“სავალუტო ფარი” “პოლანდიური სენის” ფონზე _____	7
მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები _____	9
ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები _____	13

ნაწილი I. საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

1. მთლიანი შიდა პროდუქტი და რეალური სექტორი _____	15
2. სახელმწიფო ფინანსები _____	22
3. ფული და საბანკო საქმე _____	27
4. შრომის ბაზარი და შინამეურნეობათა ბიუჯეტები _____	34
5. საგარეო სექტორი _____	39
6. ევროკავშირის და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები _____	45

ნაწილი II. ეკონომიკური ტენდენციების და პოლიტიკის ანალიზი

1. შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში: მოცულობა, სტრუქტურა, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი _____	51
---	----

*მერაბ კაკულია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების
ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC-ის)
წამყვანი მაკროეკონომიკური ექსპერტი*

2. საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები _____	61
---	----

*გიორგი ლაღანიძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

ნაწილი III. ეკონომიკური რეფორმის მიმართულებები

მარეგულირებელი ჩარჩოს დაახლოება ევროკავშირთან, როგორც ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისების მნიშვნელოვანი ფაქტორი _____	69
--	----

*კახა გოვლაშვილი,
ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების
ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC-ის)
დირექტორი*

თვალსაზრისი.

“სავალუტო ფარი” “ჰოლანდიური სენის” ფონზე

ბოლო დროს საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება დისკუსია იმის შესახებ უნდა ჩაანაცვლოს თუ არა ქვეყნის ცენტრალური ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკი, ე.წ. “სავალუტო ფარმა” (“Currency Board”)*. ამ მიზნით საქართველოს ეწვია კიდევ და ხელისუფლების საკმაოდ მაღალ ემელონებში შეხვედრები ჰქონდა ამ საკითხებში ცნობილ ამერიკელ ექსპერტს სტივ ჰენკს (Steve Hanke), რომელიც ცდილობდა საქართველოს მთავრობა დაერწმუნებინა “სავალუტო ფარის” უპირატესობებში ცენტრალური ბანკის ინსტიტუტთან შედარებით. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ძალზე მოკლედ გვინდა განვიხილოთ ის, თუ რას ნიშნავს “სავალუტო ფარი” და რისი მომტანია ის დღევანდელი საქართველოსთვის.

“სავალუტო ფარის” პარადიგმა

“სავალუტო ფარის” არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული ვალუტა ფიქსირებული კურსით ებმება რომელიმე სტაბილურ უცხოურ ვალუტას ან ვალუტათა კალათს, ხოლო მისი გაცვლა აღნიშნულ ან კალათში შემავალ ვალუტებზე ხორციელდება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე – ავტომატურ რეჟიმში. ეს უცილობლად მოითხოვს იმას, რომ ქვეყანას გააჩნდეს დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, რათა არ შეფერხდეს ფიქსირებული კურსით ვალუტების გაცვლითი ოპერაციები: როგორც წესი, სახელმწიფოს ხელთ არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები ემიტირებული ფულის 100 პროცენტზე მეტი უნდა იყოს, ეს კი უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინების სტაბილური წყაროს შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული. “სავალუტო ფარის” ინსტიტუტი წმინდა ეთიკური თვალსაზრისით მისასალმებელია, რადგანაც ის მოცემულ სფეროში სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებებს ზღუდავს.

“სავალუტო ფარის” მექანიზმის გამოყენება გამორიცხავს ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობისთვის სესხის მიცემას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მთავრობამ უარი უნდა თქვას დეფიციტურ სახელმწიფო ბიუჯეტზე, და ჰქონდეს მცირედი პროფიციტი მაინც, რათა შექმნას საგანგებო დანიშნულების ფონდები (მაგალითად, სტაბილიზაციის ფონდი). საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარ ვითარებაში კომერციული ბანკები ამკაცრებენ საკრედიტო პოლიტიკას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი უარს ამბობენ კვაზიფისკალური დეფიციტის პროექტებში მონაწილეობაზე, როცა სახელმწიფო მოუწოდებს მათ დააკრედიტონ ეკონომიკურად არამიმზიდველი პროექტები (მაგალითად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის დაკრედიტება, რუსეთის მიერ შესაბამის პროდუქციაზე დაწესებული სავაჭრო ემბარგოს პირობებში).

“სავალუტო ფარის” მექანიზმის შემოღება, როგორც წესი, მიზანშეწონილია მაშინ, როცა ქვეყანაში ძალზედ მაღალია ინფლაციის დონე, ანუ ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას, რამეთუ ერთდროულად სტაბილური გაცვლითი კურსისა და პროფიციტური (ან არადეფიციტური მაინც) სახელმწიფო ბიუჯეტის ქონა მაროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ქმედითი ინსტრუმენტია. ეს კი დადასტურებულია პრაქტიკითაც, როცა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბრაზილიაში 2700 პროცენტს მიღწეული წლიური ინფლაცია სწორედ ამ მექანიზმით მოთოკეს; 1992-1995 წლებში ესტონეთში იმავე მექანიზმით წლიური 1069-პროცენტიანი ინფლაცია 29 პროცენტზე დაიყვანეს, ხოლო ლიტვაში 1994 წელს წინა წელთან შედარებით 390.2-პროცენტიანი წლიური ინფლაცია 72 პროცენტამდე შემცირდა.

საყურადღებოა, რომ საქართველოში ჰიპერინფლაცია მხოლოდ 1993-1994 წლებში იყო, როცა თვიური ინფლაცია 50-70 პროცენტს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამაში არ იქნა გათვალისწინებული “სავალუტო ფარის” მექანიზმის შემოღება (თუმცა ეს იდეა მაშინაც არსებობდა), რადგანაც ქვეყანას არ გააჩნდა სავალუტო რეზერვების სტაბილური წყარო, ხოლო ხელისუფლებას მეტ-ნაკლებად ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის გატარების უნარი.

იმასაც უნდა გაეგვას ხაზი, რომ “სავალუტო ფარი” სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ღია ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებს (დღევანდელი საქართველო კი სწორედ ასეთია) დაიცავს სხვა ქვეყნებში მიმდინარე საფინანსო კრიზისისგან, რადგანაც ამ შემთხვევაში სტიმული ეძლევა სპეკულაციურ ოპერაციებს. ამის თვალსაზრისით მაგალითი კი 1994 წელს მექსიკური პესოს დევალვაციაა, როცა უცხოური კაპიტალის გაქცევისგან არგენტინა “სავალუტო ფარმა” ვერ იხსნა.

“სავალუტო ფარი”, როგორც ინსტიტუტი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე გარდამავალი პერიოდისთვისაა შესაფერი, და შეუძლებელია, რომ მთელს მსოფლიოში ერთდროულად იქნეს გამოყენებული, რადგანაც ამ შემთხვევაში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს მოუხდებათ ოქროს სტანდარტზე გადასვლა, რაც, საბოლოო ჯამში, ამ უკანასკნელზე ყველა სხვა ქვეყნის გადაყვანის საჭიროებას წარმოქმნის.

* ამ ტერმინის ზოგჯერ ინგლისურიდან თარგმნიდან როგორც “სავალუტო საბჭოს”, თუმცა ტერმინი “სავალუტო ფარი”, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად ასახავს მოვლენის არსს ვიდრე სხვა ტერმინები.

“ჰოლანდიური დაავადების” რეციდივები

ვარდების რევილუციის შემდეგ საქართველოს ე.წ. “ჰოლანდიური დაავადება” შეეყარა: დაიწყო დიდძალი უცხოური ვალუტის (ძირითადად, აშშ დოლარის) შემოდინება, რამაც სათავე დაუდო ეროვნული ვალუტის – ლარის გამყარების გრძელვადიან ტენდენციას*, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, უარყოფითად აისახება მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე. ამ დაავადების გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია: ფისკალური წესრიგის დამყარება ქვეყანაში, განსაკუთრებით საბაჟოზე, როცა იმპორტიორები ადრე დამალული და აშშ დოლარებში აკუმულირებული შემოსავლებიდან სახელმწიფოს გადასახადებს უხდიან ლარებში; უცხოური კაპიტალის მონაწილეობით განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ქვეყნის შიგნით ამ ოპერაციების განსახორციელებლად უცხოელებს უხდებათ უმთავრესად აშშ დოლარის კონვერსია ეროვნულ ვალუტაში. ლარის გამყარების ხელშემწყობი ფაქტორია აგრეთვე საზღვარგარეთ სამუშაოდ მყოფი ქართველი მიგრანტების ფულადი გზავნილები (როგორც წესი, აშშ დოლარებში, რომლებიც მიმდინარე ხარჯების განსახორციელებლად ლარებში გადაიყვანება).

ცნობილია, რომ “სავალუტო ფარი” ერთობ მოუქნელია ამა თუ იმ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის რეალური გაძვირების მიმართ. სხვათა შორის, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც თავის დროზე აღნიშნული მექანიზმი საქართველოში არ გამოიყენეს, რადგანაც, მოელოდნენ რომ, ფინანსურ სტაბილიზაციას ლარის რეალური გაძვირება მოჰყვებოდა, რაც ნაწილობრივ მოხდა კიდევ, მაგრამ ეს არ იყო “ჰოლანდიური დაავადება.”

“ჰოლანდიური დაავადებით” გამოწვეული ლარის გამყარების პროცესის შეფერხების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი პერმანენტულად ყიდულობს ქვეყანაში შემოსულ აშშ დოლარებს. ეს ოპერაცია, ერთი მხრივ, ზრდის ეროვნული ბანკის რეზერვებს და შედარებით “ნარნარს” ხდის ლარის გამყარებას, მაგრამ იმავდროულად ლარის დამატებითი მასის ბრუნვაში გაშვებით ხელს უწყობს ინფლაციას. ამგვარ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პროფიციტური იყოს, რაც ინფლაციის მოთოკვის ქმედით მექანიზმად უნდა იქცეს. სინამდვილეში კი, სახელმწიფო ბიუჯეტი კვლავ დეფიციტურია, ხოლო ცალკეული ხარჯების ზრდა ინფლაციას კიდევ უწყობს ხელს.

მაინც რას გვიქადის “სავალუტო ფარი”?

უცხოური ვალუტის მსხვილი ნაკადების შემოდინება, რასაც თან სდევს “ჰოლანდიური დაავადება,” ერთი შეხედვით, “სავალუტო ფარის” რეჟიმის ამოქმედების წინაპირობას ქმნის, რადგან უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინება ზრდის სახელმწიფოს ხელთ არსებულ სავალუტო რეზერვებს. თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობა არა მარტო შეუძლებელს ხდის “სავალუტო ფარის” შემოღებას, არამედ ჰოლანდიური დაავადების გამწვავებასაც უწყობს ხელს. და თუ “სავალუტო ფარს” მაინც შემოვიღებთ, მაშინ ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ლარის სულ უფრო მეტი ოდენობით ემისია იქნება საჭირო, რაც ინფლაციას კიდევ უფრო გააღრმავებს.

იმ შემთხვევაში კი, თუ “ჰოლანდიური დაავადების” ზემოქმედებით მიზეზები შესუსტდა ან საერთოდ გაქრა, მაშინ საქართველოს მწირი საექსპორტო პოტენციალისა და რუსეთის მიერ დაწესებული სავაჭრო ემბარგოს გათვალისწინებით, ხსენებული სავალუტო რეზერვი მყისიერად დაიცლება, რაც მძიმე საფინანსო კრიზისის მიზეზი გახდება.

აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მთავრობა, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური, ხოლო ცენტრალური ბანკი კი პროფესიული ორგანოა. სწორედ ამიტომ აქვს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას დაცვის ბევრად მეტი გარანტია, ხოლო მთავრობა კი პოლიტიკური სიტუაციის ნებისმიერი გამწვავების შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, ზომიერი ინფლაციის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტის მხოლოდ უმთავრესად პოლიტიკური ორგანოს – მთავრობის პასუხისმგებლობაზე გადატანა (რაც “სავალუტო ფარის” ინსტიტუტის პრინციპული მოთხოვნაა), პოლიტიკური ხასიათის საფრთხეებთანაა დაკავშირებული.

ვლადიმერ პაპავა
სარედაქციო საბჭოს წევრი

* ასლამაზიშვილი, ნ., “ჰოლანდიური დაავადება” საქართველოს ეკონომიკაში: არსებული რეალობა და შესაძლო საფრთხეები, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი 2006; Papava, V., *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Georgia*. In *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West*. Eds. S. Frederick Starr, and Svante E. Cornell. Uppsala, Uppsala University, 2005, pp. 90-96, online http://www.silkroadstudies.org/BTC_5.pdf

მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები

3 ივლისი

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების საკითხებს მიეძღვნა მაღალი დონის **საერთაშორისო კონფერენცია**, რომელიც 3-4 ივლისს ბათუმში გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის წევრებმა, ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, მათ შორის ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმას პაეტმა და ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებმა; აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ “ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ ევროპული ცენტრი” – GEPLAC-ი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი. საქართველომ და ევროკავშირმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას გასული წლის ოქტომბერში მოაწერეს ხელი. სამოქმედო გეგმა 5 წელზეა გათვლილი და მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ მიმართულებებს.

3 ივლისი

პარლამენტმა მესამე მოსმენით, 110 ხმით 1-ის წინააღმდეგ დაამტკიცა **კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების (თიზ) შესახებ**. ასეთი ზონა შესაძლოა შეიქმნას 10 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მისივე ან იურიდიული და კერძო პირების ინიციატივის საფუძველზე. ზონაში მოქმედი უცხოური კომპანიები თავისუფლდებიან მოგებისა და ქონების გადასახადისგან. ამასთან, მათ მიერ განხორციელებული ოპერაციები არ დაიბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან საქონლის იმპორტი დანარჩენ საქართველოში თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. კანონი ძალაშია 1 სექტემბრიდან. თიზ-ის შექმნა იგეგმება პორტებსა და აეროპორტებში ფოთში, თბილისსა და ბათუმში.

6 ივლისი

ჩეხური კომპანია ენერგო-პრო-ს საკუთრებაში ოფიციალურად გადავიდა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აქტივები, რაც ქვეყნის ენერგოგაზაბანაწილებელი ქსელის 60 პროცენტზე მეტია. ენერგო-პრო-ს გადაეცა აგრეთვე ექვსი ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე საათში 350 მეგავატზე მეტს შეადგენს. 132 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ნასყიდობის ხელშეკრულებას ჩეხურ კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის თებერვალში მოეწერა ხელი. სამი წლის განმავლობაში ენერგო-პრო 85 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს ჰესების, 15 მილიონი აშშ დოლარის – კი დისტრიბუციის მოდერნიზაციაში. გარდა ამისა, კომპანიას დაეგეგმილი აქვს საათში 100 მეგავატის სიმძლავრის მქონე ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

11 ივლისი

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, იმ პირებს და ორგანიზაციებს შორის, რომელთაც **ქონება აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რეგიონში** შეიძინეს, არიან რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურები, გუბერნატორი, ფინანსური მაგნატი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი. სიაში სულ 31 ობიექტია შესული – ძირითადად აგარაკები, სანატორიუმები და სასტუმროები, რომლებიც ცოტა ხნის წინ აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გაყიდა. ამავე დოკუმენტის თანახმად, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო გაგრაში, სოხუმში და გუდაუთაში სამი აგარაკის მფლობელია, ხოლო გაგრაში ორი სანატორიუმში აქვს იჯარით აღებული. რუსეთის ალუმინის მაგნატი ოლეგ დერიპასკა “ხოლოდნაია რეჩკას” – სტალინის ყოფილი აგარაკის მფლობელია. რუსეთის კრასნოდარის მხარის გუბერნატორს ალექსანდრე ტაჩიოვს გაგრაში “ბერიას აგარაკად” ცნობილი საზაფხულო ვილა ეკუთვნის. რუსეთის ატომური ენერჯის სააგენტოს (როსატომის) ხელმძღვანელი სერგეი კირიენკო, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს რუსეთის პრემიერ-მინისტრი იყო, აფხაზეთში ორ ღვინის ქარხანას ფლობს. საქართველოს ხელისუფლებამ გააფრთხილა რუსეთი, რომ არ ჩადოს ინვესტიციები თვითგამოცხადებულ რეგიონში. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ის აპირებს სთხოვოს უცხოურ ბანკებს დახუროს იმ რუსული ფირმების და ფიზიკური პირების ანგარიშები, რომელთაც აფხაზეთში ქონება შეიძინეს.

14 ივლისი

ფოთის პორტის იჯარით გაცემისა და მიმდებარე ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის მიზნით ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ **საერთაშორისო კონკურსი** გამოაცხადა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესაქმნელად შეთავაზებულია 400 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც პირდაპირ ესაზღვრება პორტს და მიუყვება ზღვის სანაპიროს. პორტის იჯარის სავარაუდო ხანგრძლივობა 49 წელია. კონკურსის პირობების თანახმად, ინვესტორმა უნდა განავითაროს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოს ზონაში ინვესტიციების მოზიდვა. გაერთიანებული არაბული საამიროების კომპანიამ რაკინი

დეველოპმენტმა, რომელსაც რასელ ზაიმას საამირო მართავს, უკვე გამოხატა ინტერესი. აღნიშნულ კომპანიას საქართველოში 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით ინვესტიციები აქვს დაგეგმილი.

18 ივლისი

სარეიტინგო კომპანია **Fitch-მა საქართველოს “BB -” რეიტინგი მიანიჭა**. კომპანიის განცხადებით, რეიტინგი ასახავს სახელმწიფო ვალის შემცირებას, მშპ-ის ტემპის სწრაფ ზრდას, შთამბეჭდავ სტრუქტურულ რეფორმებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მატებას და ძლიერ საერთაშორისო ფინანსურ მხარდაჭერას. გასული წლების რეიტინგებთან შედარებით ბოლო რეიტინგი გაუმჯობესებულია. 2005 წლის დეკემბერში სარეიტინგო სააგენტომ Standard & Poor's-მა საქართველოს გრძელვადიანი “B+” და მოკლევადიანი “B -” “დადებითი” რეიტინგი მიანიჭა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ, 2006 წლის ნოემბერში, შეცვალა თავისი შეხედულება საქართველოზე “დადებითიდან” “სტაბილურზე”. რეიტინგის დაქვეითების მოტივად მხარდი გეოპოლიტიკური რისკი, მათ შორის რუსეთთან დაძაბულობა დასახელდა. საკრედიტო რეიტინგის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების “შთამბეჭდავმა” მატებამ. ამასთან, საქართველომ მნიშვნელოვნად შეამცირა საგარეო ვალის მოცულობა. Fitch-ის განცხადებით, რეიტინგის ზრდას აფერხებს შემოსავლების ზომიერი დონე, საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მხარდი დეფიციტი და შეზღუდული ეკონომიკური ბაზა.

25 ივლისი

მთავრობის გასვლით სხდომაზე **100 ახალი აგროსაწარმოს პროექტის პრეზენტაცია** შედგა, რომლის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ექსპორტის ხელშეწყობა. პროგრამის მიხედვით, 400-500 ჰა ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის 100 ნაკვეთი ინვესტორებს, კონკურენტული შერჩევის გზით, გადაეცემათ სოფლის მეურნეობის საწარმოს შექმნის ვალდებულებით. საწარმო უნდა შეიქმნას 1 წლის განმავლობაში. დამატებითი სტიმულირების მიზნით, მიწის ნაკვეთში ინვესტორი მისი ღირებულების მხოლოდ 20 პროცენტს გადაიხდის. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ პროგრამის ამოქმედების შედეგად 100 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. 2005 წლიდან სოფლის მეურნეობის სექტორში 108 ახალი საწარმო ამუშავდა.

30 ივლისი

ბათუმის აეროპორტი 20 წლით მართვის უფლებით თურქულ კომპანიას TAV Batumi Operation გადაეცა. თურქული კომპანია მართვის უფლების სანაცვლოდ სიმბოლურ ფასს 1 აშშ დოლარს გადაიხდის. კომპანიას მოუწევს ბათუმის აეროპორტის დავალიანების დაფარვა, მათ შორის 2011-2016 წლებისთვის რესტრუქტურისებული 1.4 მილიონი ლარის გადახდაც; თუმცა, აეროპორტის საქმიანობიდან მიღებული მთელი მოგება კომპანიას დარჩება. TAV Batumi Operation-მა ვალდებულება აიღო თანამშრომელთა 85 პროცენტი საქართველოს მოქალაქეებით დააკომპლექტოს. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ექსპლოატაციაში 26 მაისს შევიდა. აეროპორტის მშენებლობაში თურქულმა კომპანიამ TAV Urban Georgia-მ 28.5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ამავე კომპანიამ ააშენა თბილისის საერთაშორისო აეროპორტიც.

31 ივლისი

საქართველოს **ეროვნულმა ბანკმა HSBC-ს საქართველოში საბანკო საქმიანობის ლიცენზია მისცა**. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა სააქციო საზოგადოება HSBC Georgia-ს გენერალურ დირექტორს სტივენ ბენეტს პირადად გადასცა ლიცენზია. HSBC Georgia, რომლის სათავე ოფისიც თბილისში, რუსთაველის გამზირზე განთავსდება, კლიენტების მომსახურებას ნოემბერში დაიწყებს. ეროვნული ბანკის შეფასებით, მსოფლიოში უდიდესი საფინანსო ჰოლდინგის შემოსავლა ინვესტორთა მხრიდან საქართველოსადმი მხარდი ინტერესზე მიუთითებს.

2 აგვისტო

2007 წლის პირველ შვიდ თვეში **საბიუჯეტო შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი – 2.9 მილიარდი ლარი, 163 მილიონი ლარის გადაჭარბებით შესრულდა. იანვარ-ივლისის განმავლობაში მობილიზებულია 3.1 მილიარდი ლარი, რაც 42.4 პროცენტით აღემატება 2006 წლის შესაბამის პერიოდში მობილიზებულ თანხებს. პარლამენტმა ივნისში ბიუჯეტის 600 მილიონი ლარით ზრდას დაუჭირა მხარი, რითაც ხარჯვითი ნაწილი 4.6 მილიარდი ლარი გახდა.

29 აგვისტო

სექტემბრიდან საქართველოს რეგიონების **მოსახლეობა პენსიებს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მიიღებს**. შესაბამისი დადგენილება 29 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე იქნა მიღებული. ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, ის პირები, რომლებსაც მუშაობის 25 წლის სტაჟზე მეტი გააჩნიათ, 38 ლარის ნაცვლად 48 ლარს მიიღებენ. უფრო ნაკლები სტაჟის მქონე პირები დანამატის სახით 4 და 7 ლარს მიიღებენ. თბილისის მოსახლეობაზე პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გაცემა გასული წლის სექტემბრიდან დაიწყო.

6 სექტემბერი

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ **განახლებული მთავრობის ახალი პროგრამა** შედეგებზეა ორიენტირებული: მთავრობას აქვს ძალიან კონკრეტული გეგმა, რომ მომავალი წლის ბოლოსთვის შეიქმნას სულ ცოტა **100 ახალი აგრო-გადამამუშავებელი საწარმო**. მთავრობამ წარმოადგინა **100 ახალი საავადმყოფოს გეგმა**, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციების მოზიდვას ახალი საავადმყოფოების და ამბულატორიების მშენებლობის მიზნით, საერთო ჯამში **7800 საწოლი** ადგილზე. პრეზიდენტის განცხადებით, **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება** დაეხმარება **ტურიზმის განვითარებას**. "ჩვენ უნდა განვაავითაროთ ტურისტული ინფრასტრუქტურა და გზები უნდა გაუკეთოთ **200 დიდ სოფელს**" – აღნიშნა მან. პრეზიდენტის თქმით, **განათლების რეფორმის "შემდეგი ეტაპია** ხალხი სპეციალიზაციის მიხედვით მოვამზადოთ". მისი თქმით, ქვეყანას სჭირდება მეტი ტექნიკური სკოლა და "უამრავი ფარმაცევტი, მშენებელი, სერვისის სპეციალისტი, მღაროს ინჟინერი და ბევრი სხვა პროფესიის წარმომადგენელი." ასევე იგეგმება **400 სკოლის რეაბილიტაცია საქართველოს მასშტაბით და მათი აღჭურვა კომპიუტერებით**. "სკოლების სრულ კომპიუტერიზაციას მომავალ წელს ვამთავრებთ და ოც ბავშვზე ერთი კომპიუტერი იქნება გათვლილი. შემდეგ გადავალთ სისტემაზე, რომელიც თითოეული ბავშვისთვის თითო პატარა კომპიუტერს ითვალისწინებს," განაცხადა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, **მთავრობის ამბიციაა, რომ მიაღწიოს 13-15-პროცენტთან ეკონომიკურ ზრდას**. მისი თქმით, ხელისუფლების ამოცანაა მოიზიდოს **2 მილიარდი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია** და "საქართველო, ბიზნეს-გარემოს მხრივ, მსოფლიოს ქვეყნების პირველ ოცეულში შევიყვანოთ. **"საკუთრების უფლების დაცვა"** ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედაა", განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა იმ პრეტენზიებზე გამოსხმურების მიზნით, რომელიც ხელისუფლების მიმართ ხშირად გაისმის საკუთრების უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით. თუმცა, მან იქვე დასძინა, რომ საკუთრების უფლება არ იქნება დაცული, როდესაც საქმე ეხება ფართო საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, როდესაც საუბარია უკანონოდ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე სკვერებში ან დასასვენებელ პარკებში.

11 სექტემბერი

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, **2007 წლის ბიუჯეტის დაგეგმილი 430 მილიონი ლარით ზრდა** კიდევ უფრო ინტენსიურს გახდის ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებს. "დღეს ქვეყანაში ისედაც **ძალადი ინფლაციაა** და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ პრივატიზაციის თანხებით არ მოხდეს ბიუჯეტის ხარჯების ზრდა," განაცხადა ვლადიმერ პაპავამ. მის შეფოთებას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ნაწილობრივ დაეთანხმნენ ეროვნული ბანკის წარმომადგენლები. თუმცა ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ "ეს არანაირ პრობლემას არ გამოიწვევს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ერთობლივი მოქმედების შემთხვევაში". ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ წელს ინფლაციის დონე 8 პროცენტზე დაბალი იქნება.

13 სექტემბერი

ქართულმა ინტერნეტ-პროვაიდერმა კავკაზუს ონლაინმა და აშშ-ში განთავსებულმა Tyco Telecommunications-მა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ფოთსა და ბულგარეთის ქალაქ ვარნას შორის **1100-კილომეტრი სიგრძის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანას** შავი ზღვის ფსკერზე. სისტემა ინტერნეტის ქართულ ბაზარს აღნიშნული კაბელის საშუალებით დასავლეთ ევროპის ბაზართან დააკავშირებს. ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გამტარობა **1.3 ტერაბიტი** იქნება, რაც საგრძობლად გაუმჯობესებს ინტერნეტის მიწოდების ხარისხს საქართველოში. "ეს არის ყველაზე მაღალი გამტარიანობის მქონე თანამედროვე მაგისტრალი, რომლის მეშვეობითაც საქართველო რუსეთის და თურქეთის გვერდის ავლით ჩაერთვება ინტერნეტში. როცა ეს პროექტი დასრულდება და შავი ზღვის ფსკერზე კაბელი გაივლის, ჩვენ შეგვეძლება ინტერნეტით არა მხოლოდ საქართველო, არამედ აზერბაიჯანი, სომხეთი და მთელი შუა აზია მოვამარაგოთ," განაცხადა კავკაზუს ონლაინის აღმასრულებელმა დირექტორმა. მისი თქმით, პროექტის განხორციელებაში **75 მილიონი აშშ დოლარის** ინვესტიცია ჩაიღება. სისტემის ექსპლოატაციაში გაშვება **2008 წლის** შემოდგომაზე იგეგმება.

14 სექტემბერი

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე **2007 წლის ბიუჯეტის 431 მილიონი ლარით ზრდის კანონპროექტი** განიხილეს მას შემდეგ, რაც მთავრობამ საკომიტეტო მოსმენების დროს გამოთქმული დეპუტატების შენიშვნების ნაწილი გაითვალისწინა. კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები – **4.7 მილიარდი ლარი**, ხარჯები კი **5.1 მილიარდი ლარი** გახდება. უცვლელი რჩება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ოდენობა, რომელიც **374.2 მილიონ ლარს** შეადგენს. ხარჯებში ლომის წილი თავდაცვის სამინისტროზე მოდის – **316 მილიონი ლარი**. შედეგად, თავდაცვის დაფინანსება **2007 წელს 1.271 მილიარდ ლარს** გადააჭარბებს. ეს თანხა ბიუჯეტის მთლიანი ხარჯებით ნაწილის **22 პროცენტს**, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) **7 პროცენტზე** მეტს შეადგენს. დანარჩენი საბიუჯეტო ხარჯები შემდეგნაირად გადანაწილდება: შინაგან საქმეთა სამინისტრო – **51 მილიონი ლარი**, საიდანაც **11.5 მილიონი** სასაზღვრო პოლიციას, ხოლო **125**

ათასი ლარი კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მოხმარდება; იუსტიციის სამინისტრო – სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის – 11.8 მილიონი ლარი; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2007 წლის რთველის ღონისძიებებისთვის – 5.5 მილიონი ლარი; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო – 4.7 მილიონი ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისია – 3 მილიონი ლარი; სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია - 767 ათასი ლარი; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები – 40 მილიონი ლარი.

26 სექტემბერი

“კორუფციის აღქმის ინდექსის” 2007 წლის შედეგების მიხედვით, წელს საქართველოს მაჩვენებელი 10-ქულიან შკალაზე 2.8-დან 3.4-მდე გაუმჯობესდა. 180 ქვეყნიდან მან 79-ე ადგილი დაიკავა. კვლევის განმარტებული ორგანიზაცია “საერთაშორისო გამჭვირვალობა” აღნიშნავს, რომ ქვეყნის საჯარო სექტორის სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმაა განსახორციელებელი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსთვის მინიჭებული ქულა 3-ს (“ვარდების რევოლუციამდე” 1.8 ქულა იყო) გადასცდა, მიიჩნევა, რომ საქართველო გამოვიდა იმ ქვეყნების სიიდან, სადაც კორუფცია უპირველესი და დაუძლეველი პრობლემაა.

26 სექტემბერი

საქართველოს ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნებს შორის მე-18 ადგილი უკავია, ნათქვამია მსოფლიო ბანკის ანგარიშში “ბიზნესის კეთება 2008”. გასულ წელს საქართველოს 37-ე ადგილი ეკავა. ანგარიშში აფასებს ბიზნესგარემოს 178 ქვეყანაში, რომელთა შორის პირველი 25 ადგილი შემდეგნაირად გადანაწილდა: სინგაპური, ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, ჰონგკონგი, დანია, გაერთიანებული სამეფო, კანადა, ირლანდია, ავსტრალია, ისლანდია, ნორვეგია, იაპონია, ფინეთი, შვედეთი, ტაილანდი, შვეიცარია, ესტონეთი, საქართველო, ბელგია, გერმანია, ჰოლანდია, ლატვია, საუდის არაბეთი, მალაიზია და ავსტრია. გასულ წელს საქართველო მთავარი რეფორმატორი ქვეყანა იყო, ხოლო წელს მან, ამ მხრივ, მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა ეგვიპტის, ხორვატიის, განას და მაკედონიის შემდეგ.

27 სექტემბერი

საქართველო შესაძლოა მომავალი წლიდან მხოლოდ აზერბაიჯანული ბუნებრივი აირით მომარაგდეს, განაცხადა ბაქოში ვიზიტად მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, თუმცა გაზის ღირებულების შესახებ საუბრისგან მან ამ ეტაპზე თავი შეიკავა. აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გაზის ფასი საგრძნობლად არ შეიცვლება, თუმცა ამ საკითხზე საბოლოო შეთანხმება მომავალ წელს იქნება მიღწეული. გავრცელებული ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან შემოსული ბუნებრივი აირის ფასი 1000 კუბურ მეტრზე შესაძლოა 120 აშშ დოლარის ნაცვლად, 180 აშშ დოლარი გახდეს.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

		2001	2002	2003	2004	2005	2006	2007 6 თვე
მშპ და რეალური სექტორი								
ნომინალური მშპ	მლნ ლარი	6674.0	7456.0	8564.1	9824.3	11621.0	13783.9	7506.9
რეალური მშპ	მლნ ლარი, 1996	4839.9	5104.8	5669.3	6001.4	6577.5	7192.6	3710.8
ნომინალური მშპ ერთ სულზე	ლარი	1516.3*	1705.6*	1972.1*	2276.7*	2689.1*	3131.8*	1708.1
	აშშ დოლარი	731.8*	777.3*	919.0*	1187.6*	1483.5*	1762.9*	1006.9
რეალური მშპ ერთ სულზე	ლარი, 1996	1099.6*	1167.8*	1305.5*	1390.8*	1522.0*	1634.2*	844.4
მშპ სექტორების მიხედვით								
მრეწველობა	% ნომინალური მშპ-დან	16.6	17.6	17.7	16.1	15.7	14.9	13.3
სოფლის მეურნეობა	% ნომინალური მშპ-დან	21.0	19.2	19.3	16.4	14.8	11.3	10.2
მშენებლობა	% ნომინალური მშპ-დან	3.9	5.1	6.4	8.1	8.1	6.9	6.1
რეალური მშპ-ის ზრდა	% წინა წელთან	4.8	5.5	11.1	5.9	9.6	9.4	12.5
რეალური ზრდა სექტორებში								
მრეწველობა	% წინა წელთან	-2.5	8.4	7.7	4.1	11.5	15.9	13.0
სოფლის მეურნეობა	% წინა წელთან	8.2	-1.4	10.3	-7.9	12.0	-9.6	-0.1
მშენებლობა	% წინა წელთან	10.3	43.1	46.6	35.9	14.1	9.8	9.5
ფასების ინდექსები								
მშპ-ის დეფლატორი	1996=100	137.5	145.8	150.6	162.8	175.6	190.5	201.0
სამომხმარებლო ფასები (საშუალო წლიური)	2000=100	104.7	110.5	115.8	122.4	132.5	144.7	154.7
მწარმოებელთა ფასები (საშუალო წლიური)	2000=100	103.6	110.8	113.9	119.2	128.0	142.0	151.0
ინვესტიციები								
ძმმფ ¹	% ნომინალური მშპ-დან	27.2	24.5	26.7	27.5	28.1	25.6	26.8
წმინდა უპი ²	მლნ აშშ დოლარი	109.9	156.1*	330.9*	482.8*	542.3*	1075.6*	642.7
შრომის ბაზარი და ხელფასი								
მოსახლეობა	მლნ	4.60	4.57	4.54	4.52	4.52	4.40	-
სამუშაო ძალა	მლნ	2.11	2.10	2.05	2.04	2.02	1.97	2.02
უმუშევრობის დონე	%	11.1	12.6	11.5	12.6	13.8	13.6	14.9
საშუალო ნომინალური ხელფასი	ლარი	82.6	99.1	101.5	116.4	149.3	190.2	225.2
	% წინა წელთან	13.9	20.0	2.4	14.7	28.3	27.4	25.0
ცხოვრების დონე ***								
სიღარიბის დონე		51.1	52.1	54.5	24.6	24.1	23.3	-
სიღარიბის სიღრმე		19.3	19.8	21.1	8.1	7.6	7.2	-
სიღარიბის სიმწვავე		9.9	10.3	11.2	4.0	3.6	3.3	-
ეროვნული ანგარიშები								
შინამეურნეობათა მოხმარება	% ნომინალური მშპ-დან	78.6	77.0	71.6	72.8	66.4	78.4	76.2
სახელმწიფო მოხმარება	% ნომინალური მშპ-დან	9.6	9.8	9.8	14.0	17.3	15.4	19.4
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	% ნომინალური მშპ-დან	28.3	25.5	27.7	28.3	28.6	26.7	27.6
წმინდა ექსპორტი	% ნომინალური მშპ-დან	-14.4	-13.2	-14.6	-16.6	-17.8	-24.2	-24.0
სახელმწიფო ფინანსები								
შემოსავლები	მლნ ლარი	740.3	816.1	956.0	1773.0	2607.5	3773.2	2072.2
ხარჯები	მლნ ლარი	906.4	1040.7	1118.5	1923.6	2616.5	3821.4	2048.7
დეფიციტი (-) / პროფიციტი (+)	მლნ ლარი	-166.1	-224.6	-162.5	-150.6	-9.0	-48.2	+23.5
დეფიციტის დაფინანსება								
საშინაო	% დეფიციტიდან	13.5	40.0	31.9	11.0	398.0	-256.0	-
საგარეო	% დეფიციტიდან	86.5	60.0	68.1	89.0	-298.0	356.0	-
სახელმწიფო ვალი	მლნ ლარი	4449.5	4843.3	4608.0	4306.6	4076.1	3855.4	4352.2
საშინაო ვალი	% მთლიანი ვალიდან	33.5	31.4	34.0	36.6	37.7	39.2	34.7
საგარეო ვალი	% მთლიანი ვალიდან	66.5	68.6	66.0	63.4	62.3	60.8	65.3
მონეტარული ინდიკატორები								
M2 (წლის ბოლოს)	მლნ ლარი	403.8	462.3	527.4	846.1	1069.9	1389.2	1655.8
ფულის ბრუნვის სიჩქარე (M2)		17.89	17.78	16.23	11.78	10.83	9.90	11.35
სადეპოზიტო განაკვეთი ****	წლიური %	11.1	11.4	10.6	9.5	8.7	8.1	8.8
საკრედიტო განაკვეთი *****	წლიური %	24.0	23.1	21.6	20.2	17.9	18.0	17.2
სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი	წლიური %	29.93	43.42	44.26	19.66	12.57	-	-

		2001	2002	2003	2004	2005	2006	2007 6 თვე
საგადამხდელი ბალანსი								
მიმდინარე ანგარიში	მლნ აშშ დოლარი	-211.4	-207.2**	-375.6**	-344.3**	-700.7**	-1154.1**	-806.7
კაპიტალის ანგარიში	მლნ აშშ დოლარი	-5.2	18.4	19.9	40.8	58.6	170.9	52.1
ფინანსური ანგარიში	მლნ აშშ დოლარი	187.8**	181.9**	369.5**	302.9**	623.2**	924.8**	702.1
წმინდა შეცვლილებები და გამოტოვებები	მლნ აშშ დოლარი	44.8	6.9**	-13.8**	1.5**	18.8**	58.4**	52.6
მთლიანი ბალანსი	მლნ აშშ დოლარი	0.0**	0.0**	0.0**	0.0**	-0.1**	0.0**	0.1
საგარეო ეკონომიკური პოზიცია								
მთლიანი საერთაშორისო რეზერვები	მლნ აშშ დოლარი	161.9	202.2	196.2	386.6	478.6	930.8	1220.7
	იმპორტის თვეებში	1.9*	2.2*	1.6*	2.3	2.1*	3.0*	3.5
გაცვლითი კურსი (საშუალო წლიური)	აშშ დოლარი/ლარი	2.0723	2.1945	2.1459	1.9168	1.8126	1.7766	1.6980
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (პერიოდის ბოლოს)	%, დეკემბერი 1995=100	108.2	102.7	94.9	107.0	110.3	109.4	111.1
ვაჭრობის პირობები (წლის ბოლოს)	1995=100	97.8	96.0	77.0	72.0	75.0	-	-
საგარეო ვალის წმლ ³	% ნომინალური მშპ-დან	36.8	36.6	39.6	28.3	22.9	19.8	-
საგარეო ვალის მომსახურება	% მთლიანი ექსპორტიდან	6.3	5.0	4.6	6.5	5.1	6.0	-

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი; საქართველოს ეროვნული ბანკი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და IMF

შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები

** შესწორებული მონაცემები

*** 2000-2003 წლებში მოსახლეობის სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე გაანგარიშებულია ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ, 2004-2006 წლებში კი – მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ

**** საპროცენტო განაკვეთი ვადიან დეპოზიტებზე ასახავს საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ვადიან დეპოზიტებზე

***** საკრედიტო განაკვეთი ასახავს საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მოკლე (ერთ წლამდე) და გრძელვადიან (ერთ წელზე მეტი) სესხებზე

შემოკლებები: 1. მსმფ-ძირითადი საშუალებების მთლიანი ფორმირება

2. უპი-უცხოური პირდაპირი ინვესტიციები

3. წმლ-წმინდა მიმდინარე ღირებულება

საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირი-25-თან შედარება

	საქართველო							ევროკავშირი -25
	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2006
რეალური მშპ-ის ზრდა, % წინა წელთან	1.8	4.8	5.5	11.1	5.9	9.6	9.4	2.9*
მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, ევრო)	-	-	-	2308.0	2331.0	2627.8	2933.2	21353.1 ¹
ნომინალური მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	689.8*	731.8*	777.3*	919.0*	1187.6*	1483.5*	1762.9*	30899.1
ინფლაცია (საშუალო წლიური)	4.0	4.7	5.6	4.8	5.7	8.2	9.2	2.2
წლის ბოლოს	4.6	3.4	5.4	7.0	7.5	6.2	8.8	-
საკრედიტო განაკვეთი (საშუალო წლიური) ²	25.3	24.0	23.1	21.6	20.2	17.9	18.0	5.1 ³
ფისკალური ბალანსი, % მშპ-თან	-3.2	-2.5	-1.9	-3.2	-2.3	-0.1	-0.3	-1.6*
სახელმწიფო ვალი, % მშპ-თან	69.4	66.7	65.0	53.8	43.8	35.1	28.0	61.9*
მათ შორის:								
საშინაო ვალი	24.8	22.3	20.4	18.3	16.0	13.2	11.0	-
საგარეო ვალი	44.6	44.4	44.6	35.5	27.8	21.9	17.0	-
მიმდინარე ანგარიში, % მშპ-თან	-5.3	-6.6	-6.1*	-9.4	-6.7	-10.9*	-14.9*	-0.6 ⁴
წმინდა უპი (მლნ აშშ დოლარი)	131.7	109.9	156.1*	330.9*	482.8*	542.3*	1075.6*	-98122.0 ⁵
ცნობისთვის:								
ნომინალური მშპ								
მლნ ლარი	6043.1	6674.0	7456.0	8564.1	9824.3	11621.0	13783.9	-
მლნ აშშ დოლარი	3059.2*	3220.8*	3398.1*	3990.8	5124.7*	6411.0*	7758.9*	14418169.0*
მლნ ევრო	3310.7	3594.0	3591.2	3523.7	4119.0	5139.2	6183.1	11461184.7*
გაცვლითი კურსი (საშუალო წლიური):								
ლარი/აშშ დოლარი	1.9759	2.0723	2.1945	2.1459	1.9168	1.8126	1.7766	-
ევრო/აშშ დოლარი	0.9238	0.8961	0.9461	1.1326	1.2443	1.2444	1.2580	1.2580

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი; საქართველოს ეროვნული ბანკი; World Bank; IMF; European Central Bank და Eurostat

შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები

¹ EU 23 (კვიპროსისა და მალტის გარეშე)

² საქართველოს მონაცემები ასახავს საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მოკლე (ერთ წლამდე) და გრძელვადიან (ერთ წელზე მეტი) სესხებზე, ევროკავშირის მონაცემი კი ასახავს განაკვეთებს ევროზონაში შემავალ მხოლოდ 12 ქვეყანაში (ევროკავშირი 12) ევროში ერთ წლამდე ვადით გაცემულ ახალ კრედიტებზე

³ 2006 წლის დეკემბერი

⁴ 2005 წელი

⁵ წინასწარი შეფასება

ნაწილი I. საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

1. მთლიანი შიდა პროდუქტი და რეალური სექტორი

ცხრილი 1: ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი

	ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	შრომის ანაზღაურების წილი(%)	საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლის წილი (%)	წარმოებასა და იმპორტზე წმინდა გადასახადების წილი(%)	მშპ-ის დეფლატორი (1996=100)	რეალური მშპ (1996 წლის ფასებში, მლნ ლარი)	რეალური მშპ-ის ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	რეალური მშპ ერთ სულზე (1996 წლის ფასებში, ლარი)
2000	6043.1	27.6	64.9	7.5	130.5	4618.0	1.8	1041.2**
2001	6674.0	25.2	66.9	7.9	137.5	4839.9	4.8	1099.6**
2002	7456.0	22.3	69.6	8.2	145.8	5104.8	5.5	1167.8**
2003	8564.1	20.3	72.1	7.6	150.6	5669.3	11.1	1305.5**
2004	9824.3	20.7	73.4**	9.9	162.8	6001.4	5.9	1390.8**
2005	11621.0	16.9	70.8**	12.2	175.6	6577.5	9.6	1522.0**
Q 1	2508.7	15.8	72.6**	10.8	176.2	1416.1	8.6	327.7
Q 2	2824.0	16.7	70.5**	12.0	171.6	1636.4	10.1	378.0
Q 3	3032.9	16.7	70.7**	12.7	173.1	1742.7	12.6	403.3**
Q 4	3255.4	18.0	69.6**	13.1	181.7	1782.3	7.2	412.4**
2006	13783.9	16.5	69.9**	13.5**	190.5	7192.6	9.4	1634.2**
Q 1	2834.5	17.1	70.5**	12.4**	183.7	1534.7	8.4	348.7
Q 2	3354.4	17.7	68.3**	14.0**	189.1	1764.7	7.8	401.0**
Q 3	3625.0	15.7	70.1	14.1	189.0	1907.6	9.5	433.4**
Q 4	3970.0	16.2	70.5	13.3	200.2	1985.5	11.4	451.1**
2007								
Q 1	3409.1	17.6**	67.7**	14.7	198.3	1709.2	11.4	388.9
Q 2*	4097.4	18.2	66.8	15.1	203.7	2001.6	13.4	455.5

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * წინასწარი შეფასება


** დაზუსტებული მონაცემები

საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვანი გადიდების, საინვესტიციო ნაკადებისა და საგარეო მოთხოვნის მატების შედეგად საანალიზო პერიოდში გაგრძელდა წლიურ გამოსახულებაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) მაღალი ტემპით ზრდის ტენდენცია. შინამეურნეობათა მხრიდან მოთხოვნის მცირედი კლების მიუხედავად, კვარტალურ ჭრილში, ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი მატება, ზემოთ დასახელებულ მიზეზებთან ერთად, სეზონური ფაქტორითაც იყო განპირობებული.

კვლავ მაღალი რჩებოდა შრომის მწარმოებლურობა (რეალური დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე) საფინანსო შუამავლობის (5709 ლარი), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (3169 ლარი), მრეწველობის (2474 ლარი), სასტუმროებისა და რესტორნების (2273 ლარი), მშენებლობის (1879 ლარი), ვაჭრობის (1632 ლარი), უძრავი ქონებით ოპერაციების (1170 ლარი) სფეროებში. მთლიანად ეკონომიკაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1033 ლარი შეადგინა. მისი წლიური მატება 19.6, კვარტალური – კი 18.5 პროცენტით განისაზღვრა.

მნიშვნელოვანი წლიური და კვარტალური ზრდის მიუხედავად, კვლავ დაბალი იყო შრომის მწარმოებლურობა აგრარულ სექტორში, რომელზეც ეკონომიკაში დასაქმებულთა თითქმის ნახევარი მოდიოდა. აღნიშნული მაჩვენებლის წლიური მატება ისეთ სფეროებში, როგორცაა ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, სახელმწიფო მმართველობა და ჯანდაცვა გარკვეულწილად დასაქმებულთა რიცხოვნების შემცირებას უკავშირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებლობაში დასაქმებულთა ზრდის შედეგად საგრძნობლად შემცირდა შრომის მწარმოებლურობა როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე პირველ კვარტალთან შედარებით, სასტუმროებსა და რესტორნებში კი პირიქით, მოიმატა. კვარტალურ ჭრილში სერიოზული კლება განიცადა აღნიშნულმა მაჩვენებელმა საფინანსო შუამავლობის სფეროში, რაც დასაქმებულთა რიცხოვნების გაორმაგების შედეგი იყო.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

საანალიზო პერიოდში არსებითი ცვლილებები არ განუცდია მშპ-ის წარმოების სტრუქტურას: წლიურ გამო-სახელებაში გაგრძელდა წმინდა გადასახადების და ვაჭრობის წილის მატების, ამასთან, აგრარული სექტორის წილის კლების ტენდენცია. შემცირდა ჯანდაცვისა და მშენებლობის წილიც, საფინანსო უწყველობის წილი კი, პირიქით, გაიზარდა. საგრძნობად იმატა სახელმწიფო მმართველობის წილმაც როგორც 2006 წლის ანა-ლოგიურ პერიოდთან, ისე წინ კვარტალთან შედარებით. კვარტალურ ჯრილში ადგილი ჰქონდა ტრანსპორტის წილის მნიშვნელოვან კლებას და ჯანდაცვის სექტორის წილის საგრძნობ მატებას.

პირველი კვარტლის მსგავსად, მშპ-ის დაახლოებით ნახევარი 4 დარგში იქმნებოდა. ყველაზე მაღალი წილით ვაჭრობა იყო წარმოდგენილი, მრეწველობის, სახელმწიფო მმართველობის და სოფლის მეურნეობის წილმა კი შესაბამისად, 13.1, 11.7 და 10.1 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი 2: ცალკეული სექტორის რეალური ზრდის ტემპის წვლილი მშპ-ის რეალურ ცვლილებაში, 2007, Q2*

	რეალური ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	ზეგავლენა მშპ-ის ცვლილებაზე (პროცენტულ პუნქტებში)
სოფლის მეურნეობა	6.0	0.7
სამთომობილოებითი მრეწველობა	9.5	0.1
გადამამუშავებელი მრეწველობა	17.0	1.5
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება	7.1	0.2
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	15.4	0.4
მშენებლობა	7.0	0.5
ვაჭრობა	17.8	2.4
სასტუმროები და რესტორნები	19.5	0.4
ტრანსპორტი	16.8	1.3
კავშირგაბმულობა	13.8	0.5
საფინანსო უწყველობა	33.1	0.8
ოპერაციები უძრავი ქონებით	14.8	0.5
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	6.5	0.2
სახელმწიფო მმართველობა	6.7	0.6
განათლება	20.5	0.7
ჯანმრთელობის დაცვა	11.9	0.5
სხვა კომუნალური მომსახურება	8.0	0.3
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	4.2	0.0
საქმიან აქტივობაში ფინანსური უწყველობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	1.5	0.0
მშპ საბაზისო ფასებში	13.3	11.6
გადასახადები	14.5	1.9
სუბსიდიები	3.6	-0.1
მშპ საბაზრო ფასებში	13.4	13.4

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * წინასწარი შეფასება

წლიური ზრდის მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა მეორე კვარტალში კავშირგაბმულობა, უძრავი ქონე-ბით ოპერაციების სფერო, მრეწველობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები. ამ სფერო-ების მატების ტემპები რამდენადმე, საფინანსო უწყველობის ანალოგიური მაჩვენებელი კი თითქმის 2.5-ჯერ

აღმატებოდა ეკონომიკური ზრდის საერთო ტემპს. პირველი კვარტლისგან განსხვავებით, მშპ-ის რეალურ ცვლილებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ვაჭრობასთან ერთად, მრეწველობა, აგრეთვე სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი ახდენდა.

წლიური და კვარტალური ზრდის ერთობ მაღალი ტემპები საფინანსო შუამავლობის სფეროში მეტწილად საბანკო სექტორის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლების მატებასთან, აგრეთვე უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან იყო დაკავშირებული.


ცხრილი 3: მრეწველობის მაჩვენებლები

	მრეწველობაში დამატებული ღირებულება მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	მრეწველობის ინდექსი (1996=100)	მრეწველობაში დამატებული რეალური ღირებულების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	წილი მრეწველობის მთლიან დამატებულ ღირებულებაში მიმდინარე საბაზისო ფასებში (%)			
				სამთომოპოვებითი მრეწველობა	გადამამუშავებელი მრეწველობა	ენერჯის წარმოება და განაწილება	სხვა
2000	1044.2	108.2	3.2	3.9	49.5	25.2	21.4
2001	1111.0	105.0	-2.5	3.4	46.4	23.1	27.1
2002	1315.8	114.0	8.4	3.8	47.5	23.7	25.0
2003	1515.3	122.9	7.7	5.0	49.2	21.4	24.4
2004	1581.9	127.1	4.1	4.9	50.8	19.2	25.1
2005	1823.0	140.9	11.5	5.0	54.8	17.9	22.3
Q1	361.3	108.2	3.9	5.4	49.8	24.7	20.1
Q2	432.6	134.8	13.2	4.9	59.4	17.8	17.9
Q3	480.3	142.3	12.4	5.0	55.8	14.2	25.0
Q4	548.8	178.2	12.5	4.9	53.5	16.7	24.9
2006	2053.6	163.8	15.9	7.0	57.7	18.3	17.0
Q 1	392.1	117.6	8.7	5.9	57.7	22.1	14.3
Q 2	442.2	166.4	23.4	7.8	57.1	19.2	15.9
Q 3	562.4	170.8	20.0	7.6	59.8	13.7	18.9
Q 4	656.9	200.5	12.5	6.5	56.3	19.3	17.9
2007							
Q 1	459.2	129.5	10.1	6.8	55.3	21.6	16.3
Q 2*	537.3	191.5	15.1	6.9	61.9	17.2	14.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის განგარიშები
შენიშვნა: * წინასწარი შეფასება

მრეწველობის წლიური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღმატებოდა წინა კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც ძირითადად გადამამუშავებელი მრეწველობის მაღალი წლიური ზრდით იყო განპირობებული. მრეწველობის მკვეთრი კვარტალური ზრდა კი, ამ დარგთან ერთად, სამთომოპოვებითი მრეწველობის შთამბეჭდავმა მატებამ უზრუნველყო.

გადამამუშავებელი მრეწველობის წლიურ და კვარტალურ ზრდას, ერთი მხრივ, საგარეო (კერძოდ, ფეროშენადნობებზე, ცემენტზე, დაუმუშავებელ და ნახევრადამუშავებულ ოქროზე, ყურძნის ნატურალურ ღვინოებსა და მინერალურ წყლებზე) მოთხოვნის მატება ასტიმულირებდა, მეორე მხრივ კი, კვების პროდუქტებზე, თამბაქოს, საფეიქრო და ბეტონის ნაწარმზე, ხე-ტყის და სამშენებლო მასალაზე გაზრდილი შიდა მოთხოვნა ახდენდა.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

სამთომოპოვებითი მრეწველობის საგრძნობი წლიური ზრდა საანალიზო პერიოდში ძირითადად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ქიმიური მრეწველობისა და სასუქების წარმოებისთვის საჭირო მინერალების მოპოვების გადიდებას უკავშირდებოდა. პროდუქციის მოცულობის თითქმის გაორმაგება კვარტალურ ჭრილში,

საექსპორტო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე მშენებლობისთვის საჭირო ქვების, ღორღისა და ქვიშის მოპოვების მატების შედეგი იყო.


ელექტროენერჯის წარმოებისა და წყლის განაწილებასთან დაკავშირებული მომსახურების მატების შედეგად, საგრძნობი წლიური ზრდა აღინიშნებოდა ენერჯის წარმოებასა და განაწილების სფეროში. სეზონური ფაქტორის გავლენით კი, პირველ კვარტალთან შედარებით ამ სფეროში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 6.6 პროცენტით შემცირდა.

ცხრილი 4: სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები

	სოფლის მეურნეობაში დამატებული ღირებულება მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	სოფლის მეურნეობის ინდექსი (1996=100)	სოფლის მეურნეობაში დამატებული რეალური ღირებულების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	წილი სოფლის მეურნეობის მთლიან დამატებულ ღირებულებაში მიმდინარე საბაზისო ფასებში (%)		
				მემცენარეობა	მეცხოველეობა	სხვა
2000	1245.0	91.3	-12.0	43.2	45.6	11.2
2001	1399.0	98.8	8.2	46.7	44.2	9.1
2002	1434.6	97.3	-1.4	46.7	47.3	6.0
2003	1653.0	107.4	10.3	46.9	41.0	12.1
2004	1610.7	99.0	-7.9	44.4	46.6	9.0
2005	1716.4	110.8	12.0	46.9	45.3	7.8
Q1	467.1	100.9	19.0	31.4	56.5	12.1
Q2	460.4	115.1	3.0	51.2	39.7	9.1
Q3	381.1	118.2	18.2	64.3	32.2	3.5
Q4	407.8	109.2	13.4	48.0	47.8	4.2
2006	1561.1	100.2	-9.6	43.5	50.3	6.2
Q 1	361.6	92.0	-8.8	33.8	56.6	9.6
Q 2	410.7	98.5	-14.4	47.4	43.2	9.4
Q 3	377.8	96.5	-18.3	52.9	43.3	3.8
Q 4	411.0	114.0	4.3	39.7	58.1	2.2
2007						
Q 1	350.5	86.0	-6.5	31.0	62.2	6.8
Q 2*	411.7	104.4	6.0	50.2	43.0	6.8

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * წინასწარი შეფასება

აგრარულ სექტორში გამოიკვეთა ზომიერი წლიური და მკვეთრი კვარტალური მატება. ამ სფეროს დინამიკას წლიურ გამოსახულებაში მნიშვნელოვანწილად ბოსტნეულისა და ბალჩეული კულტურების, აგრეთვე ხორცისა და რძის წარმოების ზრდა განაპირობებდა.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

ხელსაყრელი კლიმატური პირობების შედეგად, კვარტალურ ჭრილში მნიშვნელოვნად მოიმატა მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობამ, თითქმის გასამმაგდა მებალეობის და მებოსტნეობის პროდუქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ღორის ჭირის ეპიდემიის გავრცელების შედეგად, მკვეთრად შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობა. ამის მიუხედავად, აგრარული სექტორის კვარტალური მატების ტემპი 21.3 პროცენტით განისაზღვრა.

სარკინიგზო მომსახურების მოცულობის ერთობ მნიშვნელოვანი კლების მიუხედავად, ავტოსაგზაო და საზღვაო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურებისა და ტვირთბრუნვის მკვეთრმა მატებამ, აგრეთვე ტვირთების შენახვისა და დამუშავების საგრძნობმა გადიდებამ სატრანსპორტო საწარმოების მიერ გაწეული მომსახურების მაღალი წლიური ზრდა უზრუნველყო.

ცხრილი 5: ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მაჩვენებლები

	ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დამატებული ღირებულება მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინდექსი (1996=100)	ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დამატებული რეალური ღირებულების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	წილი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მთლიან დამატებულ ღირებულებაში მიმდინარე საბაზისო ფასებში (%)	
				ტრანსპორტი	კავშირგაბმულობა
2000	858.8	238.5	12.8	82.4	17.6
2001	911.1	241.8	1.4	79.6	20.4
2002	1057.4	261.7	8.2	79.3	20.7
2003	1187.5	290.4	11.0	74.2	25.8
2004	1313.1	311.2	7.1	71.0	29.0
2005	1443.0	345.7	11.1	67.8	32.2
Q1	293.3	280.1	4.4	66.0	34.0
Q2	354.4	339.3	15.1	68.5	31.5
Q3	395.2	381.8	10.1	67.5	32.5
Q4	400.1	381.4	13.9	67.9	32.1
2006	1583.5	394.3	14.1	69.7	30.3
Q 1	370.8	342.2	22.2	71.2	28.8
Q 2	335.5	372.1	9.7	70.0	30.0
Q 3	450.4	439.7	15.2	70.7	29.3
Q 4	426.8	423.3	11.0	65.6	34.4
2007					
Q 1	446.6	409.3	19.6	75.1	24.9
Q 2*	414.7	432.4	16.2	70.2	29.8

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * წინასწარი შეფასება

მართალია, კვარტალურ გამოსახულებაში მკვეთრად მოიმატა სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ, ასევე საგრძნობი ზრდა განიცადა სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული სააგენტოების მომსახურებამ, მაგრამ მილსადენებით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების მკვეთრი სეზონური შემცირების და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების კლების გამო ტრანსპორტის კვარტალური ზრდის მაჩვენებელი 2.1-ჯერ ჩამორჩებოდა წლიური ზრდის ტემპს.

მაღალი წლიური და ზომიერი კვარტალური მატება გამოვლინდა კავშირგაბმულობაში, რაც ამ სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებით და შესაბამისად, ფიჭური სატელეფონო ქსელის გაფართოებით შეიძლება აიხსნას.

ცხრილი 6: მშენებლობის მაჩვენებლები

	მშენებლობაში დამატებული ღირებულება მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	მშენებლობის ინდექსი (1996=100)	მშენებლობაში დამატებული რეალური ღირებულების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)
2000	224.7	167.3	4.0
2001	259.6	184.6	10.3
2002	379.5	264.2	43.1
2003	547.4	387.3	46.6
2004	793.2	526.3	35.9
2005	937.9	600.4	14.1
Q1	204.3	530.6	26.6
Q2	216.6	598.0	36.7
Q3	279.6	706.2	19.3
Q4	237.4	566.8	- 13.7
2006	944.2	659.7	9.8
Q 1	165.0	586.7	10.6
Q 2	235.5	585.0	17.5
Q 3	282.4	792.7	12.2
Q 4	261.3	673.6	18.9
2007			
Q 1	205.1	657.7	12.1
Q 2*	252.9	625.9	7.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * წინასწარი შეფასება

სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების ავტომაგისტრალების, აგრეთვე კერძო ბინათმშენებლობის ბუმი და საზღვაო ტერმინალსა და სასტუმროების მშენებლობაში პირდაპირი უცხოური საინვესტიციო ნაკადების გადიდების მიუხედავად, მეორე კვარტალში გაგრძელდა ამ სფეროში წლიური ზრდის ტემპის შენეებისა და კვარტალური ვარდნის ტენდენცია. აღნიშნული გარკვეულწილად შეიძლება მშენებლობაში დაუკვირვებელი სეგმენტის წილის ზრდითა და 2006 წლისგან განსხვავებით, მაგისტრალური მილსადენების და მსხვილი ენერგოპროექტების სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტივით იყოს განპირობებული.


ცხრილი 7: ვაჭრობის, სასტუმროებისა და რესტორნების მაჩვენებლები

	ვაჭრობაში დამატებული ღირებულება მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	ვაჭრობის ინდექსი (1996=100)	ვაჭრობაში დამატებული რეალური ღირებულების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	სასტუმროებსა და რესტორნებში დამატებული ღირებულება მიმდინარე საბაზისო ფასებში (მლნ ლარი)	სასტუმროების და რესტორნების ინდექსი (1996=100)	სასტუმროებსა და რესტორნებში დამატებული რეალური ღირებულების ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან (%)	წილი სასტუმროებისა და რესტორნების მთლიან დამატებულ ღირებულებაში მიმდინარე საბაზისო ფასებში (%)	
							სასტუმროები	რესტორნები
2000	762.3	119.4	10.8	141.1	165.1	8.2	19.7	80.3
2001	871.0	129.9	8.8	192.1	220.9	33.7	46.2	53.8
2002	956.2	135.0	3.9	218.6	237.5	7.6	35.2	64.8
2003	1137.6	151.3	12.1	244.9	271.2	14.2	30.9	69.1
2004	1247.2	163.6	8.2	266.2	279.8	3.2	24.5	75.5
2005	1388.8	179.0	9.4	330.3	327.7	17.1	29.1	70.9
Q1	289.9	146.9	11.8	70.2	289.0	0.8	29.5	70.5
Q2	334.9	185.7	13.0	86.4	346.1	36.0	31.3	68.7
Q3	362.3	181.0	5.7	84.1	326.6	21.4	29.1	70.9
Q4	401.7	202.3	7.8	89.6	349.2	13.0	25.7	73.3
2006	1875.3	214.3	19.8	302.9	366.6	11.9	41.0	59.0
Q 1	359.3	170.4	16.0	70.1	313.0	8.2	28.5	52.5
Q 2	449.9	218.2	17.5	64.3	379.9	9.8	31.9	68.1
Q 3	483.7	231.4	43.5	73.1	357.7	9.5	35.3	64.7
Q 4	582.4	237.4	17.4	95.4	415.9	19.1	64.2	35.8
2007								
Q 1	435.0	194.0	13.8	70.8	327.6	4.7	28.7	71.3
Q 2*	579.7	257.0	17.8	86.2	453.8	19.5	28.4	71.6

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * წინასწარი შეფასება

ვაჭრობის წლიურ ზრდაზე გავლენას საცალო ქსელში კვების მზა პროდუქტებზე, ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებზე, საფეიქრო და თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნის საგრძნობი გადიდება, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ტექნიკით და ავტომობილებით ვაჭრობის შთამბეჭდავი ზრდა უზრუნველყოფდა.

წინა კვარტალთან შედარებით კი, საცალო ვაჭრობის შესამჩნევი შემცირების ფონზე, საბითუმო ვაჭრობის, ასევე ავტომობილებით ვაჭრობისა და მათი ტექნიკური მომსახურების ხარჯების მკვეთრმა ზრდამ საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი გადიდება გამოიწვია.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი



ყველაზე მაღალი წლიური და კვარტალური ზრდის ტემპებით სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი გამოირჩეოდა, რაც წლიურ გამოსახურებაში უმეტესწილად სასტუმროების მომსახურების შთამბეჭდავი მა-

ტების ხარჯზე იქნა მიღწეული. კვარტალურ ჭრილში მკვეთრი ზრდა სასტუმროებთან ერთად, რესტორნების მომსახურების მნიშვნელოვანმა გადიდებაც განაპირობა. ამასთან, რესტორნებში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 3.5-ჯერ აღემატებოდა სასტუმროების ანალოგიურ მაჩვენებელს.

შინამეურნეობათა მიერ გაწეული სამომხმარებლო ხარჯები მეორე კვარტალში უმნიშვნელო წლიური ზრდითა და კვარტალური კლებით ხასიათდებოდა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნა ერთობ მაღალი წლიური და საგრძნობი კვარტალური მატებით გამოიჩინოდა.

საანალიზო პერიოდში როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში მკვეთრად (შესაბამისად, 41.3 და 39.3 პროცენტით) გაიზარდა ძირითადი კაპიტალის ფორმირების მაჩვენებელი, რაც ეროვნულ ეკონომიკაში, კერძოდ კი, ენერჯეტიკის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, აგრეთვე სახელმწიფო სექტორში საინვესტიციო პროექტების განხორციელების შედეგი იყო.

მეორე კვარტალში გამოვლინდა იმპორტთან შედარებით ექსპორტის წინმსწრები ტემპით მატება როგორც წლიურ, ისე კვარტალურ ჭრილში, თუმცა ექსპორტი 1.6-ჯერ ჩამორჩებოდა იმპორტს. ამასთან, მართალია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იმპორტის წილი მშპ-ში 5.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა, მაგრამ საქართველო კვლავ უმეტესად იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად რჩებოდა.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, საანალიზო პერიოდში კორექტირებული იქნა მშპ-ის შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მაჩვენებლები. დაზუსტებული მონაცემების მიხედვით, ერთობ შთაბეჭდავი წლიური (2.1-ჯერ) და მკვეთრი კვარტალური ზრდით გამოიჩინოდა საოპერაციო მოგება, რასაც წლიურ გამოსახულებაში მისი წილის მნიშვნელოვანი – 16.2 პროცენტული პუნქტით, ზრდა მოჰყვა. კვარტალურ ჭრილში კი, საოპერაციო მოგების წილი საგრძნობლად – 7.2 პროცენტული პუნქტით, გაიზარდა.

მაღალი წლიური და კვარტალური მატების ტემპებით ხასიათდებოდა როგორც შრომის ანაზღაურება, ისე წარმოებაზე და იმპორტზე გადანდილი გადასახადების მოცულობა, რამაც მათი წილის რამდენადმე გადიდება გამოიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ისე პირველ კვარტალთან შედარებით საგრძნობად იკლო შერეულმა შემოსავლებმა, რამაც მკვეთრად შეამცირა მისი წილი მშპ-ის სტრუქტურაში.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში მეტწილად მოგების, აგრეთვე სხვა შემოსავლების სახით დანარჩენი მსოფლიოსთვის გადანდილი თანხების მოცულობა საშუალოდ 2.2-ჯერ გაიზარდა მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) კვლავ ზრდის მაღალ ტემპებს ინარჩუნებდა. მან 4134.4 მლნ ლარი შეადგინა. მშპ-ისა და ქვეყნის რეზიდენტების მიერ უცხოეთიდან მიღებული ტრანსფერტების შემდგომმა ზრდამ უზრუნველყო აგრეთვე, წმინდა ეროვნული განკარგავი შემოსავლის (წეგშ-ის) გადიდება როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე პირველ კვარტალთან მიმართებაში. ამასთან, საბოლოო მოხმარებაზე გაწეულ ხარჯებთან შედარებით წეგშ-ის წინმსწრებმა ზრდამ გამოიწვია წმინდა დანაზოგის მოცულობის 296.4 მლნ ლარით ზრდა წლიურ, ხოლო 474.1 მლნ ლარით გადიდება კვარტალურ ჭრილში.

2. სახელმწიფო ფინანსები

ცხრილი 8: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები

	მთლიანი შემოსავლები* (მლნ ლარი)	მთლიანი საგადასახადო შემოსავალი (მლნ ლარი)	% მშპ-თან							
			მთლიანი შემოსავლები	მთლიანი საგადასახადო შემოსავალი	დღგ	მოგების გადასახადი	აქციზი	საშემოსავლო გადასახადი	საბაჟო გადასახადი	სოციალური გადასახადი
2000	905.2	854.3	15.0	14.1	4.6	1.3	1.5	1.8	0.9	2.1
2001	1033.9	954.7	15.5	14.3	5.2	1.0	1.3	2.0	0.8	2.1
2002	1135.3	1054.7	15.2	14.1	5.4	1.1	1.2	1.9	0.8	1.7
2003	1272.7	1186.6	14.9	13.9	4.8	1.2	1.2	1.8	0.8	2.1
2004	2102.0	1827.6	21.4	18.6	6.4	1.6	1.6	2.7	1.0	3.0
2005	3152.7	2411.5	27.2	20.8	8.5	1.8	2.4	2.5	1.1	3.7
Q1	618.2	471.1	25.6	19.5	8.1	1.8	2.2	2.8	1.0	3.1
Q2	608.0	566.0	29.5	20.1	8.2	2.1	2.7	2.4	1.0	3.1
Q3	745.9	655.2	25.7	25.7	8.4	2.1	2.7	2.4	1.2	3.9
Q4	918.6	719.2	21.8	21.8	9.2	1.4	2.3	2.6	1.1	4.5
2006	4235.6	3149.4	30.7	22.9	9.7	2.5	2.4	2.8	1.0	3.7
Q1	827.7	609.7	22.2	22.2	9.3	2.5	2.2	2.8	1.2	3.5
Q2	997.4	780.7	30.1	23.5	9.6	2.9	2.6	2.6	1.6	3.5
Q3	1200.6	853.6	32.9	23.4	9.9	2.9	2.7	2.6	1.0	3.5
Q4	1209.9	905.4	30.5	22.8	10.0	1.8	2.3	3.3	0.3	4.1
2007										
Q1	1235.4	948.1	36.2	27.8	11.6	5.0	2.6	3.4	0.3	4.1
Q2	1210.0	1044.7	29.5	25.5	11.6	3.0	2.6	3.0	0.3	4.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები



შენიშვნა: * გრანტების გარეშე

მეორე კვარტალში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების წლიური ზრდის მაღალმა ტემპებმა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების 21.2 პროცენტით ზრდა უზრუნველყო, რაც წინა კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 2.5-ჯერ ნაკლები იყო. აღნიშნული საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების წლიური მატების ტემპების შენელებით, აგრეთვე კაპიტალური შემოსავლებისა და გრანტების მკვეთრი შემცირებით შეიძლება აიხსნას. კვარტალურ გამოსახულებაში გაგრძელდა მთლიანი შემოსავლებისა და გრანტების კლების ტენდენცია, რაც არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების საგრძნობი შემცირებითა და გრანტების განახევრებით იყო განპირობებული.

საანალიზო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური შემოსავლების ვარდნამ და ნომინალური მშპ-ის წლიური ზრდის მაღალმა ტემპმა რამდენადმე შეამცირა ფისკალური ეფექტიანობის მაჩვენებელი. კვარტალურ ჭრილში კი, კაპიტალურ შემოსავლებთან ერთად, არასაგადასახადო შემოსავლების მკვეთრმა კლებამ, აღნიშნული მაჩვენებელი 6.7 პროცენტული პუნქტით დასწია.

საგადასახადო შემოსავლების წლიურ დინამიკაზე გავლენას კვლავ დღგ-დან, სოციალური, საშემოსავლო და მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი გადიდება ახდენდა. მისი კვარტალური მატების ტემპი 3.3-ჯერ ჩამორჩებოდა წლიური ზრდის მაჩვენებელს, რაც მოგების გადასახადის სახით მობილიზებული სახსრების მკვეთრი შემცირების, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადის – მოკრძალებული ზრდის შედეგი იყო.

გარკვეული ცვლილებები განიცადა საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურამ: დღგ-ს მზარდმა დინამიკამ როგორც წლიურ, ისე კვარტალურ ჭრილში უზრუნველყო მისი წილის მნიშვნელოვანი გადიდება. საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის ფონზე კი, საბაჟო გადასახადის წილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კვლავ საგრძნობლად შემცირდა. წინა კვარტლებისგან განსხვავებით, მოგების გადასახადის ზრდის ტემპის შენელებამ კვარტალურ გამოსახულებაში ამ გადასახადის წილის მკვეთრი დაცემა გამოიწვია.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

საგადასახადო შემოსავლების უმთავრეს წყაროდ საანალიზო პერიოდში დღგ რჩებოდა. ამ გადასახადის წლიური ზრდის მაჩვენებელი 49.5 პროცენტით განისაზღვრა. დღგ-ს ამგვარ დინამიკას მეტწილად ადგილობრივი და იმპორტული წარმოების ფილტრიანი სიგარეტებისა და თამბაქოს ნაწარმის, ბენზინიდან და სხვა ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან, აგრეთვე მომსახურებიდან დღგ-ს სახით ამოღებული თანხების მატება და ბუნებრივ აირზე ფასების გადიდება განაპირობებდა. კვარტალური ზრდის ტემპი 2.4-ჯერ ჩამორჩებოდა წლიურ მატებას, რაც ძირითადად ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების და ბუნებრივ აირზე მოთხოვნის სეზონურ შემცირებას უკავშირდებოდა.

მეორე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 41.9 პროცენტით მოიმატა სოციალური გადასახადის მოცულობამ. ამ გადასახადის სახით კერძო სექტორიდან მიღებული თანხები თითქმის 3-ჯერ სჭარბობდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მობილიზებულ სახსრებს. კვარტალურ ჭრილში სოციალური გადასახადიდან მიღებული თანხები 16 პროცენტით გაიზარდა, რაც საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორიდან, აგრეთვე მეწარმე ფიზიკური პირებიდან პირველ კვარტალთან შედარებით, შესაბამისად, 3.1, 12.3 და 7.4 მლნ ლარით მეტი თანხების ამოღების შედეგი იყო.



საშემოსავლო გადასახადი მაღალი (40.4 პროცენტი) წლიური ზრდით ხასიათდებოდა. წლიურ ზრდაზე გავლენას კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების გადიდება, აგრეთვე არარეზიდენტი პირების შემოსავლების მატება ახდენდა. კვარტალური ზრდის ტემპი კი შედარებით მოკრძალებულად (6.3 პროცენტი) გამოიყურებოდა, რაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში მიმდინარე რეორგანიზაციით იყო განპირობებული. აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო სექტორიდან წინა კვარტალთან შედარებით საშემოსავლო გადასახადის სახით 8.4 მლნ ლარით მეტი თანხა იქნა მიღებული.

მეორე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მოგების გადასახადის სახით მობილიზებული თანხების მოცულობა 28.2 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული როგორც საქართველოს, ისე უცხოურ საწარმოთა მოგების, აგრეთვე მათ მიერ დივიდენდების და პროცენტების სახით მიღებული შემოსავლების გადიდებას უკავშირდებოდა. კვარტალურ ჭრილში ადგილი ჰქონდა მოგების გადასახადის მოცულობის მკვეთრ შემცირებას, რის გამოც ამ გადასახადმა მეორე პოზიციიდან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ამის მიზეზი წინა კვარტლის მაღალი საბაზისო მაჩვენებლის ფონზე შედარებით ზომიერი ოდენობით შემოსავლის მიღება იყო.

ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტებზე, ამასთან, უცხოეთიდან შემოტანილ მსუბუქ ავტომობილებზე, ბენზინსა და დიზელის საწვავზე მოთხოვნის გადიდების შედეგად, საანალიზო პერიოდში გამოიკვეთა აქციზის მაღალი წლიური და კვარტალური მატება.

საბაჟო გადასახადის მოცულობა წლიურ გამოსახულებაში მნიშვნელოვნად (78.4 პროცენტით) შემცირდა, რაც საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციას უკავშირდებოდა. ამასთან, მსუბუქი ავტომობილების იმპორტიდან ამ გადასახადის სახით ამოღებული თანხების გადიდება კვარტალურ ჭრილში მისი 6.7-პროცენტიანი ზრდა უზრუნველყო.

სალიცენზიო, სარეგისტრაციო და საკონსულო მოსაკრებლების საგრძნობი შემცირების მიუხედავად, მეორე კვარტალში არასაგადასახადო შემოსავლების წლიურმა ზრდამ 15.8 პროცენტი შეადგინა. აღნიშნულის მიზეზი მეტწილად სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან, სახელმწიფო ბაჟიდან, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გაცემული კრედიტების დაბრუნებიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი მატება იყო. წინა კვარტალთან შედარებით არასაგადასახადო შემოსავლების განახევრება სალიცენზიო მოსაკრებლების (2.3-ჯერ), სამორინეებისა და ტოტალიზატორების მოწყობის ნებართვიდან მოსაკრებლის (5-ჯერ), ამასთან, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის მკვეთრი შემცირებით იყო გამოწვეული.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

საანალიზო პერიოდში წლიურ გამოსახულებაში კაპიტალური შემოსავლების მნიშვნელოვანი (52.6 პროცენტით) კლება გამოვლინდა, წინა კვარტალთან შედარებით კი მისი მოცულობა მცირედით შემცირდა. ზემოთ აღნიშნული 2006 წელთან შედარებით მიმდინარე წელს პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლების თანდათანობით შემცირებით შეიძლება აიხსნას.

მეორე კვარტალში გრანტების სახით 14.1 მლნ ლარი იქნა მიღებული, რაც 8.5 პროცენტით აღემატებოდა წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. კვარტალურ გამოსახულებაში კი გრანტების მოცულობა განახევრდა. მათი დიდი ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტებით იყო წარმოდგენილი.

ცხრილი 9: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები

	მთლიანი ხარჯები (მლნ ლარი)	% მშპ-თან							
		მთლიანი ხარჯები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	საგარეო ვალის მომსახურება	განათლება	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური დაცვა	
2000	1126.5	18.6	2.2	1.7	-	2.2	0.6	3.4	
2001	1237.9	18.5	3.1	2.0	-	2.1	0.8	2.9	
2002	1409.5	18.9	3.5	2.0	0.9	2.2	0.9	3.0	
2003	1522.1	17.8	3.1	1.9	0.9	2.1	0.4	4.0	
2004	2412.2	24.6	3.6	4.4	0.5	2.9	1.0	4.7	
2005	3280.8	28.3	3.1	5.9	0.3	2.5	1.8	5.4	
Q1	621.2	25.7	3.2	5.5	0.5	2.2	1.4	6.4	
Q2	773.4	27.4	2.5	5.4	0.3	2.1	1.7	6.0	
Q3	827.8	27.1	2.8	5.7	0.2	2.4	1.8	4.8	
Q4	1058.4	32.1	4.8	6.8	0.4	3.1	2.0	4.6	
2006	4464.1	32.4	3.7	8.0	0.3	3.0	1.6	5.0	
Q1	766.7	27.9	3.3	6.4	0.3	2.5	1.3	5.2	
Q2	1074.5	32.4	3.8	8.1	0.2	2.9	1.8	4.7	
Q3	1178.1	32.3	3.5	7.9	0.7	3.1	1.8	4.9	
Q4	1444.8	36.4	4.3	9.3	0.3	3.4	1.6	5.4	
2007									
Q1	1033.9	30.3	4.5	10.2	0.3	2.7	1.5	4.5	
Q2	1295.5	31.6	5.4	10.7	0.2	2.3	1.3	3.6	

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

საანალიზო პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე პირველ კვარტალთან შედარებით ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა. ხარჯების ამგვარ დინამიკას წლიურ გამოსახულებაში თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად განკუთვნილი თანხების მნიშვნელოვანი მატება განაპირობებდა. კვარტალ-

ლურ ჭრილში ადგილი ჰქონდა თავდაცვის, ეკონომიკური საქმიანობის და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯების ზრდას.

აღნიშნულმა, თავის მხრივ, გავლენა იქონია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაზე: 2006 წლის მეორე კვარტალთან შედარებით თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხარჯების წილი მკვეთრად გაიზარდა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების, სოციალური დაცვის, განათლების და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯების წილი კი შემცირდა. ამასთან, წინა კვარტალთან შედარებით გამოიკვეთა თავდაცვის და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯების წილის მატება; საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების, სოციალური დაცვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაფინანსების წილმა კი საგრძნობლად იკლო.

მეორე კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში კაპიტალური ხარჯები კვლავ 20.7-პროცენტთან წილით იყო წარმოდგენილი, მას 1.2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩებოდა საქონლისა და მომსახურების შექმნაზე გაწეული ხარჯები, შრომის ანაზღაურების დაფინანსებას კი მთლიანი ხარჯების 9.9 პროცენტი მოხმარდა.

მაღალი წლიური და კვარტალური ზრდით გამოირჩეოდა საანალიზო პერიოდში თავდაცვის ხარჯები, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უახლესი საკომუნიკაციო სისტემების დანერგვას, ყაზარმების აშენებას და უნიფორმების შექმნას, სამხედრო ქვედანაყოფების იარაღითა და ტექნიკით აღჭურვას, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მოხმარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაცვის ხარჯების 39.5 პროცენტი კაპიტალური დანიშნულებით იქნა გამოყენებული.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები საკმაოდ მოკრძალებული წლიური ზრდით ხასიათდებოდა მაშინ, როდესაც, კვარტალურ ჭრილში ადგილი ჰქონდა ამ კატეგორიის ხარჯების მკვეთრ მატებას. აღნიშნული ასიგნებები ძირითადად აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებისთვის, ამასთან, სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და ხელისუფლების სხვადასხვა დონეებზე შორის ფულადი ნაკადების გადანაწილებისთვის იყო განკუთვნილი.



მაღალ წლიურ და კვარტალურ მატებას ავლენდა ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები. მათი უდიდესი ნაწილი ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროს დაფინანსებაზე, კერძოდ, ელექტროსადგურების სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მოდერნიზაცია-რეაბილიტაციასა და ხიდების შეკეთებაზე იქნა მიმართული.

მეორე კვარტალში სოლიდურად გაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხარჯები. მათი კვარტალური ზრდის ტემპი კი მაღალი საბაზისო მაჩვენებლის ფონზე მოკრძალებულად გამოიყურებოდა. აღნიშნული ასიგნებების გარკვეული ნაწილი სასამართლოების შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებას, სამსახურებრივი დანიშნულების მანქანების შექმნას, მოსამართლეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამების და სახელმწიფო დაცვის სამსახურის დაფინანსებას მოხმარდა. სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი კი პროკურატურის სისტემაში სატელეფონო და კომპიუტერული ქსელის სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისთვის, სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეაბილიტაციისა და კაპიტალური რემონტისთვის იყო განკუთვნილი.

საანალიზო პერიოდში გამოვლინდა სოციალური დაცვის ხარჯების წლიური და კვარტალური შემცირება, რის გამოც წინა კვარტლისგან განსხვავებით, მთლიანი ხარჯების სტრუქტურაში აღნიშნულმა ხარჯებმა შესამედან მეხუთე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამის მიზეზად, საკმაოდ მაღალი საბაზისო მაჩვენებლები შეიძლება ჩაითვალოს. სოციალური დაცვის მიზნით გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი საპენსიო უზრუნველყოფას, რეგრესულ პენსიებზე წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვას, ლატაკი ოჯახებისთვის შემწობის გაწევას, აგრეთვე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებას, სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და აღჭურვას მოხმარდა.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მცირედით გაიზარდა. კვარტალურ გამოსახულებაში კი, სეზონური ფაქტორის გავლენით, მისი მოცულობა გაორმაგდა. ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხები კომუნალური მეურნეობის განვითარებასა და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა.

განათლების ხარჯები წლიურ გამოსახულებაში 2.7 მლნ ლარით შემცირდა. კვარტალურ ჭრილში კი მან უმნიშვნელო კლება განიცადა. აღნიშნული ასიგნებები საჯარო სკოლების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარებას და კომპიუტერული ცენტრების მოწყობას, კონფლიქტური რეგიონების პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებას და საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას მოხმარდა.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

მეორე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 296.2 მლნ ლარით, პირველ კვარტალთან შედარებით კი – 336 მლნ ლარით გაიზარდა სახელმწიფო ვალის მოცულობა, რაც მეტწილად მსოფლიო ბანკიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან კრედიტების აღებას უკავშირდება. ამასთან, საანალიზო პერიოდის ბოლოს საგარეო ვალმა 2841.7 მლნ ლარი შეადგინა, საშინაო ვალის მოცულობა კი – 1510.5 მლნ ლარით განისაზღვრა, რომლის 48.8 პროცენტი ერთწლიან განახლებად სახელმწიფო ობლიგაციებზე მოდიოდა, დანარჩენი კი ძირითადად ე.წ. “ისტორიულ ვალებს” წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 23.8 მლნ ლარი იქნა მიმართული, საიდანაც 8.6 მლნ ლარი საგარეო ვალის მომსახურებას მოხმარდა, 15.1 მლნ ლარი კი საშინაო ვალის მომსახურებაზე დაიხარჯა.

ცხრილი 10: ბიუჯეტის დაბალანსება

	ბალანსი (მლნ ლარი)	ბალანსი (% ხარჯებთან)	ბალანსი (% მშპ-თან)
2000	- 207.0	18.4	3.4
2001	- 155.9	12.6	2.3
2002	- 251.6	17.9	3.4
2003	- 201.3	13.2	2.4
2004	- 288.4	12.0	2.9
2005	-24.0	0.7	0.2
Q1	+ 7.5	1.2	0.3
Q2	+78.8	10.2	2.8
Q3	- 29.7	3.6	0.1
Q4	-80.6	7.6	2.4
2006	-34.2	0.8	0.3
Q1	+70.6	9.2	2.6
Q2	-64.1	6.0	1.9
Q3	+91.6	7.8	2.5
Q4	-132.4	9.2	3.3
2007			
Q1	+230.9	22.3	6.8
Q2	-41.4	5.5	1.7

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

საანალიზო პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი წინა წლის მეორე კვარტალთან შედარებით 7.3 მლნ ლარით გაღრმავდა. კვარტალურ გამოსახულებებში კი შემოსავლებთან შედარებით ხარჯების წინმსწრებმა ზრდამ წინა კვარტალში გამოვლენილი პროფიციტი დეფიციტით შეცვალა, რომლის 32.3 პროცენტი საგარეო, დანარჩენი კი – საშინაო წყაროებით იქნა დაფინანსებული.

3. ფული და საბანკო საქმე

ცხრილი 11: ეროვნული ბანკის ანგარიშები (ათასი ლარი, პერიოდის ბოლოს)

	მთლიანი საერთაშორისო რეზერვები	სებ-ის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანება	სარეზერვო ფული (M1)	ფული მიმოქცევაში	ბანკების დეპოზიტები		რეალური საკასო ნაშთების ინდექსი (დეკემბერი 1995=100)*
					სავალდებულო რეზერვები	ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	
2000	229033	760750	391737	329157	38943	23636	2100
2001	333594	749415	429857	365669	53300	10888	2256
2002	442529	766681	508969	417178	72228	19525	2242
2003	407090	795572	579912	472242	81405	25214	2590
2004	705616	841414	836536	676158	92334	68045	3442
2005	857973	832849	1001451	811400	129833	60218	3890
Q1	704931	841691	809154	658218	97725	53211	3253
Q2	802276	841972	879314	694576	109141	75597	3513
Q3	807656	836230	933404	746508	122067	64829	3757
Q4	857973	832849	1001451	811400	129833	60218	3891
2006	1594982	748849	1193231	929538	224559	39135	4097
Q1	883278	832849	978908	775443	139334	64132	3664
Q2	969643	832849	1044679	803260	158689	82729	3642
Q3	1094184	832849	1096913	853577	202331	41005	3861
Q4	1594982	784849**	1193231	929538	224559	39135	4097
2007							
Q1	1732251	784849**	1157369	861 359	231147	64862	3709
Q2	2038618	775300	1409355	927130	226134	210549	3924

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და GEPLAC-ის ვაიზგარიშები

შენიშვნა: *რეალური საკასო ნაშთების ინდექსი მიიღება მიმოქცევაში არსებული ფულის მაჩვენებლის შესაბამისი პერიოდის სფი-ზე (1995=100) გაყოფით

**შესწორებული მონაცემები


საანალიზო პერიოდში გაგრძელდა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ი) უცხოური ვალუტის რეზერვების სწრაფი ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით წლიურ გამოსახულებაში. რეზერვების დინამიკას ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების კვალობაზე თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე (თბსბ) სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციები განაპირობებდა. უცხოური ვალუტის ნაკადები მნიშვნელოვანწილად პრივატიზაციის პროცესთან იყო დაკავშირებული. მართო ენერგობიექტების პრივატიზების შედეგად, აღნიშნულ პერიოდში, ქვეყნის სავალუტო რეზერვები 145.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

მეორე კვარტლის ბოლოსთვის საგრძნობლად იკლო ფულის მიწოდების ტემპმა: თუ მაისში სარეზერვო ფულის წლიური ზრდა, თვის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, 28.7 პროცენტი იყო, ივნისში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 24.6 პროცენტი შეადგინა. ფულადი ბაზის მატებას უპირატესად სებ-ის მიერ თბსბ-ზე უცხოური ვალუტის შესყიდვები განსაზღვრავდა, რაც ბანკთაშორის ბირჟაზე უცხოური ვალუტის მიწოდების მნიშვნელოვანი სიჭარბით იყო გამოწვეული. სებ-ის წმინდა შესყიდვებმა აპრილ-ივნისში 245.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რის შედეგადაც მიმოქცევაში 403.4 მლნ ლარი გავიდა.

წინა პერიოდის ანალოგიურად, ჭარბი ლიკვიდობის სტერილიზაციის მიზნით, სებ-ი კვლავ აქტიურად იყენებდა სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონებს: ივნისის ბოლოსთვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების ოდენობამ 371.6 მლნ ლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მეორე კვარტლის განმავლობაში სებ-ის მიერ დაფარულ იქნა 1018 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატი, ხოლო ემიტირებული – 1093 მლნ ლარის. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა ივნისის თვეში 10 მლნ ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განთავსებაც განახორციელა. შესაბამისად, დასახელებული ინსტრუმენტების მეშვეობით მიმოქცევიდან ამოღებული ლიკვიდობის წმინდა მოცულობამ მეორე კვარტალში 85 მლნ ლარი შეადგინა.

საანალიზო პერიოდში მთავრობის დეპოზიტების მოცულობა საშუალოდ 633 მლნ ლარს შეადგენდა, რაც 2.3-ჯერ აღემატებოდა წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ამ ანგარიშებზე რიცხული ნაშთების წლიურმა მატებამ 319.5 მლნ ლარი შეადგინა. მთავრობის დეპოზიტების დინამიკას ენერგეტიკის სექტორის ობიექტების პრივატიზებიდან შემოსული თანხები განსაზღვრავდა. გარდა ამისა, მათ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ასევე საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მაღალმა მაჩვენებელმა.

აღნიშნული ფულადი ნაკადების ფონზე, მეორე კვარტალში სარეზერვო ფულის მოცულობის საკმაოდ მკვეთრი წლიური და მნიშვნელოვანი კვარტალური ზრდა გამოიკვეთა. შედარებით მოკრძალებული იყო მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მატების ტემპი. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს ზრდის მიმართულებით სარეზერვო ფულის ისეთმა კომპონენტებმა, როგორცაა ეროვნულ ბანკში არსებული კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთები და მინიმალური რეზერვები, რაც გარკვეულწილად დარეზერვების ახალმა წესმაც განაპირობა, რომელიც მიმდინარე წლის 1 ივნისს შევიდა ძალაში.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამ წესის შესაბამისად, კომერციულ ბანკებს ევალებათ ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრების საშუალო ნაშთის 13 პროცენტის საკორესპონდენტო ანგარიშზე შენარჩუნება. გარდა ამისა, მათ უფლება მიეცათ უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების დარეზერვება აშშ დოლარებში განახორციელონ და არა ეროვნულ ვალუტაში, როგორც ეს ადრე იყო. მართალია, ამგვარი მიდგომა ამცირებს საბანკო სისტემის რისკებს (სავალუტო, საკრედიტო), მაგრამ, ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით, კომერციული ბანკებისთვის ასეთი მოთხოვნის შესრულება არცთუ იოლია.

საანალიზო პერიოდში, მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა წინ უსწრებდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდას, შესაბამისად, გაიზარდა რეალური საკასო ნაშთების ინდექსიც.

აღსანიშნავია, რომ წინა კვარტლებისგან განსხვავებით, მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად იკლო სებ-ის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანების მოცულობამ.

ცხრილი 12: კომერციული ბანკების ანგარიშები (ათასი ლარი, პერიოდის ბოლოს)

	კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება	არასაბიუჯეტო სექტორის დაკრედიტების წილი (%)	წმინდა უცხოური აქტივები	დეპოზიტები		შინამეურნეობების წილი დეპოზიტებში (%)
				ეროვნულ ვალუტაში	უცხოურ ვალუტაში	
2000	430315	100.0	-12610	67094	235868	-
2001	489783	99.51	3708	54989	328606	42.5
2002	629486	98.93	25040	71478	401301	53.5
2003	785923	98.42	42456	85863	532989	60.3
2004	964917	99.97	54595	230104	665836	50.5
2005	1730466	100.00	-231480	333611	841285	54.7
Q1	1070710	99.98	20984	203870	684471	57.2
Q2	1229399	99.98	-18482	253233	738697	58.2
Q3	1431937	99.98	-22138	296225	825201	54.0
Q4	1730466	100.00	-231480	333611	841285	54.7
2006	2681492	100.00	-385051	561824	1272493	50.8
Q1	1948496	99.99	-269532	378414	915702	55.0
Q2	2263516	99.35	-308977	522700	1032399	48.2
Q3	2536840	100.00	-408385	500689	1117334	52.2
Q4	2681492	100.00	-385051	561824	1272493	50.8
2007						
Q1	3019857	100.00	-627561	606075	1330634	50.8
Q2	3534481	100.00	-782822	798938	1626138	45.4

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და GEPLAC-ის გაანგარიშებები


საანალიზო პერიოდში შენარჩუნდა კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტების წლიური ზრდის მაღალი ტემპი, რომელმაც 54.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან, თითქმის გათანაბრდა მიმდინარე და ვადიანი დეპოზიტების ზრდის ტემპები (შესაბამისად, 53.6 და 54.7 პროცენტი). მიმდინარე ანგარიშების წლიური მატება უპირატესად იურიდიული პირების, კერძოდ, ენერჯეტიკის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოთა დეპოზიტების შთამბეჭდავი დინამიკით იყო გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდის ტემპი, წინა კვარტლისგან განსხვავებით, ჩამორჩებოდა უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების ანალოგიურ მაჩვენებელს, რის გამოც დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი ოდნავ გაიზარდა.

2007 წლის მეორე კვარტალში შენარჩუნდა კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისთვის გაცემული სესხების ზრდის მაღალი ტემპი. ამასთან, საკრედიტო პორტფელში გაიზარდა გრძელვადიანი სესხების წილი. მოკლე-

ვადიანი სესხების წილმა კი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 2 პროცენტით მოიკლო და 31.1 პროცენტი შეადგინა. დაკრედიტების სტრუქტურაში გრძელვადიანი სესხების წილის მატება, ერთი მხრივ, კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო რესურსების ოპტიმიზაციით, მეორე მხრივ კი, რისკების მართვის გაუმჯობესებით შეიძლება აიხსნას.

ნიშანდობლივია, რომ დაკრედიტების სტრუქტურაში აშკარად გამოიკვეთა სამომხმარებლო კრედიტების წილის შემდგომი ზრდის ტენდენცია, რაც წლიურ გამოსახულებაში იურიდიულ პირებთან შედარებით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების უფრო მაღალ ზრდის ტემპში გამოიხატა (შესაბამისად, 79.1 და 53.1 პროცენტი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

საანალიზო პერიოდში გამოვლინდა აგრეთვე კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წინმსწრების ზრდის ტენდენცია. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მატებამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 53 პროცენტი შეადგინა (912 მლნ ლარი), მაშინ როდესაც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდა 70 პროცენტი იყო (1.6 მლრდ აშშ დოლარი).

მეორე კვარტალში გარკვეული ცვლილებები შეინიშნებოდა ეკონომიკის სექტორების მიხედვით კრედიტების განაწილებაში, რის შედეგადაც კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი უფრო დივერსიფიცირებული გახდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშენებლობაზე გაცემული სესხების წილი (წლიური 63 პროცენტი). მატება აღინიშნებოდა ასევე ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (153 პროცენტი), სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და თევზჭერის (112 პროცენტი), ტრანსპორტისა და კომუნიკაციების (76 პროცენტი), მრეწველობის (67 პროცენტი) სექტორებში. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობაზე გაცემული სესხების მოცულობა აღარ იზრდებოდა ისეთი მაღალი ტემპით, როგორც წინა პერიოდებში. ამდენად, ვაჭრობის დაკრედიტების წილი საკრედიტო პორტფელში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ცხრილი 13: ფულის აგრეგატები (ათასი ლარი, პერიოდის ბოლოს)

	ფული ბანკების გარეთ (M0)	სარეზერვო ფული (M1)	ფართო ფული (M2)	ფართო ფული (M3)	ფულის მულტიპლიკატორი		ფულის ბრუნვის სიჩქარე	
					M2	M3	M2	M3
2000	315007	391737	382101	617969	0.98	1.58	19.53	11.67
2001	348850	429857	403839	732445	0.94	1.70	17.89	10.23
2002	390787	508931	462265	863566	0.91	1.70	17.78	9.54
2003	441536	579912	527398	1060388	0.91	1.83	16.23	8.07
2004	615993	836536	846097	1511933	1.01	1.81	11.78	6.59
2005	736284	1001451	1069895	1911181	1.07	1.91	10.83	6.07
Q1	608555	809154	812425	1496897	1.00	1.85	14.27	7.74
Q2	636495	879314	889728	1628425	1.01	1.85	13.03	7.12
Q3	686116	933404	982341	1807542	1.05	1.94	11.80	6.41
Q4	736284	1001451	1069895	1911181	1.07	1.91	10.83	6.07
2006	827357	1193231	1389182	2661674	1.16	2.23	9.90	5.12
Q1	709102	978908	1087516	2003218	1.11	2.05	12.03	6.53
Q2	729106	1044679	1251806	2284205	1.20	2.19	9.69	5.31
Q3	773243	1096913	1273391	2421024	1.16	2.21	11.21	6.00
Q4	827357	1193231	1389182	2661674	1.16	2.23	9.90	5.12
2007								
Q1	765376	1157369	1372487	2705882	1.19	2.34	12.30	6.00
Q2	856423	1409355	1655771	3281910	1.17	2.33	11.35	5.70

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანალიზო პერიოდში, ფართო ფულის (M2) წლიურმა ზრდის ტემპმა 32.3 პროცენტი შეადგინა, რაც ძირითადად ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების 276.2 მლნ ლარით მატებამ განაპირობა. საბანკო სისტემაში დე-

პოზიტივის მკვეთრი ზრდის ფონზე როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, განსაკუთრებით სწრაფად, წლიური 43.6 პროცენტით, მოიმატა ფართო ფულის აგრეგატის (M3) მაჩვენებელმა.

ფულის მოთხოვნაზე გავლენას კვლავ ეკონომიკის რეალური სექტორის შემდგომი ზრდა, საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე პროცესები, ინფლაციისა და გაცვლითი კურსის დინამიკა, სავალუტო ნაკადების მოძრაობა და სეზონური ფაქტორები ახდენდნენ.


ცხრილი 14: ფასების ცვლილება

	სამომხმარებლო ფასების ინდექსი დეკემბერი 1995=100 (პერიოდის ბოლოს)	სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება (% ბოლო თვე წინა პერიოდის ბოლო თვესთან შედარებით)	საბაზო ინფლაციის ცვლილება (% ბოლო თვე წინა პერიოდის ბოლო თვესთან შედარებით)*	მწარმოებელთა ფასების ინდექსი დეკემბერი 2000=100(პერიოდის ბოლო თვე)
2000	156.7	4.6	0.9	100.0
2001	162.1	3.4	1.3	108.9
2002	170.9	5.4	0.5	111.3
2003	182.7	7.0	2.3	118.7
2004	196.5	7.5	2.2	120.1
2005	208.6	6.2	3.0	130.1
Q1	202.4	3.0	0.6	129.8
Q2	197.7	-2.3	0.0	128.3
Q3	198.7	0.5	1.1	127.4
Q4	208.6	5.0	1.2	129.2
2006	226.9	8.8	1.4	145.0
Q1	211.6	1.5	0.6	133.9
Q2	220.3	4.1	0.9	145.3
Q3	221.0	0.4	-1.1	146.1
Q4	226.9	2.6	-0.6	145.0
2007				
Q1	232.2	2.3	-0.4	148.8
Q2	236.2	1.7	-0.8	155.8

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და საქართველოს ეროვნული ბანკი
შენიშვნა: * საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი ძირითადად არ მოიცავს ევზოვენურ ფაქტორებს და მეტწილად ასახავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენას ფასების ცვლილებაზე. სტაბილური საბაზისო ინფლაცია მიუთითებს იმაზე, რომ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას არ გამოუწვევია სამომხმარებლო ფასების მკვეთრი ცვლილება

2007 წლის ივნისში სამომხმარებლო ფასები წლიურ გამოსახულებაში წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტით შემცირდა. იმის გამო, რომ 2006 წლის იმავე პერიოდშიც სამომხმარებლო ფასების წლიური კლება 0.2 პროცენტი იყო, ივნისში წლიური ინფლაცია არ გაზრდილა. მართალია, აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით შემცირდა, მაგრამ საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მაინც მაღალი დარჩა: მან 10.1 პროცენტი შეადგინა.

საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით, ფასების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ივნისში ფასებმა დაიკლო როგორც ხანმოკლე, ისე საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, თუმცა გაიზარდა მომსახურების ფასები. წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი დარჩა ხანმოკლე მოხმარების საქონელზე (7.3 პროცენტი). ბევრად უფრო მაღალი იყო იგი მომსახურების სფეროში (11.3 პროცენტი).



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

აღსანიშნავია, რომ აპრილში შედარებით უმნიშვნელო, ხოლო მაისში საკმაოდ სერიოზული (1.6 პროცენტით) ზრდის შემდეგ, ივნისში ადგილი ჰქონდა თვიური ინფლაციის შემცირებას. ეს ძირითადად სეზონური ფაქ-

ტორებით, კერძოდ, სოფლის მეურნეობის გარკვეული პროდუქტების გაიაფებით იყო განპირობებული. ფასების ამგვარ დინამიკაზე გავლენა იქონია აგრეთვე სებ-ის მიერ განხორციელებულმა სტერილიზაციის ღონისძიებებმა და მთავრობის შედარებით თავშეკავებულმა ხარჯვითმა პოლიტიკამ, რასაც საბაზო ინფლაციის უარყოფითი მაჩვენებელიც (-0.8) ადასტურებს.

სამომხმარებლო ფასებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთლიანობაში 4.1 პროცენტით მოიმატა, საიდანაც 1.6 პროცენტი რეგულირებადი ფასების მქონე პროდუქტებზე მოდიოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა ისეთ სამომხმარებლო ჯგუფებში შეინიშნებოდა, როგორცაა: ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები, რაშიც დიდი როლი ითამაშა ბუნებრივი აირის, წყლისა და ნაგვის გატანის გადასახდელის მატებამ.

სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე გარკვეული გავლენა იქონია მწარმოებელთა ფასების მატებამ როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში, რაც უპირატესად ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის, აგრეთვე წყლის დაგროვების, გაწმენდისა და განაწილების ფასების საგრძნობი ზრდით იყო განპირობებული.

ცხრილი 15: საპროცენტო განაკვეთები

	ფულის ბაზრის განაკვეთი (ეროვნულ ვალუტაში)*	ფულის ბაზრის განაკვეთი (უცხოურ ვალუტაში)**	კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთები (წლიური საშუალო შეწონილი)							
			სესხებზე				დეპოზიტებზე			
			ეროვნულ ვალუტაში		უცხოურ ვალუტაში		ეროვნულ ვალუტაში		უცხოურ ვალუტაში	
			მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
2000	-	-	22	17	30	20	11	2	11	13
2001	-	-	24	17	27	21	8	3	11	12
2002	24	16	25	16	25	20	11	12	11	12
2003	12	13	25	19	23	19	10	12	10	11
2004	8	8	27	20	22	17	8	12	9	11
2005	8	7	22	21	20	16	9	12	8	10
Q1	9	5	23	21	22	16	8	11	8	10
Q2	7	7	22	22	21	16	9	11	8	10
Q3	8	8	21	21	20	16	8	12	7	10
Q4	10	8	21	20	20	15	9	13	8	11
2006	9	11	21	20	18	16	10	13	7	10
Q1	7	11	21	20	19	15	10	13	8	11
Q2	8	9	20	20	19	16	7	13	6	10
Q3	9	11	20	20	18	16	7	13	6	10
Q4	13	12	22	19	18	16	7	13	7	10
2007										
Q1	8	9	22	19	18	16	7	12	7	10
Q2	7.5	11.0	22.2	19.5	17.8	16.1	7.4	12.2	7.1	10.4

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

შენიშვნა: * ფულის ბაზრის საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში მოიცავს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის საშუალებით და აუქციონის გარეთ ბანკთაშორის ბაზარზე გაცემულ 1 წლამდე ვადიანობის სესხების გასაშუალებულ საპროცენტო განაკვეთებს

** ფულის ბაზრის განაკვეთები უცხოურ ვალუტაში მოიცავს უშუალოდ ბანკთაშორის ბაზარზე გაცემულ 1 წლამდე ვადიანობის სესხებზე გასაშუალებულ წლიურ საპროცენტო განაკვეთებს

ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობის ზრდის მიუხედავად, საანალიზო პერიოდში საშუალო შეწონილი სადეპოზიტო განაკვეთის მნიშვნელოვან კვარტალურ ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. ეროვნულ ვალუტაში მოზიდულ დეპოზიტებზე კომერციული ბანკების მიერ გადახდილი წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.3 პროცენტს შეადგენდა, უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე კი 8.4 პროცენტი იყო.


კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა საპროცენტო განაკვეთმა მეორე კვარტლის ბოლოს 11.1 პროცენტი შეადგინა, რაც 4.6 პროცენტული პუნქტით მეტი იყო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. გაიზარდა უცხოურ ვალუტაში იურიდიული და ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთიც: მისმა სიდიდემ 9.4 პროცენტი შეადგინა, რაც 4 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

საპროცენტო განაკვეთების შესამჩნევ წლიურ ზრდას ჰქონდა ადგილი როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში მოზიდულ მოთხოვნამდე დეპოზიტებზეც (1.5 და 1.4 პროცენტული პუნქტით). განაკვეთების ასეთი ცვლილებები, სავარაუდოდ, ბანკებს შორის კონკურენციის გაძლიერებას უნდა უკავშირდებოდეს.

საანალიზო პერიოდში არსებითად არ შეცვლილა საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან სესხებზე, თუმცა მეორე კვარტლის ბოლოს ლარით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი წლიურ გამოსახულებაში 0.6 პროცენ-

ტით გაიზარდა და 21 პროცენტი შეადგინა. შედარებით უმნიშვნელოდ (0.3 პროცენტით) გაიზარდა უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი, რომელმაც 16.5 პროცენტი შეადგინა.

საპროცენტო განაკვეთების მცირე, მაგრამ მაინც მატება ერთობლივი მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს. ამასთან, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე უფრო მეტ დინამიკას ავლენდნენ, რაც ამ სახის სესხებზე მოთხოვნის სტაბილურობის მაჩვენებელია.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეული ცვლილება განიცადა წმინდა საპროცენტო მარჟამ. ვინაიდან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების მატება რამდენადმე აღემატებოდა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას, წმინდა საპროცენტო მარჟის სიდიდე ოდნავ შემცირდა, რაც საბანკო სისტემის განვითარების კვალობაზე სრულიად კანონზომიერი მოვლენაა.

2007 წლის მეორე კვარტალში კვლავ უმნიშვნელო იყო ეროვნულ ვალუტაში ფულის ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ფორმირებაზე ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონების გავლენა, რასაც ძირითადად სებ-ის მიმდინარე პოლიტიკა განაპირობებდა, რომელიც არ ღებულობს მონაწილეობას ამ აუქციონებში. სამაგიეროდ კიდევ უფრო გააქტიურდა პირდაპირი ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზარი, რომელიც ბოლო პერიოდში, ბანკებს შორის ჭარბი ლიკვიდობის გადანაწილების ძირითად არტერიად იქცა.


ცხრილი 16: გაცვლითი კურსები და სებ-ის წმინდა ინტერვენციები

წელი	ნომინალური გაცვლითი კურსი (საშუალოდ პერიოდისთვის)		ბანკოტური კურსი აშშ დოლარი/ლარი (საშუალოდ პერიოდისთვის)	რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი დეკემბერი 1995=100 (პერიოდის ბოლოს)	სებ-ის წმინდა ინტერვენციები (ათასი აშშ დოლარი)
	აშშ დოლარი/ლარი	ევრო/ლარი			
2000	1.9759	-	-	110.2	-71416
2001	2.0723	1.8473	2.0816	108.2	-35448
2002	2.1945	2.0714	2.3822	102.7	-40459
2003	2.1459	2.4243	2.1502	94.9	-42685
2004	1.9168	2.3814	1.9160	107.0	-182662
2005	1.8126	2.2601	1.8154	110.3	-42919
Q1	1.8272	2.3995	1.8302	103.6	10600
Q2	1.8250	2.3032	1.8276	104.1	-10885
Q3	1.8046	2.2039	1.8068	104.6	-24652
Q4	1.7936	2.1338	1.7960	110.2	-17982
2006	1.7766	2.2293	1.7608	109.4	-341237
Q1	1.8148	2.1810	1.8131	105.5	11323
Q2	1.8033	2.2637	1.8008	111.1	-74282
Q3	1.7552	2.2373	1.7146	110.8	-47544
Q4	1.7331	2.2352	1.7150	110.3	-230734
2007					
Q1	1.7115	2.2420	1.7072	110.5	-143659
Q2	1.6845	2.2693	1.6791	110.7	-245870

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და GEPLAC-ის გაანგარიშებები


საანალიზო პერიოდში გავრძელდა აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის გამყარების ხანგრძლივი ტენდენცია: 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ლარის კურსი გამყარდა, როგორც

პერიოდის ბოლოს (5.84 პროცენტი), ისე პერიოდის საშუალო (6.59 პროცენტი) მონაცემების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ბანკების მიერ მიწოდებული უცხოური ვალუტის მოცულობა წლიურ ჭრილში 80 პროცენტით გაიზარდა, მოთხოვნილი უცხოური ვალუტის მოცულობა კი პირიქით, 21.6 პროცენტით შემცირდა. ამ ფონზე, ცხადია, გაიზარდა სებ-ის ინტერვენციები, რომელმაც 256.4 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. ეს 164 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ისე როგორც წინა კვარტალში, ამჯერადაც სებ-ის ინტერვენციების მიზანს ლარის კურსის დინამიკაში არასასურველი რყევების თავიდან აცილება წარმოადგენდა, რაც, საბოლოო ჯამში, ეროვნული ვალუტის გამყარებაში აისახა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2007 წლის აპრილ-მაისში ადგილი ჰქონდა წლიურ გამოსახულებაში ლარის ეფექტური გაცვლითი კურსის თანმიმდევრულ გამყარებას (შესაბამისად, 3.1 და 2.7 პროცენტული პუნქტით), თუმცა ივნისში ეს მაჩვენებელი რამდენადმე შემცირდა, რაც საქართველოში, მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით დაბალი ინფლაციით იყო გამოწვეული.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანალიზო პერიოდში, შიდა სავალუტო ბაზრის საბირჟო, პირდაპირ ბანკთაშორის და ბანკოტურ სეგმენტებზე ადგილი ჰქონდა ლარის გაცვლითი კურსების მოძრაობის თანხვედრას. განსხვავება ლარის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის, შედარებით მცირე იყო (სტანდარტული გადახრები ყიდვისა და გაყიდვის კურსების სფი-ს შეადგენდა შესაბამისად, საშუალოდ 0.008454 და 0.008326), რაც სავალუტო ბაზრის სტაბილურობაზე მიუთითებს.

4. შრომის ბაზარი და შინამეურნეობათა ბიუჯეტები

ცხრილი 17: მოსახლეობა და დასაქმება (ათასი კაცი)

	სულ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა	ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა*		დასაქმებული					სულ დასაქმების დონე (%)
		სულ	სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი (%) *	სულ	დაქირავებული	თვითდასაქმებული	შრომის-უნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი (%)	შრომის-უნარიანი ასაკის ზემოთ მოსახლეობის წილი (%)	
2000	3148.1	2051.6	65.2	1839.3	684.3	1043.9	79.2	20.8	58.4
2001	3191.1	2113.3	66.2	1877.7	654.6	1135.9	80.2	22.0	58.8
2002	3239.5	2104.2	65.0	1839.2	650.9	1184.9	80.0	20.1	56.8
2003	3098.8	2050.4	66.1	1814.5	618.5	1195.2	79.8	18.9	58.5
2004	3151.1	2041.0	64.8	1783.3	600.9	1180.8	77.9	19.2	56.6
2005	3162.3	2023.9	64.0	1744.6	600.5	1143.3	82.0	18.8	55.2
Q1	3177.9	1999.4	62.9	1705.1	595.1	1108.7	80.3	19.7	53.7
Q2	3148.7	2035.5	64.6	1763.2	604.5	1158.0	82.9	17.1	56.0
Q3	3131.5	2011.8	64.2	1744.9	587.4	1156.7	81.2	18.8	55.7
Q4	3191.1	2048.8	64.2	1765.1	614.8	1149.9	83.9	19.4	55.3
2006	3159.5	1968.8	62.3	1700.5	583.1	1116.2	83.2	17.6	53.8
Q1	3169.8	1925.1	60.7	1643.1	586.2	1055.5	82.9	17.1	51.8
Q2	3138.7	1952.3	62.2	1699.9	566.9	1130.4	83.8	16.2	54.2
Q3	3113.0	1960.5	63.0	1691.5	574.8	1116.2	83.5	19.4	54.3
Q4	3216.3	2037.4	63.3	1767.4	604.2	1162.7	82.4	17.6	55.0
2007									
Q1	3397.4	1993.4	59.0	1658.6	604.7	1053.7	82.6	17.4	49.0
Q2	3389.4	2043.9	60.3	1735.6	664.6	1071.1	83.5	16.6	51.2

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * შსო-ს "შკაცრი" კრიტერიუმით

2007 წლის პირველ ნახევარში სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა, რითაც გაგრძელდა ბოლო წლების დაღმავალი ტენდენცია. მთლიანი დასაქმების წილმა სამუშაო ძალაში იკლო, დაქირავებით დასაქმებულთა წილი კი მთლიან დასაქმებაში გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ გაგრძელდა მთლიან დასაქმებაში თვითდასაქმებულთა წილის კლება, ამ ტიპის დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი ბევრი შინამეურნეობისთვის კვლავ ერთობ მნიშვნელოვანი იყო.

დაქირავებით დასაქმებულთა წილმა ზრდასული მოსახლეობის 19.6 პროცენტი შეადგინა. მათი ნომინალური თვიური ხელფასი ზრდის ტენდენციას ავლენდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები უფრო სწრაფი ტემპით მატულობდა, ხელფასები კერძო სექტორში მაინც უფრო მაღალი იყო. იზრდებოდა ინფლაციის და საარსებო მინიმუმის დონე. საანალიზო პერიოდში ადგილი ჰქონდა აგრეთვე წლიურ გამოსახულებაში უმუშევრობის დონის მატებას.

წლის პირველ ნახევარში კვლავ შემცირდა სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი, რაც ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ ტენდენციას ასახავდა. როგორც ჩანს, ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგად "იმედგაცრუებული" მუშაკები თავს ანებებენ სამუშაოს ძიებას და თანდათან აკლდებიან სამუშაო ძალას. სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა, წინა კვარტალთან შედარებით კი 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ეს, ჩვეულებრივ, სეზონური ზრდის გამოვლინებაა, რაც ამჯერად, ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე წინა წლებში.

საანალიზო პერიოდში მთლიანი დასაქმების წილი მთელ სამუშაო ძალაში წლიურ გამოსახულებაში 2.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო კვარტალურში 1.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, თუმცა მისმა აბსოლუტურმა მაჩვენებელმა როგორც წლიური, ისე კვარტალური ზრდა აჩვენა.

დაქირავებით დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში გაიზარდა როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ისე წინა კვარტალთან შედარებით, რაც, ამკარად, დასაქმების სტრუქტურის ისეთი ცვლილების ნიშანია, როდესაც სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი მცირდება, აბსოლუტური დასაქმების მაჩვენებლები კი, დაქირავებით დასაქმების შესაძლებლობების მატების ხარჯზე, იზრდება. ამგვარი სურათი სამუშაო ადგილების შექმნის უკეთესი პირობების მაჩვენებელია. ისინი უფრო კერძო სექტორში იქმნება, ვიდრე სახელმწიფო სექტორში, სადაც პირიქით, დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება.

შესაბამისად, იგივე ზომით იკლო თვითდასაქმების წილმა წლიურ და კვარტალურ გამოსახულებაში. აბსოლუტურ გამოსახულებაში კი, სეზონური ფაქტორის გავლენით, გაიზარდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მართალია, მეტი ადამიანი შოულობს ხელფასიან სამუშაოს, მაგრამ თვითდასაქმებას კვლავ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს: მზარდი ფასების პირობებში ოჯახში ერთი ადამიანის ხელფასი, ჩვეულებრივ, საკმარისი არ არის.

სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტისა და მთლიანი სამუშაო ძალის მაჩვენებლის შედარება აბსოლუტურ გამოსახულებაში მთლიანი დასაქმების ზრდისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის მატების ფონზე მოხდა. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ ასაკობრივი ჯგუფისთვის, რომელიც, დემოგრაფიული ფაქტორების გამო, საანალიზო პერიოდში უფრო მრავალრიცხოვანი იყო, მეტი სამუშაო ადგილი იყო ხელმისაწვდომი.

ცხრილი 18: უმუშევრობის დონე (ათასი კაცი)

	სულ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა	უმუშევრობა *		უმუშევრობის დონე (%)*		არააქტიური მოსახლეობა 15-70 წლის ასაკში*	
		სულ	უმუშევრობის დონე (%) *	შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში**	შრომისუნარიანი ასაკის ზემოთ მოსახლეობაში **	სულ	დასაქმებული შინამეურნეობაში
2000	3148.1	212.2	10.3	12.2	2.6	898.8	265.0
2001	3191.1	235.6	11.1	13.4	1.8	872.4	250.5
2002	3239.5	265.0	12.6	14.9	2.2	910.0	280.2
2003	3104.9	235.9	11.5	13.4	2.3	847.1	257.3
2004	3151.1	257.6	12.6	14.9	1.8	895.4	257.1
2005	3162.3	279.3	13.8	16.3	0.9	913.6	248.5
Q1	3177.9	294.3	14.7	17.3	2.3	941.5	258.8
Q2	3148.7	272.3	13.4	15.9	1.3	902.5	241.0
Q3	3131.5	266.9	13.3	15.7	0.8	911.7	244.9
Q4	3191.1	283.7	13.8	16.1	2.7	898.6	249.4
2006	3159.5	268.5	13.6	15.8	0.9	957.6	259.4
Q1	3169.8	282.0	14.6	16.5	0.5	993.4	279.1
Q2	3138.7	252.4	12.9	14.3	1.1	953.2	242.1
Q3	3113.0	269.0	13.7	15.4	0.4	921.3	253.0
Q4	3216.3	270.4	13.3	17.1	1.6	962.3	263.4
2007							
Q1	3397.4	305.6	15.3	19.2	2.9	948.7	265.5
Q2	3389.4	308.3	14.9	18.8	0.8	968.8	244.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები
შენიშვნა: * შსო-ს "შკაცი" კრიტერიუმით
** შრომისუნარიანი ასაკი ქალებისთვის 15-60 წელია, მამაკაცებისთვის 15-65 წელი

2007 წლის მეორე კვარტალში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის "შკაცი" კრიტერიუმით გამოანგარიშებული უმუშევრობის დონე წლიურ გამოსახულებაში 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო კვარტალურში 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა. უმუშევრობის დონე წლის მეორე კვარტალში, სეზონური ფაქტორის გავლენით, პირველ კვარტალთან შედარებით ჩვეულებრივ მცირდება, მაგრამ, ამჯერად, კლება უმნიშვნელო იყო, მაშინ, როცა წლიური ზრდა საკმაოდ საგრძნობი აღმოჩნდა.

ცხრილი 19: ხელფასები (ლარი)

	საშუალო თვიური ხელფასი	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის წილი საარსებო მინიმუმში*		თვიური ნომინალური ხელფასი	
		მომუშავე კაცისთვის (%)	ოთხსულიანი ოჯახისთვის (%)	სახელმწიფო სექტორი, მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციები	კერძო სექტორი
2000	72.5	62.9	35.9	54.0	106.1
2001	82.6	70.0	39.9	63.0	120.6
2002	99.1	79.0	45.0	77.6	139.4
2003	101.5	77.7	44.3	79.3	145.8
2004	116.4	84.9	48.4	93.7	160.0
2005	149.3	98.0	56.1	130.9	184.0
Q1	128.0	84.2	47.9	108.3	162.9
Q2	146.1	96.5	55.0	124.0	182.4
Q3	156.4	102.4	58.9	142.9	184.8
Q4	166.7	109.1	62.7	148.3	206.1
2006	190.2	184.3	104.1	167.5	235.1
Q1	171.2	182.6	103.1	155.6	211.9
Q2	188.9	187.1	105.6	161.8	233.8
Q3	193.2	185.4	104.6	163.2	242.7
Q4	207.4	182.2	103.1	189.3	252.1
2007					
Q1	223.3	186.7	119.6	205.4	255.6
Q2	227.1	186.8	105.4	209.2	257.5

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

აღმავალ ტენდენციას ავლენდა მთლიანად ეკონომიკაში დაქირავებულ მუშაკთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იზრდებოდა ინფლაციისა და საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებიც.

ნებლებიც. 2006 წლის დასაწყისიდან მოყოლებული ნომინალური ხელფასი და საარსებო მინიმუმი თითქმის თანაბარზომიერად იზრდებოდა, მაგრამ 2007 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნომინალური ხელფასის მატებამ უფრო სწრაფი ტემპი გამოავლინა. წინა კვარტალთან შედარებით კი, ნომინალური ხელფასი გაიზარდა, ხოლო საარსებო მინიმუმი შემცირდა.

საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასებმა სახელმწიფო სექტორში მნიშვნელოვანი წლიური და მცირედი კვარტალური ზრდა აჩვენა. მატება აღინიშნა კერძო სექტორშიც, თუმცა გაცილებით ნაკლები ტემპით. სახელმწიფო სექტორში ხელფასების უფრო სწრაფი გადიდების მიუხედავად, მათი დონე სიდიდით მაინც ბევრად ჩამოუვარდებოდა კერძო სექტორის ხელფასებს. კერძო სექტორში ხელფასების მატებას, ცხადია, შრომის ბაზარი განაპირობებდა, ამიტომ აღნიშნული ზრდა გაცილებით მცირე იყო, ვიდრე სახელმწიფო სექტორში.

ცხრილი 20: შინამეურნეობათა თვიური ფულადი შემოსავლები (ლარი)



	ხელფასი	თვითდასაქმება	შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	შემოსავალი ქონებიდან	პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	ფულადი გზავნილები	ფულის სესხება ან დანაზოგების გამოყენება, ქონების გაყიდვა	მოთიანი ფულადი შემოსავალი	ხელფასი (მთლიანი შემოსავლის %)
2000	43.9	21.6	20.9	1.3	8.5	11.9	26.9	135.0	32.5
2001	52.7	24.3	21.4	1.6	12.3	18.1	18.6	149.0	35.4
2002	57.5	28.9	28.9	1.0	12.2	23.6	44.4	196.5	29.3
2003	60.4	32.2	30.8	1.6	8.3	38.6	41.7	213.7	28.3
2004	67.4	36.6	34.3	2.3	15.6	34.1	42.7	232.9	28.9
2005	87.5	39.5	32.1	3.3	25.6	36.6	43.1	267.6	29.7
Q1	73.9	41.1	31.1	3.6	22.2	34.7	40.5	247.0	29.9
Q2	87.3	41.5	24.5	3.1	26.8	32.7	36.9	252.7	34.6
Q3	90.6	39.7	28.6	3.1	25.5	37.5	40.2	265.2	28.1
Q4	98.0	35.7	44.2	3.4	27.8	41.4	54.9	305.4	26.0
2006	107.2	40.7	32.2	1.5	32.5	43.0	46.9	303.8	27.8
Q1	95.9	35.6	34.7	1.9	27.7	38.4	36.4	270.1	25.2
Q2	103.8	37.8	26.3	0.9	32.8	45.5	54.8	301.6	27.8
Q3	112.4	42.3	31.2	1.5	33.5	43.0	52.0	316.1	28.8
Q4	116.7	47.2	36.5	1.5	36.1	45.2	44.4	327.5	29.4
2007									
Q1	125.0	35.1	28.9	5.3	40.7	54.4	50.3	341.8	29.7
Q2	133.8	41.0	19.9	4.1	40.8	47.9	42.8	333.2	33.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

ყველაზე დიდი წილი შინამეურნეობათა თვიურ ფულად შემოსავლებში საანალიზო პერიოდში კვლავ ხელფასებზე მოდიოდა, რომლის წილიც როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში გაიზარდა და 40.2 პროცენტი შეადგინა (წინა წლის შესაბამის პერიოდში ეს მაჩვენებელი 34.4 პროცენტს აღწევდა).

შინამეურნეობათა ფულადი შემოსავლების სიდიდით მომდევნო წყარო ფულადი გზავნილები იყო (14.4 პროცენტი): მისმა წილმა იკლო როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან (15 პროცენტი), ისე წინა კვარტალთან შედარებით, თუმცა მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რაც შინამეურნეობათა ბიუჯეტისთვის შემოსავლის ამ წყაროს სტაბილურად დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ფულის სესხებით, დანაზოგების გამოყენებით და ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლის წილი (12.8 პროცენტი) სიდიდით მესამე იყო. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ წყარომ მეორედან მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა: მისი წილი შემცირდა როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

საანალიზო პერიოდში თვითდასაქმებიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა შინამეურნეობათა მთლიან ფულად შემოსავლებში, ისე როგორც 2006 წლის მეორე კვარტალში, მეოთხე ადგილი დაიკავა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მისი წილი შემცირდა, მაგრამ გაიზარდა წინა კვარტალთან შედარებით.

შინამეურნეობათა მთლიან ფულად შემოსავლებში ტრადიციულად უფრო დაბალ, კერძოდ, მეხუთე ადგილს ინარჩუნებდა პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები, თუმცა, ამ კატეგორიის წილი გაიზარდა წლიურ (10.9-დან 12.2 პროცენტამდე) და კვარტალურ გამოსახულებაში.

ბოლოს წინა, სიდიდით მეექვსე პოზიციაზე აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი, რომლის წილმა შინამეურნეობათა მთლიან ფულად შემოსავლებში საგრძნობლად იკლო როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან (8.7 პროცენტიდან 5.9 პროცენტამდე), ისე წინა კვარტალთან შედარებით.

უკანასკნელი ადგილი შინამეურნეობათა ფულად შემოსავლებში ქონების გაყიდვით მიღებულმა შემოსავალმა დაიკავა, რომელიც, 2006 წლის მეორე კვარტალის მსგავსად, მეშვიდე ადგილზე იყო. მან 0.3-დან 1.2 პროცენტამდე წლიური ზრდა აჩვენა, თუმცა წინა კვარტალთან შედარებით შემცირდა.

ცხრილი 21: შინამეურნეობათა თვიური ფულადი ხარჯები (ლარი)

	მთლიანი ფულადი ხარჯები*	სამომხმარებლო ხარჯები (საქონლისა და მომსახურების შესყიდვა)	სურსათი, სასმელი, თამბაქოს ნაწარმი	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	საოჯახო მოხმარების საქონელი	ჯანდაცვა	სათბობი და ელექტრო-ენერჯია	ტრანსპორტი	განათლება, კულტურა და დასვენება	სხვა სამომხმარებლო ხარჯები	დანაზოგები და ქონების შექმნა
2000	217.0	197.0	100.9	12.7	27.1	10.2	15.8	13.6	7.0	9.7	20.0
2001	222.6	201.8	106.7	12.2	25.6	11.5	17.1	12.4	7.3	9.2	20.6
2002	240.0	216.7	113.0	12.4	7.6	15.7	20.0	25.7	13.3	9.1	23.2
2003	245.9	219.8	116.8	13.3	7.6	13.8	20.0	22.2	6.2	19.9	26.1
2004	268.2	245.7	131.6	14.5	9.1	15.3	21.8	23.5	6.6	23.1	22.7
2005	287.0	265.5	133.9	14.9	9.8	19.5	26.1	27.0	7.9	26.5	21.5
Q1	279.5	261.1	131.7	15.0	10.2	18.4	27.1	26.5	8.6	23.5	18.5
Q2	273.7	257.4	132.0	12.9	8.7	20.3	22.9	27.3	9.0	24.2	16.4
Q3	272.2	250.0	128.6	13.3	9.2	18.8	22.7	25.5	5.8	26.1	22.2
Q4	322.3	293.3	143.3	18.2	10.9	20.3	31.7	28.6	8.1	32.2	29.0
2006	314.8	289.7	146.6	15.0	10.3	23.4	29.9	26.8	9.5	28.2	25.1
Q1	281.0	262.2	131.6	14.7	10.4	19.4	30.2	22.2	9.1	24.6	18.8
Q2	316.2	276.2	139.5	12.2	9.5	26.2	23.8	29.4	10.0	25.6	40.0
Q3	307.3	285.2	150.1	12.9	10.2	23.4	27.2	27.7	6.6	27.0	22.1
Q4	354.6	335.1	165.2	20.5	11.2	24.6	38.1	27.9	12.1	35.4	19.5
2007											
Q1	353.8	327.9	153.3	15.0	12.4	32.0	39.8	29.7	14.6	31.1	25.9
Q2	329.5	302.4	150.7	13.1	10.3	25.8	33.8	27.3	12.9	28.6	27.1



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * მთლიანი ხარჯები მოცემულ ცხრილში არ მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ხარჯებს

შინამეურნეობათა ხარჯებში ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებზე მოდიოდა. მან საანალიზო პერიოდში 91.8 პროცენტი შეადგინა მაშინ, როდესაც წინა წლის შესაბამის პერიოდში იგი 87.3 პროცენტი იყო. აღნიშნული ხარჯების უმსხვილეს კატეგორიას წარმოადგენს ხარჯები საკვებზე, სასმელსა და თამბაქოზე, რომელთა წილი მეორე კვარტალში წლიურ გამოსახულებაში 44.1-დან 45.6 პროცენტამდე ავიდა. ადგილი ჰქონდა ასევე ამ მაჩვენებლის კვარტალურ მატებას. დასახელებული კატეგორიის საქონელზე გაწეული ხარჯები გაიზარდა აბსოლუტურ გამოსახულებაშიც, რაც საკვებ პროდუქტებზე ფასების მატებაზე მეტყველებს.

შინამეურნეობათა ფულად ხარჯებში სიდიდით მეორე ელექტროენერჯიასა და სათბობზე გაწეული დანახარჯები იყო, რომელთა წილიც წლიურ გამოსახულებაში 7.5-დან 10.3 პროცენტამდე გაიზარდა და მეექვსე პოზიციიდან ხევიტ გადაინაცვლა. კვარტალურ ჭრილში კი ამ სახის ხარჯების წილი შემცირდა. ეს სურათი ელექტროენერჯიისა და სათბობის ფასების ზრდას და მათზე სეზონურად ცვალებად მოთხოვნას ასახავს.

რიგით მესამე შინამეურნეობათა ფულად ხარჯებში სხვა სამომხმარებლო ხარჯების კატეგორია იყო მაშინ, როდესაც წინა წლის იგივე პერიოდში მას მეხუთე პოზიცია ეკავა. ამ ხარჯების წილი წლიურ გამოსახულებაში 8.1 პროცენტიდან 8.9 პროცენტამდე გაიზარდა, წინა კვარტალთან შედარებით კი შემცირდა.

ტრანსპორტზე ხარჯების წილი შინამეურნეობათა ფულად ხარჯებში, რომელიც ერთი წლის წინ 9.3 პროცენტს შეადგენდა და სიდიდით მესამე იყო, 8.3 პროცენტამდე შემცირდა და მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა. ეს ხარჯები წინა კვარტალთან შედარებითაც შემცირდა, თუმცა უმნიშვნელოდ.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

დანაზოგებსა და ქონების შესყიდვაზე დანახარჯების მაჩვენებელმა შინამეურნეობათა ფულად ხარჯებში წინა წლის ანალოგიური პერიოდის მეორე პოზიციიდან საანალიზო პერიოდში მეხუთეზე გადაინაცვლა (შესაბამისად, 12.7 და 8.2 პროცენტი), თუმცა გაიზარდა წინა კვარტალთან შედარებით.

ჯანდაცვაზე ხარჯებმა, რომლებმაც მეოთხე პოზიცია ტრანსპორტზე ხარჯებს დაუთმო, შინამეურნეობათა ფულად ხარჯებს შორის მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა, რაც სხვა სასიცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამ კატეგორიის ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში (7.8 პროცენტი) შემცირდა როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ისე წინა კვარტალთან შედარებით.

ტრანსაცმლისა და ფხსაცმლის შექნაზე გაწეული ხარჯები სიდიდით კვლავ მეშვიდე იყო. წლიურ გამოსახულებაში იგი უმნიშვნელოდ გაიზარდა, თუმცა კვარტალურში ოდნავ შემცირდა.

მერვე ადგილს ინარჩუნებდა განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე ხარჯები. წლიურ გამოსახულებაში იგი 3.2-დან 3.9 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო კვარტალურში – მნიშვნელოვნად შემცირდა.

საოჯახო მოხმარების საქონელს შინამეურნეობათა ფულად ხარჯებში კვლავ ბოლო, მეცხრე პოზიცია ეკავა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შინამეურნეობები ამ მოთხოვნას მხოლოდ თანხების მორჩენის შემთხვევაში იკმაყოფილებენ. ამ კატეგორიის წილი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა წლიურ გამოსახულებაში, თუმცა წინა კვარტალთან შედარებით შემცირდა.

5. საგარეო სექტორი

ცხრილი 22: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი კომპონენტები (მილიონი აშშ დოლარი)

	საქონლის და მომსახურების სავაჭრო ბალანსი	მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (მშპ-ის %)	წმინდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები	პორტფელის ინვესტიციები	მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ცვლილება	საერთაშორისო რეზერვების საქონლის იმპორტით გადაფარვა (თვეებში)	მთლიანი საგარეო ვალი (მშპ-ის %)
2000	-533.7*	-161.2	-5.3	131.7	2.7	-28.4	1.4	50.9
2001	-472.3	-211.4	-6.6	109.9	2.0	45.9	1.9*	50.0
2002	-446.8*	-207.2*	-6.1*	156.1*	0.0	40.3	2.2*	51.5
2003	-578.5*	-375.6*	-9.4	330.9*	0.0	-6.0	1.6*	45.9
2004	-848.2*	-344.3*	-6.7	482.8*	-13.1	190.4	2.3	34.2
2005	-1134.6*	-700.7*	-10.9*	542.3*	15.5	92.0	2.1*	27.1
Q1	-193.6	-119.2*	-8.7*	86.1*	5.6	-2.2	2.3*	28.8
Q2	-216.1	-136.4*	-8.8*	196.9*	2.9	58.2	2.5*	27.4
Q3	-320.4	-187.8*	-11.2*	79.6*	7.0	8.0	2.2*	27.2
Q4	-404.5	-257.1*	-14.2*	179.7*	0.0	28.0	2.1*	27.1
2006	-1845.5	-1154.1*	-14.9*	1075.6*	115.6	452.2	3.0*	21.3
Q1	-311.6	-192.0*	-12.3*	143.8*	0.0	4.9	2.0*	22.8
Q2	-471.8	-320.2*	-17.2*	300.1*	0.0*	63.4	2.0*	23.0
Q3	-544.0*	-347.1*	-16.8*	277.9*	-3.4	83.6	2.1	22.3
Q4	-518.0*	-294.7*	-12.9*	353.8*	119.0*	300.3	3.0*	21.3
2007								
Q1	-555.2	-380.3*	-19.1*	282.3*	-20.2	88.2	3.1*	21.4
Q2	-500.2	-426.4	-17.5	360.4	8.0	201.7	3.5	19.2

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები


მეორე კვარტალში გაგრძელდა მიმდინარე ოპერაციების ბალანსის გაუარესების ტენდენცია, რის გამოც მისი დეფიციტი წლიური და კვარტალური ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა. ექსპორტის დივერსიფიკაციის შედეგად, ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებით, მისი მკვეთრი მატება გამოვლინდა, როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე წინა კვარტალთან შედარებით, შესაბამისად, 44.2 და 35.6 პროცენტით. აღსანიშნავია ისიც, რომ საგადამხდელო ბალანსის მიხედვით, იმპორტის წლიური და კვარტალური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ექსპორტის შესაბამის მაჩვენებლებს, რის შედეგადაც საქონლის სავაჭრო ბალანსი კვარტალურ გამოსახულებაში 4.2 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე მთლიანობაში უარყოფით გავლენას ახდენდა საქონლის ვაჭრობისა და შემოსავლების ბალანსი. ამ უკანასკნელის გაუარესება წლიურ და კვარტალურ ჭრილში ქვეყნიდან საინვესტიციო შემოსავლების სახით ფულადი ნაკადების გადინებას უკავშირდებოდა. შედეგად, საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ მართალია, წინა კვარტალთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა, მაგრამ წლიურ გამოსახულებაში დეფიციტის გაღრმავების ტენდენცია მაინც კერძო იქნა დაძლეული.

ტრანსპორტით გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავლები მომსახურების სექტორის საგარეო შემოსავლების 49 პროცენტს შეადგენდა. საქართველოს მხრიდან გაწეული სატრანსპორტო ხარჯები კი, მომსახურების მთლიანი გასავლების 55.3 პროცენტს აღწევდა. ამასთან, წლიურ გამოსახულებაში თითქმის გაორმაგდა მილსადენებით ტრანსპორტირების შედეგად მიღებული შემოსავლები, რომელმაც 49.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დადებითი ბალანსით იყო წარმოდგენილი აგრეთვე, სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვები. აღსანიშნავია ისიც, რომ საგზაო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მაჩვენებლები კვლავ უარყოფითი საღლოთი იყო გამოსახული.

სეზონური ფაქტორის ზემოქმედებით, საქმიანი და პირადი ტურიზმიდან მიღებული წმინდა საგარეო შემოსავლები თითქმის 2.5-ჯერ აღემატებოდა სატრანსპორტო მომსახურების ანალოგიურ მაჩვენებელს. გაგრძელდა აგრეთვე, სამთავრობო მომსახურების შემოსავლების წლიური ზრდის ტენდენცია, კვარტალურ ჭრილში

კი ადგილი ჰქონდა ამ სახის შემოსავლების 1.2 მლნ აშშ დოლარით შემცირებას. სადაზღვევო მომსახურების დეფიციტი ტვირთების დაზღვევაზე და ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯების მატების შედეგად, 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან და წინა კვარტალთან შედარებით შესაბამისად, 4.3 და 2.6 მლნ აშშ დოლარით, გაღრმავდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საზღვარგარეთ დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთა შემოსავლები მაღალი წლიური და მოკრძალებული კვარტალური ზრდით ხასიათდებოდა. მიუხედავად ამისა, საანალიზო პერიოდში პირდაპირ ინვესტიციებზე უცხოელთა წილობრივი მოგებისა და დივიდენდების შთამბეჭდავმა მატებამ წლიურ და კვარტალურ გამოსახულებაში შემოსავლების ანგარიშის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.

მეორე კვარტალში უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.2 მლნ აშშ დოლარით, კვარტალურ გამოსახულებაში კი – 10.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რამაც საქართველოს მოსახლეობა დამატებით 55.5 მლნ აშშ დოლარით უზრუნველყო. რაც შეეხება სამთავრობო და საერთაშორისო გრანტებს, მათი მოცულობა 2006 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 40 პროცენტით შემცირდა, კვარტალურ ჭრილში კი – განახევრდა. საბოლოო ჯამში, მიმდინარე ტრანსფერტების ანგარიში საგრძნობად გაუმჯობესდა და 150 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ზრდის მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა კაპიტალის ანგარიშის წლიური და კვარტალური დინამიკა. მისი დიდი ნაწილი კვლავინდებურად მთავრობის კაპიტალური გრანტების და მიგრანტების კაპიტალური ტრანსფერტებით იყო წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშის დადებით ბალანსს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფდა. მისი მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით, წინა კვარტალთან შედარებით კი 28 პროცენტით გაიზარდა, რასაც ხელს უწყობდა პრივატიზაციის პროცესი. ინვესტიციების თითქმის ნახევარი სააქციო კაპიტალში დაბანდებულ სახსრებს, 12.5 პროცენტი კი რეინვესტირებულ თანხებს წარმოადგენდა.

საინვესტიციო ნაკადების უდიდესი ნაწილი ამჯერად ჩეხეთიდან შემოდიოდა: მისი მოცულობა 73.9 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. ინვესტორთა შორის მეორე ადგილს ყაზახეთი იკავებდა. მესამე და მეოთხე პოზიციებს კი შესაბამისად, ნიდერლანდები და აშშ ინაწილებდნენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 36.8 პროცენტი ენერჯეტიკის სექტორში იქნა დაბანდებული. მომსახურების სფეროში 95.9 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციები იქნა მოზიდული. ასევე მნიშვნელოვანი – შესაბამისად, 72.8 და 53.6 მლნ აშშ დოლარის, ოდენობის ინვესტიციები იქნა მიმართული მშენებლობასა და გადაამამუშავებელ მრეწველობაში, სადაც ძირითადად ამერიკული და ყაზახური კაპიტალი სჭარბობდა.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დადებითმა ბალანსმა საანალიზო პერიოდში რამდენადმე უზრუნველყო ქვეყნის მიმდინარე საგარეო ვალდებულებების გადაფარვა. ამასთან, როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში შთამბეჭდავად – შესაბამისად, 3.2-ჯერ და 2.3-ჯერ, გაიზარდა საერთაშორისო რეზერვების მოცულობა.

უცხოურ სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნის შემდგომი გადიდების შედეგად, იმპორტის მოცულობა საანალიზო პერიოდში მკვეთრი წლიური და ზომიერი კვარტალური ზრდით ხასიათდებოდა. ამასთან, იმპორტის სტრუქტურამ გარკვეული ცვლილებები განიცადა: წინა წლის ანალოგიური პერიოდისა და პირველი კვარტლისგან განსხვავებით, მსხვილ სასაქონლო კატეგორიაში მოექცა ტელე-რადიო აპარატურა. სეზონური ფაქტორის გავლენით, კვარტალურ ჭრილში თითქმის განახევრდა ბუნებრივი აირის მოწოდება.

ცხრილი 23: იმპორტის სტრუქტურა ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

	სულ იმპორტი		ნავთობი და ნავთობპროდუქტები		მსუბუქი ავტომობილები		ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები		სამკურნალო საშუალებები		გადამცემი აპარატურა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისთვის		ხორბალი და მესლინი		კომპიუტერები და მათი ბლოკები		დანარჩენი	
	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%
2000	709.4	100	71.8	10.1	15.5	2.2	50.3	7.1	45.8	6.5	17.0	2.4	29.2	4.1	1.3	0.2	478.5	67.5
2001	753.2	100	87.7	11.6	13.1	1.7	48.8	6.5	53.6	7.1	9.0	1.2	14.4	1.9	2.2	0.3	524.4	69.7
2002	795.5	100	88.8	11.2	21.9	2.8	52.4	6.6	62.0	7.8	17.3	2.2	20.1	2.5	5.0	0.6	528.0	66.3
2003	1141.2	100	104.8	9.2	46.5	4.1	66.0	5.8	62.9	5.5	14.7	1.3	28.0	2.4	12.3	1.1	806.0	70.6
2004	1847.9*	100	186.2	10.1	116.3	6.3	80.1	4.3	78.0	4.2	16.2	0.9	75.0	4.1	15.7	0.8	1280.4	69.3
2005	2490.9*	100	336.3	13.5	178.5	7.2	90.8	3.6	92.5	3.7	27.1	1.1	45.1	1.8	22.4	0.9	1698.2	68.2
Q1	454.4*	100	56.8	12.5	28.6	6.3	28.4	6.3	23.3	5.1	4.3	0.9	8.2	1.8	4.7	1.0	300.2	66.1
Q2	527.3	100	74.0	14.0	36.5	6.9	19.2	3.6	28.0	5.3	7.1	1.4	9.9	1.9	5.5	1.0	347.1	65.9
Q3	687.7*	100	104.1	15.1	48.1	7.0	14.4	2.1	18.4	2.7	9.4	1.4	12.3	1.8	5.2	0.7	475.8	69.2
Q4	821.5*	100	101.4	12.3	65.3	79.9*	28.9	3.5	22.8	2.8	6.3	0.8	14.8	1.8	7.1	0.9	574.9	70.0
2006	3681.2*	100	443.1	12.0	295.3	8.0	213.1	5.8	114.5	3.1	58.7	1.6	99.1	2.7	46.4	1.3	2411.0	65.5
Q1	682.7*	100	80.8	11.8	65.5	9.6	57.4	8.4	25.4	3.7	8.1	1.2	16.9	2.5	8.0	1.2	420.6	61.6
Q2	887.2*	100	122.5	13.8	72.8	8.2	44.7	5.0	31.1	3.5	12.5	1.4	20.7	2.3	10.3	1.2	572.6	64.6
Q3	1023.3*	100	142.1	13.9	70.2	6.9	40.6	4.0	25.5	2.5	18.6	1.8	26.9	2.6	14.2	1.4	685.2	66.9
Q4	1088.0*	100	97.7	9.0	86.9	8.0	70.4	6.5	32.6	3.0	19.5	1.8	34.4*	3.2	14.0	1.3	732.4	67.3
2007																		
Q1	1045.6	100	97.0	9.3	79.1	7.6	116.8	11.2	36.5	3.5	13.9	1.3	26.4	2.5	14.1	1.3	661.8	63.3
Q2	1183.8	100	131.2	11.1	88.5	7.5	60.5	5.1	32.4	2.7	29.8	2.5	26.9	2.3	20.1	1.7	794.4	67.1

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები

მეორე კვარტალში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტის ღირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. შესაბამისად, შემოტანილი ნავთობპროდუქტების მოცულობამ ნატურალურ გამოსახულებაში მხოლოდ 4.2 ტონით მოიმატა. კვარტალურ ჭრილში კი, ამ კატეგორიის საქონლის მკვეთრი – 35.3-პროცენტის, მატება ძირითადად მასზე მოთხოვნის სეზონურ ზრდას უკავშირდებოდა. ნავთობპროდუქტების უმსხვილეს მომწოდებლად აზერბაიჯანი გვეკვლინებოდა, თუმცა მისი წილი 2006 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 52.3 პროცენტიდან 31.2 პროცენტამდე დავიდა, რაც ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და საბერძნეთიდან შემოტანილი ნავთობპროდუქტების წილის მატებით შეიძლება აიხსნას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კვარტალურ გამოსახულებაში თითქმის 70 პროცენტით გაიზარდა თურქ-მენეთიდან მოწოდებული ნავთობპროდუქტების ღირებულებითი მაჩვენებელი.

საანალიზო პერიოდში მსუბუქი ავტომობილების იმპორტის ღირებულება წლიური ზრდის მაღალი ტემპით გამოიჩინოდა, რაც თითქმის მთლიანად ავტომობილებზე ფასების მატების შედეგი იყო და არა მათი ფიზიკური რაოდენობის ზრდის. ამ კატეგორიის საქონლის 37 პროცენტი გერმანიიდან შემოდიოდა. აშშ და იაპონია კი, შესაბამისად, 21.1- და 14.1-პროცენტის წილით, მომწოდებელთა შორის მეორე და მესამე ადგილს იკავებდნენ.

წინა კვარტლისგან განსხვავებით, ბუნებრივი აირის მოწოდების სეზონური შემცირების გამო, ამ სასაქონლო ჯგუფმა პირველი პოზიციიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ნავთობის აირების იმპორტის წლიური ზრდის ღირებულებითი მაჩვენებელი 35.3 პროცენტით განისაზღვრა, რაც ბუნებრივი აირის ფასების ზრდით იყო განპირობებული. ამასთან, წლიურ გამოსახულებაში 16-ჯერ მეტად გაიზარდა ამ სასაქონლო კატეგორიის იმპორტის მოცულობა აზერბაიჯანიდან. რუსეთიდან მოწოდებული ნავთობის აირების მოცულობა კი ბაზრის მოთხოვნის 60 პროცენტს ფარავდა.



კვლავ მსხვილ საიმპორტო საქონლად რჩებოდა მეორე კვარტალში სამკურნალო საშუალებები. მისი იმპორტი წლიურ გამოსახულებაში მცირედი ზრდით ხასიათდებოდა, კვარტალურ ჭრილში კი 11.2-პროცენტის კლება განიცადა. აქედან გამომდინარე, იკლო სამკურნალო საშუალებების წილმა მთლიან იმპორტში როგორც 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე წინა კვარტალთან შედარებით. საკმაოდ დივერსიფიცირებული იყო

ამ სასაქონლო ჯგუფის მომწოდებელთა წრე, რომელთა შორის უნგრეთი, საფრანგეთი, უკრაინა და თურქეთი გამოირჩეოდნენ.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაორმაგდა რადიო და სატელევიზიო აპარატურის იმპორტის მოცულობა, კვარტალურ ჭრილში კი ამ სახის აპარატურის ღირებულებითი მაჩვენებელი 2.1-ჯერ გაიზარდა. თუ წინა კვარტლებში ამ სასაქონლო კატეგორიის უმსხვილესი იმპორტიორები არაბთა გაერთიანებული საამიროები, აშშ და თურქეთი იყვნენ, ამჯერად, მათ 46.1-პროცენტის წილით შევედით ჩვენაცვლა.



ხორბლის იმპორტის მოცულობა რამდენადმე გაიზარდა წლიურ გამოსახულებაში, კვარტალურ ჭრილში კი – შემცირდა. რუსეთიდან შემოტანილი ხორბლის ღირებულებითი მაჩვენებელი 2.4-ჯერ სჭარბობდა ყაზახეთისას.

საანალიზო პერიოდში საქართველოს ბაზარზე კვლავ ინტენსიურად შემოდიოდა კომპიუტერული ტექნიკა, რომლის ღირებულება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის გაორმაგდა, კვარტალურ გამოსახულებაში კი – 42.5 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული კატეგორიის საქონლის ყველაზე მსხვილ იმპორტიორად ნიდერლანდები გვევლინებოდა.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

მეორე კვარტალში ძირითად იმპორტიორ ქვეყანათა ექვსეულის წილი მთლიან იმპორტში 55.4 პროცენტით განისაზღვრა. წლიურ და კვარტალურ ჭრილში მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქეთიდან იმპორტის ღირებულებითი მაჩვენებლები. მკვეთრად იმატა, აგრეთვე სასაქონლო ნაკადებმა უკრაინიდან. რუსეთი იმპორტიორთა შორის რიგით მესამე პარტნიორი იყო. ამ ქვეყანასთან იმპორტის განმსაზღვრელ ძირითად სასაქონლო კატეგორიებად ხორბალი, ბუნებრივი აირი და ნავთობპროდუქტები რჩებოდა.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

საანალიზო პერიოდში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში ზრდის მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა, რაც ეკონომიკურ დინამიკასთან ერთად ახალი ბაზრების ძიების შედეგიც იყო.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა თურქეთის, აზერბაიჯანისა და აშშ-ს წილი მთლიან ექსპორტში. თურქეთმა მეორედან პირველ, აზერბაიჯანმა მეოთხედან მეორე, აშშ-მ კი მეშვიდე პოზიციიდან მესამე ადგილზე გადმოინაცვლა, მაშინ როდესაც თურქმენეთი პირველის ნაცვლად, რიგით მეშვიდე პარტნიორის რანგში მოგვევლინა. ამასთან, ექსპორტიორ ქვეყანათა ათეულში, 2006 წლის მეორე კვარტლისგან განსხვავებით, ვერ მოხვდა გერმანია, რომელიც მეორემეტყ ადგილზე აღმოჩნდა.

ცხრილი 24: ექსპორტის სტრუქტურა ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

	სულ ექსპორტი		ფეროშენადნობები		შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი		სპილენძის მადნები და კონცენტრატები		მსუბუქი ავტომობილები		ცემენტი		მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქები		დაუმუშავებელი ან ნახევრად-დაუმუშავებული ოქრო		დანარჩენი		
	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	
2000	322.7	100	13.6	4.2	39.0	12.1	9.8	3.1	0.3	0.1	0.5	0.2	16.2	5.0	0.0	0.0	243.3	75.3	
2001	317.6	100	17.6	5.5	33.1	10.4	9.6	3.0	0.5	0.2	0.5	0.2	4.9	1.5	12.5	3.9	238.9	75.3	
2002	345.9	100	15.5	4.5	36.5	10.5	13.2	3.8	0.6	0.2	0.0	0.0	12.0	3.5	28.6	8.3	239.5	69.2	
2003	461.4	100	26.1	5.7	60.1	13.0	23.4	5.1	1.1	0.2	0.2	0.0	18.4	4.0	20.3	4.4	311.8	67.6	
2004	646.9	100	42.5	6.6	95.9	14.8	31.8	4.9	3.8	0.6	4.7	0.7	28.8	4.5*	18.8	2.9	420.6	65.0	
2005	866.2*	100	80.2	9.3	84.2	9.7	36.4	4.2	17.9	2.1	17.7	2.0	35.8	4.1	34.7	4.0	559.3	64.6	
Q1	170.3*	100	21.4	12.6	28.0	16.4*	14.0	8.2	1.5	0.9	0.6	0.3	4.9	2.9	6.3	3.7	93.6	55.0	
Q2	202.7	100	16.5	8.1	24.5	12.1	8.0	4.0*	2.6	1.3	3.2	1.6	7.9	3.9	9.6	4.7	130.4	64.3	
Q3	225.1*	100	20.3	9.0	19.2	8.5	9.3	4.1	5.4	2.4	7.1	3.2	9.1	4.0*	9.6	4.3	145.1	64.5	
Q4	268.1	100	22.0	8.2	12.5	4.7	5.2	1.9	8.5	3.2	6.8	2.5	13.9	5.2	9.3	3.5	189.9	70.8	
2006	992.6	100	89.8	9.0	72.4	7.3	79.5	8.0	50.6	5.1	28.8	2.9	46.6	4.7	49.4	5.0	575.5	58.0	
Q1	221.1	100	19.6	8.9	13.5	6.1	10.2	4.6	4.5	2.0	4.1	1.9	10.0	4.5	11.1	5.0	148.1	67.0	
Q2	236.0	100	20.1	8.5	20.3	8.6	23.0	9.8	9.5	4.0	7.4	3.1	9.0	3.8	11.8	5.0	134.9	57.2	
Q3	248.7	100	30.2	12.2	19.5	7.8	21.6	8.7	15.5	6.2	7.9	3.2	13.5	5.4	12.5	5.0	128.0	51.5	
Q4	286.8	100	19.9	6.9	19.1	6.7	24.7	8.6	21.2	7.4	9.4	3.3	14.2	5.0*	13.9	4.8	164.4	57.3	
2007																			
Q1	225.2	100	18.1	8.0	20.8	9.2	21.0	9.3	13.1	5.8	9.2	4.1	14.3	6.4*	9.4	4.2	119.3	53.0	
Q2	323.4	100	33.9	10.5	30.2	9.3	24.0	7.4	20.0	6.2	17.5	5.4	14.5	4.5	14.5	4.5	168.8	52.2	

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები

საანალიზო პერიოდში ძირითადი საექსპორტო კატეგორიების შვიდეული საგრძნობად განსხვავდებოდა წინა წლის ანალოგიური პერიოდის სასაქონლო კომპოზიციისგან: საფრენ აპარატებს პირველ ადგილზე ფეროშენადნობები ჩაენაცვლა. მსხვილ საექსპორტო საქონელთა ჯგუფში მოექცა ცემენტი. კვარტალურ ჭრილში კაკლის, ეთილის სპირტისა და სპირტიანი სასმელების ადგილი ცემენტმა და დაუმუშავებელმა ოქრომ დაიკავა.

ფეროშენადნობებზე საგარეო მოთხოვნის მნიშვნელოვანმა გაფართოვებამ იგი უმსხვილეს საექსპორტო საქონლად აქცია. ამ პროდუქციის ექსპორტმა წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს 68.7 პროცენტით გადააჭარბა, კვარტალურ გამოსახულებაში კი – ზრდამ 87.2 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ძირითად მომხმარებლად აშშ, მექსიკა და რუსეთი გვეკვლინებოდა.

მეორე კვარტალშიც გაგრძელდა შავი ლითონების ნარჩენებისა და ჯართის ექსპორტის მატების უარყოფითი ტენდენცია: მისმა წლიურმა ზრდამ 48.8 პროცენტი შეადგინა, კვარტალური მატების მაჩვენებელი კი წლიურს მხოლოდ 3.6 პროცენტით ჩამოჩრებოდა. ჯართის თითქმის 85 პროცენტი თურქეთში გადიოდა.

მოკრძალებული წლიური და ზომიერი კვარტალური ზრდით გამოირჩეოდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტის ღირებულებითი მაჩვენებელი. აღნიშნული კატეგორიის საქონლის ძირითად ბაზარს ბულგარეთი და გერმანია წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა კვარტლებისგან განსხვავებით, ამჯერად, ექსპორტიორთა რიცხვს ესპანეთი, თურქეთი და სერბია გამოაკლდნენ.

მსუბუქი ავტომობილების რექსპორტი საანალიზო პერიოდში 2006 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 2.1-ჯერ გაიზარდა. წინა კვარტალთან მიმართებაში კი მატებამ – 52.7 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კატეგორიის საქონლის 36 პროცენტი აზერბაიჯანში, 22 პროცენტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, 16.5 პროცენტი სომხეთსა და 10.5 პროცენტი თურქეთში გადიოდა.

აზერბაიჯანის მხრიდან ქართულ ცემენტზე მოთხოვნის შთამბეჭდავი წლიური და მკვეთრი კვარტალური გადიდების შედეგად, აღნიშნული პროდუქცია საექსპორტო საქონლის ჯგუფის ძირითად შვიდეულში აღმოჩნდა.

აზოტოვანი სასუქების ექსპორტმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა. კვარტალურ ჭრილში კი მისმა ღირებულებითმა მაჩვენებელმა უმნიშვნელოდ მოიმატა. საანალიზო

პერიოდში ამ კატეგორიის საქონლის მომხმარებელთა რიცხვს კვლავ შეუერთდა ბრაზილია, რომელზედაც ექსპორტირებული სასუქების 64 პროცენტი მოდიოდა. აშშ კი აღნიშნული საქონლის 29 პროცენტს მოიხმარდა.

მეორე კვარტალში მსხვილ საექსპორტო კატეგორიათა შორის მოექცა დაუმუშავებელი ოქრო. მისმა წლიურმა ზრდამ 22.9 პროცენტი შეადგინა, კვარტალური მატება კი 54.2 პროცენტით განისაზღვრა. ამ სახის პროდუქცია, ტრადიციულად, მთლიანად კანადაში გადიოდა.

ცხრილი 25: საქართველოს საგარეო ვაჭრობა დსთ-სთან (მილიონი აშშ დოლარი)

	იმპორტი			ექსპორტი			მთლიანი ბალანსი		
	სულ	დსთ	დანარჩენი ქვეყნები	სულ	დსთ	დანარჩენი ქვეყნები	სულ	დსთ	დანარჩენი ქვეყნები
2000	709.4	229.3	480.1	322.7	128.5	194.2	-386.6	-100.8	-285.8
2001	753.2	254.0	499.2	317.6	144.3	173.3	-435.6	-109.7	-325.9
2002	795.5	292.2	503.3	345.9	168.7	177.2	-449.6	-123.5	-326.1
2003	1141.2	370.1	771.1	461.4	224.8	236.6	-679.8	-145.3	-534.5
2004	1847.9*	657.2*	1190.7	647.0*	327.7*	319.3	-1200.9*	-329.5*	-871.4
2005	2490.9*	997.7*	1493.2	866.2*	408.0*	458.2*	-1624.7*	-589.7*	-1035.0*
Q1	454.4*	181.0*	273.4*	170.3*	62.4*	107.9	-284.1*	-118.6*	-165.5*
Q2	527.3	210.3	317.0	202.7	110.1	92.6	-324.6*	-100.2	-224.4*
Q3	687.7*	287.1	400.6*	225.1*	97.7*	127.4	-462.6*	-189.4*	-273.2*
Q4	821.5*	319.3*	502.2	268.1	137.7	130.4	-553.4*	-181.6*	-371.8*
2006	3681.2*	1404.6	2276.6*	993.1*	394.9	598.2*	-2688.1*	-1009.7	-1678.4*
Q1	682.7	265.7	417.0	221.1	113.2	107.9	-461.6	-152.5*	-309.1*
Q2	887.2	346.6	540.6	236.0	106.2	129.8	-651.2	-240.4*	-410.8*
Q3	1023.3	398.5	624.8	248.7	81.9	166.8	-774.6	-316.6	-458.0
Q4	1088.0*	393.8	694.2	287.3*	93.6	193.7*	-800.7*	-300.2	-500.5*
2007									
Q1	1045.6	395.8	649.8	225.2	87.3	137.9	-820.4*	-308.5	-511.9*
Q2	1183.8	422.8	761.0	323.4	125.9	197.5	-860.4	-296.9	-563.5

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები

საანალიზო პერიოდში მკვეთრად გააქტიურდა სავაჭრო ურთიერთობები დსთ ქვეყნებთან: წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გამოიკვეთა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მნიშვნელოვანი მატება. იმპორტის მიხედვით, ქვეყნების ამ ჯგუფიდან უკრაინა ლიდერობდა. რუსეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი, შესაბამისად, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებს ინაწილებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ კვარტალურ ჯრილში ადგილი ჰქონდა ექსპორტის 44.2-პროცენტთან ზრდას, მაშინ, როდესაც იმპორტის მატება მხოლოდ 6.8 პროცენტით შემოიფარგლებოდა, რაც უდავოდ დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს. ექსპორტის მიხედვით, დსთ-ს ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი – 33-პროცენტია, წილით აზერბაიჯანი გამოირჩეოდა. ამასთან, სოლიდური წილით იყვნენ წარმოდგენილი სომხეთი, უკრაინა და თურქმენეთი.

მეორე კვარტლის ბოლოს სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ოდენობა 1702.1 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. წინა კვარტალთან შედარებით მთლიანი ვალის მოცულობა 19.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რაც ძირითადად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალდებულებების 89.7 მლნ აშშ დოლარით და თურქმენეთის ვალის 17.2 მლნ აშშ დოლარით შემცირების შედეგი იყო. ამასთან, ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა მსოფლიო ბანკის, აგრეთვე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ არსებული დავალიანების ნაშთი, რომელმაც კვარტალურ გამოსახულებაში თითქმის 9.4 მლნ აშშ დოლარით მოიმატა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვალის მოცულობის შემცირებამ და ნომინალურ გამოსახულებაში მშპ-ის ზრდის მაღალმა ტემპმა უზრუნველყო პირველ კვარტალთან შედარებით მშპ-ის მიმართ საგარეო ვალის წილის 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირება.

6. ევროკავშირის და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები



ცხრილი 26: ევროკავშირისა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის ძირითადი მაჩვენებლები*

	ვაჭრობა						ევროკავშირის ქვეყნების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	
	ბრუნვა (ათასი აშშ დოლარი)	ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)	წილი მთლიან ექსპორტში (%)	იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)	წილი მთლიან იმპორტში (%)	ბალანსი (ათასი აშშ დოლარი)	მოცულობა (ათასი აშშ დოლარი)	წილი მთლიან უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში (%)
2000	264559.0	76389.1	23.7	188170.0	26.5	-111780.9	39378.6**	30.0**
2001	302454.8	61604.9	19.4	240845.9	32.0	-179241.0	69691.2**	63.4**
2002	295496.6	63220.5	18.3	232254.1	29.2	-169033.6	58445.9	34.9
2003	512756.0	81589.6	17.7	431160.4	37.8	-349570.8	95783.3**	28.2
2004	785452.4	128204.3	19.8	657248.1	35.6	-529043.8	195542.3**	39.2
2005	957078.6	216755.7	25.0	740322.9	29.7	-523567.2	243749.0	54.2
Q1	183543.5	47007.0	27.7	136536.5	30.1	-89529.5	38668.3	43.3
Q2	197113.2	31340.7	15.4	165772.5	31.4	-134431.8	44231.8	41.8
Q3	277091.5	67812.2	30.2	209279.3	30.4	-141467.1	49871.3	66.0
Q4	299330.4	70595.8	26.3	228734.6	27.9	-158138.8	110977.6	62.0
2006	1366121.6	256720.4	25.9	1109401.2	30.1	-852680.8	407189.7	34.2
Q1	256672.7	47057.8	21.3	209614.9	30.7	-162557.1	40629.7	27.8
Q2	329911.9	59646.8	25.3	270265.1	30.5	-210618.3	108829.4	35.5
Q3	370606.6	54164.8	21.8	316441.8	30.9	-262277.0	72748.7	25.9
Q4	408930.4	95851.0	33.4	313079.4	28.8	-217228.4	184982.4	40.5
2007								
Q1	374420.2	63576.2**	28.2	310844.0	29.7**	-247267.8**	152238.6*	53.2**
Q2	423223.6	58019.5	17.9	365204.1	30.8	-307184.6	155136.4	41.9

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * მოყვანილი მონაცემები 2004 წლამდე მოიცავს ევროკავშირის წევრ 25 ქვეყანას, 2004 წლიდან კი – 27 ქვეყანას
ბულგარეთისა და რუმინეთის ჩათვლით
** დაზუსტებული მონაცემები

იმპორტის დივერსიფიკაციის გაძლიერებამ მეორე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვის 28.3-პროცენტობა ზრდა განაპირობა. ამის მიუხედავად, ევროკავშირის წილი მთლიან იმპორტში უმნიშვნელოდ გაიზარდა. საპირისპირო ვითარება გამოიკვეთა ექსპორტის დინამიკაში: ექსპორტის კლებამ ევროკავშირის ქვეყნებში როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში, მთლიან ექსპორტში მისი წილის შესაბამისად, 7.4 და 10.3 პროცენტული პუნქტით ვარდნა გამოიწვია.

ევროკავშირში ქართული ექსპორტის შემცირება ფეროშენადნობების გატანის შეწყვეტას, აგრეთვე აზოტოვანი სასუქების, კაკლის, ბოსტნეულის და ხილის წვენების ექსპორტის საგრძნობ კლებას უკავშირდებოდა. რაც შეეხება გეოგრაფიულ ჭრილს, მნიშვნელოვან წლიურ და კვარტალურ ზრდას ჰქონდა ადგილი ბელგიაში, ბულგარეთსა და ნიდერლანდებში, ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში კი პირიქით, ექსპორტის მოცულობამ მკვეთრად იკლო.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * მოყვანილი მონაცემები 2004 წლამდე მოიცავს ევროკავშირის წევრ 25 ქვეყანას, 2004 წლიდან კი – 27 ქვეყანას
ბულგარეთისა და რუმინეთის ჩათვლით

საანალიზო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნები კვლავ რჩებოდნენ საქართველოდან გატანილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსკლუზიურ მომხმარებლებად. ამ სახის პროდუქციის ექსპორტის დინამიკა ზომიერი წლიური და საგრძნობი კვარტალური ზრდით ხასიათდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2006 წლის ანალოგიური პერიოდისა და წინა კვარტლისგან განსხვავებით, ამ კატეგორიის საქონლის მომხმარებელთა ჯგუფს გამოაკლდა ესპანეთი, სადაც პირველ კვარტალში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების თითქმის 38 პროცენტი გადიოდა.

მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მკვეთრად (55 პროცენტით) მოიმატა შაქრის შემცველი მინერალური წყლების ექსპორტმა. ამ სახის პროდუქციის 88.7 პროცენტის მომხმარებელი ორი ქვეყანა – გაერთიანებული სამეფო და ბელგია იყო.

საანალიზო პერიოდში შეძცივდა კაკლის ექსპორტი როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში, შესაბამისად, 10.3 და 24.2 პროცენტით. აღნიშნული გამოწვეული იყო იტალიაში ამ კატეგორიის საქონლის გატანის მკვეთრი ვარდნით, რომელიც ვერ გააკომპენსირა კაკლის ექსპორტის საკმაოდ შთამბეჭდავმა (შესაბამისად, 8.2-ჯერ და 2.1-ჯერ) მატებამ ბელგიაში.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.2-ჯერ გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში შავი ლითონების ნარჩენებისა და ჯართის ექსპორტი, რის გამოც ამ პროდუქციის წილი საქართველოს ევროექსპორტში საგრძნობლად გაიზარდა. საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე აღნიშნული სასაქონლო კატეგორიის კვარტალური ზრდის ტემპი, რომელმაც 30.5 პროცენტი შეადგინა. შავი ლითონის ნარჩენებისა და ჯართის ძირითადი მომხმარებლები ესპანეთი, ნიდერლანდები, გერმანია და გაერთიანებული სამეფო იყვნენ.

მეორე კვარტალში ევროკავშირში საქსპორტო პროდუქციის ძირითად კატეგორიათა შემადგენლობაში შევიდა ყურძნის ნატურალური ღვინოები. ღვინის ექსპორტი წლიურ გამოსახულებაში 2.4-ჯერ გაიზარდა, კვარტალურში კი – 19.1 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ქვეყნებში ქართული ღვინის ექსპორტის ღირებულებითი მაჩვენებელი თითქმის 3-ჯერ ჩამორჩებოდა საქართველოდან ამ პროდუქციის უმსხვილესი იმპორტიორის – უკრაინის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა მცირედით სჭარბობდა ყაზახეთისას, რომელიც უკრაინის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდა.

ცხრილი 27: საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მონაცემები (ათასი აშშ დოლარი)

	2006				2006	2007	
	Q 1	Q2	Q 3	Q4		Q1	Q2
სულ ექსპორტი ევროკავშირში	47057.8	59646.8	54164.8	95851.0	256720.4	63576.2*	58019.5
მათ შორის:							
ავსტრია	1344.2	6.1	107.0	340.7	1798.0	44.0	171.3
ბელგია	929.1	2239.6	3500.6	4343.5	11012.8	3957.2	5267.5
ბულგარეთი	11569.3	20175.2	18346.9	12216.2	62307.6	7924.6	22338.1
კვიპროსი	39.9	431.8	35.6	292.2	799.5	78.9	62.6
ჩეხეთი	1203.9	1238.6	1019.5	2748.7	6210.7	861.9	496.5
დანია	555.8	6.2	0.8	84.0	646.8	280.9	23.0
ესტონეთი	1026.3	239.0	182.0	436.6	1883.9	332.4	132.7
ფინეთი	0.5	0.7	25.7	157.7	184.6	44.8	3.8
საფრანგეთი	428.9	2898.7	4249.5	23306.8	30883.9	4655.3	901.9
გერმანია	6872.4	10890.3	6804.6	21078.0	45645.3	11751.8	9469.7
საბერძნეთი	326.0	192.7	1670.3	3315.0	5504.0	4049.5	655.9
უნგრეთი	0.0	0.0	0.0	138.6	138.6	37.3	0.4
ირლანდია	5.7	8.9	3.0	28.6	46.2	25.7	81.2
იტალია	7274.1	6287.7	2756.7	7729.5	24048.0	7331.5	2484.4
ლატვია	347.2	418.0	920.6	2001.3	3687.1	1399.6	776.5
ლიტვა	252.9	853.7	367.1	1469.2	2942.9	1447.6	1434.1
ლუქსემბურგი	0.0	0.0	0.0	342.8	342.8	-	-
მალტა	2.0	0.0	0.0	0.0	2.0	-	-
ნიდერლანდები	721.6	1520.4	1508.6	2813.6	6564.2	1987.6	3449.0
პოლონეთი	209.6	132.7	385.1	2340.5	3067.9	812.2	336.5
პორტუგალია	154.8	181.2	344.6	274.5	955.1	448.1	568.3
რუმინეთი	1218.7	1009.6	1066.3	2358.4	5653.0	314.2	1101.0
სლოვაკეთი	483.6	121.3	84.0	637.4	1326.3	297.8	443.1
სლოვენია	0.0	0.0	1.3	13.5	14.8	-	-
ესპანეთი	2662.5	4933.6	7020.2	2020.2	16636.5	9225.3	1239.5
შვედეთი	0.0	8.4	1.2	0.5	10.1	64.1	0.3
გაერთიანებული სამეფო	9428.8	5852.4	3763.6	5363.0	24407.8	6203.9	6582.2

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები


საანალიზო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებს შორის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ბულგარეთი იყო, რომლის წილად ქვეყნის მთლიანი ევროექსპორტის 38.5 პროცენტი მოდიოდა. ბულგარეთში გატანილი საქონლის უმეტეს ნაწილს სპილენძის მადნები და კონცენტრატები შეადგენდა.

საგრძობლად იკლო საქართველოდან გერმანიაში განხორციელებულმა ექსპორტმა როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში, რის გამოც ამ ქვეყანამ ევროკავშირში ქართული პროდუქციის მომხმარებლებს შორის პირველიდან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. გერმანიაში გატანილი საქონლის ღირებულების თითქმის 68 პროცენტი კვლავინდებურად სპილენძის მადნებსა და კაკალზე მოდიოდა.

ზომიერი წლიური და მოკრძალებული კვარტალური ზრდით ხასიათდებოდა გაერთიანებულ სამეფოში განხორციელებული ექსპორტი, რაც ძირითადად შაქრის შემცველ მინერალურ წყლებზე მოთხოვნის გადიდებით იყო განპირობებული.

საანალიზო პერიოდში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის ერთობ შთამბეჭდავი წლიური და კვარტალური ზრდა აღინიშნა ბელგიაში, რაც კაკალთან ერთად, ქართულ მინერალურ წყლებზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბელგიის წილმა ქართულ ევროექსპორტში შესამჩნევად მოიმატა.

კვლავ ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩეოდა ექსპორტი ნიდერლანდებში როგორც წლიურ, ისე კვარტალურ გამოსახულებაში. საქსპორტო შემოსავლების მატება მეტწილად შავი ლითონებისა და ჯართის, აგრეთვე სპილენძის მადნებისა და იზოტოპების ექსპორტის დინამიკით იყო განპირობებული.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * მოყვანილი მონაცემები 2004 წლამდე მოიცავს ევროკავშირის წევრ 25 ქვეყანას, 2004 წლიდან კი – 27 ქვეყანას ბულგარეთისა და რუმინეთის ჩათვლით

მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან მკვეთრი წლიური და მნიშვნელოვანი კვარტალური ზრდით ხასიათდებოდა, რაც უპირატესად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შაქრის, კომპიუტერების და ტელე-რადიო აპარატურის იმპორტის მატებამ გამოიწვია.

ევროკავშირიდან იმპორტის უმსხვილეს კატეგორიას წინა კვარტლისგან განსხვავებით, ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა. იმპორტის წლიურ დინამიკაზე ამ სასაქონლო ჯგუფში გავლენას ახდენდა საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. კვარტალურ ჭრილში კი, რუმინეთიდან იმპორტირებული ნავთობპროდუქტების ღირებულების 21.6 პროცენტით შემცირების მიუხედავად, აღნიშნული პროდუქციის იმპორტის ზრდამ 41.4 პროცენტი შეადგინა.

ევროკავშირის ტრადიციულად წამყვანმა საიმპორტო საქონელმა – მსუბუქმა ავტომობილებმა, მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა, რის გამოც მისი წილი ევროიმპორტში შესამჩნევად დაეცა. ამ პროდუქციის 72.6 პროცენტი გერმანიიდან შემოდიოდა. წლიურ ჭრილში ავტომობილების იმპორტი მცირედი კლებით, კვარტალურში კი – მოკრძალებული ზრდით ხასიათდებოდა.

საანალიზო პერიოდში სამკურნალო საშუალებების იმპორტი წლიურ გამოსახულებაში უმნიშვნელოდ გაიზარდა, წინა კვარტალთან შედარებით კი 2.8 პროცენტით იკლო. წლიურ დინამიკაზე გავლენას ახდენდა ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, ნიდერლანდებიდან და პოლონეთიდან შემოტანილი სამკურნალო საშუალებების იმპორტის მატება, ხოლო კვარტალურ კლებაზე – მედიკამენტების იმპორტის შემცირება გერმანიიდან, პოლონეთიდან და საფრანგეთიდან.

4-ჯერ და მეტად გაიზარდა ევროპული რადიო და სატელევიზიო აპარატურის იმპორტი როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე პირველ კვარტალთან შედარებით. ამ სახის პროდუქციის უდიდესი ნაწილი, ამჯერად, შვედეთიდან შემოდიოდა, მაშინ, როდესაც წინა კვარტალებში ტელე-რადიო აპარატურის უმსხვილესი მომწოდებლები გერმანია და ფინეთი იყო.

კომპიუტერულ ტექნიკაზე მზარდი მოთხოვნის შედეგად, საქართველოში ამ კატეგორიის იმპორტის წლიურმა ზრდამ 62 პროცენტი შეადგინა. მკვეთრი (30 პროცენტი) მატება გამოვლინდა კვარტალურ ჭრილშიც. კომ-

პიუტერების იმპორტის მაღალმა წლიურმა და კვარტალურმა ტემპებმა გააორმაგა მისი წილი ევროკავშირიდან იმპორტში.

ერთობ მაღალი წლიური ზრდით გამოირჩეოდა მეორე კვარტალში სატვირთო ავტომობილების იმპორტი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კატეგორიის საქონლის წილი ევროიშორტში მცირედით გაიზარდა. სატვირთო ავტომობილები მეტწილად გერმანიიდან შემოდიოდა.

ცხრილი 28: საქართველოში ევროკავშირიდან შემოსული იმპორტის მონაცემები (ათასი აშშ დოლარი)

	2006				2006	2007	
	Q 1	Q2	Q3	Q4		Q1	Q2
სულ იმპორტი ევროკავშირიდან	209614.9	270265.1	316441.8	313079.4	1109401.2	310844.0	365204.1
მათ შორის:							
ავსტრია	4689.5	8074.7	9807.6	14049.2	36621.0	9835.0	9598.0
ბულგარეთი	26817.7	32782.4	33847.5	22088.0	115535.6	38531.2	35548.7
ბელგია	8361.5	9256.6	8856.3	10689.4	37163.8	9798.4	11057.2
კვიპროსი	202.7	832.9	591.7	1248.4	2875.7	1170.8	1164.6
ჩეხეთი	6176.9	5327.5	18360.6	12828.0	42693.0	8902.5	6745.4
დანია	1221.0	4396.4	1836.1	3210.2	10663.7	3994.8	4183.5
ესტონეთი	161.0	170.8	407.8	265.8	1005.4	156.9	1216.4
ფინეთი	4932.0	5060.4	8062.8	8508.5	26563.7	8172.7	8127.8
საფრანგეთი	15014.7	17853.6	20240.2	20867.4	73975.9	19996.2	29396.1
გერმანია	68063.0	92229.6	86296.0	104564.2	351152.8	86313.5	92607.7
საბერძნეთი	3820.0	6550.5	6615.9	5879.3	22865.7	8013.2	17780.1
უნგრეთი	4595.1	3282.9	5495.2	6797.6	20170.8	5208.6	6730.7
ირლანდია	1066.3	1469.0	1897.3	2246.7	6679.3	984.2	1477.0
იტალია	15106.4	23452.1	33686.5	29852.8	102097.8	25274.0	37038.4
ლატვია	1288.3	1463.9	1225.8	2390.8	6368.8	1766.3	2140.4
ლიტვა	900.8	1927.5	4310.2	2185.8	9324.3	2791.7	3671.6
ლუქსემბურგი	131.4	53.0	329.0	421.3	934.7	449.1	1942.4
მალტა	0.0	0.5	261.0	542.4	803.9	1520.2	0.5
ნიდერლანდები	13904.5	18151.4	20969.3	22590.6	75615.8	22303.8	24640.2
პოლონეთი	3479.4	4242.1	5622.4	7284.5	20628.4	8356.3	8417.0
პორტუგალია	731.7	580.6	766.2	805.9	2884.4	1008.6	969.8
რუმინეთი	8722.5	9506.8	15013.8	7525.8	40768.9	20506.0	16286.2
სლოვაკეთი	978.3	855.2	1256.0	1466.0	4555.5	702.6	1293.3
სლოვენია	1009.2	1463.2	1293.2	1785.8	5551.4	1559.7	1751.4
ესპანეთი	2877.3	4156.6	3947.7	4302.1	15283.7	4996.6	5752.1
შვედეთი	601.1	1763.6	8824.3	2422.4	13611.4	2917.1	19450.6
გაერთიანებული სამეფო	14762.6	15361.3	16621.4	16260.5	63005.8	15613.7	16217.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

საანალიზო პერიოდში სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება აღინიშნა ევროკავშირის ყველა ქვეყანასთან გარდა, დანიისა. საქართველოში იმპორტის მატების ყველაზე მაღალი წლიური ტემპით შვედეთი და იტალია გამოირჩეოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიიდან იმპორტის მოცულობა უმნიშვნელო წლიური და მოკრძალებული კვარტალური ზრდით ხასიათდებოდა, მისმა წილმა ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის 25.4 პროცენტი შეადგინა. მსუბუქი ავტომობილების გარდა, გერმანიიდან შემოტანილი საქონლის სტრუქტურაში გამოირჩეოდა სატვირთო ავტომანქანები, მედიკამენტები, სატელეგრაფო, სატელეფონო და ტელე-რადიომა-უწყებლობის აპარატურა.

საანალიზო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის სიდიდით საქართველოს რიგით მეორე პარტნიორი იტალია იყო. ამ ქვეყნიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება მკვეთრად გაიზარდა როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე წინა კვარტალთან შედარებით. იტალიიდან იმპორტირებული საქონლის სტრუქტურა საკმაოდ დივერსიფიცირებული იყო. იგი ძირითადად ავეჯს, მსუბუქ ავტომობილებს, ჭურჭლის სარეცხ მანქანებს და ფეხსაცმელს მოიცავდა. იმპორტში მაღალი წილით იყო წარმოდგენილი გასართობი ატრაქციონები, კარუსელები და სხვა მსგავსი მოწყობილობა.

საკმაოდ მოკრძალებული წლიური ზრდისა და საგრძნობი კვარტალური ვარდნის მიუხედავად, ბულგარეთმა, მეორე კვარტალში იმპორტის მიხედვით, მესამე ადგილი დაიკავა. ბულგარეთი ქართულ ბაზარს კვლავინდებურად ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით, შავი ლითონის ნაწარმითა და მედიკამენტებით ამარაგებდა.

საფრანგეთიდან იმპორტის ერთობ მაღალმა წლიურმა და კვარტალურმა მატებამ ეს ქვეყანა საქართველოს სიდიდით მეოთხე პარტნიორად აქცია. საფრანგეთიდან შემოტანილი საქონლის სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ძირითად მაპროფილებელ კატეგორიებს განეკუთვნებოდა შაქარი, თბიკური აპარატები, მსუბუქი ავტომობილები, პარფიუმერიული საშუალებები და ფარმაცევტული პროდუქცია.

ნიდერლანდებიდან იმპორტის ზრდა, როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე წინა კვარტალთან შედარებით, ძირითადად კომპიუტერული ტექნიკისა და მედიკამენტების შემოტანასთან იყო დაკავშირებული.

ცხრილი 29: ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები (ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნები	2003	2004	2005	2006				2006	2007	
				Q1	Q2	Q3	Q4		Q1	Q2
სულ	340070.0	499107.0	449785.0	146012.0	306907.0	280748.0	456708.0	1190375.0	286316.0*	370472.0
ევროკავშირი	95783.3*	195542.3*	243749.0	40629.7	108829.4	72748.7	184982.4	407189.7	152238.6*	155136.4
ავსტრია	18108.4	23157.2	14732.2	3903.8	2245.5	3174.3	1425.7	10749.3	341.7	3024.4
ჩეხეთი	249.8	276.6	1279.6	1096.6	12169.5	1619.4	146.8	15032.2	-1306.5	73861.1
ბულგარეთი	0.0	0.0	70.8	230.5	9.4	75.3	3.8	318.9	0.0	9.2
დანია	0.0	0.0	319.0	7132.6	3542.3	273.6	31529.3	42477.8	82324.9	5471.8
დიდი ბრიტანეთი	37629.7*	87831.2*	132925.8	9153.0	52539.5	17853.6	107277.9	186824.1	28305.3	7978.4
გერმანია	4144.9	5140.5	5031.8	1019.6	889.0	3524.6	14047.6	20380.8	-54.0	1215.7
ირლანდია	37.5	41.5	592.4	428.2	-31.0	221.2	536.9	1155.2	-9.5	-1666.5
იტალია	15895.7	32453.0*	22833.5	2077.8	17071.2	18448.7	9621.4	47219.1	2694.2*	2912.0
კვიპროსი	675.7	21333.1	47537.3	8718.0	17059.7	11659.1	2634.4	40071.2	145.6	8873.1
ლუქსემბურგი	249.8	276.6	553.1	115.7	73.3	44.2	28.0	261.1	0.0	0.0
ლატვია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	805.0	0.0
ლიტვა	0.0	0.0	0.0	2000.0	478.1	478.1	478.1	3434.2	-166.9*	1991.0
ნიდერლანდები	0.0	0.0	492.0	1390.7	480.0	1126.7	15532.8	18530.2	32756.0	42001.2
პოლონეთი	0.0	0.0	293.8	245.8	38.9	192.3	25.2	502.2	0.0	0.0
საბერძნეთი	1967.2	2178.3	2217.0	521.8	293.7	627.8	1064.1	2507.4	126.5	574.8
საფრანგეთი	16709.5	22854.3*	14383.3	1300.9	1905.7	13398.1	617.1	17221.7	6264.3	3046.9
შვედეთი	81.2	0.0	160.4	152.4	21.3	11.8	4.1	189.5	12.0	5534.2
უნგრეთი	33.9	0.0	327.0	242.3	43.3	19.9	9.2	314.8	0.0	309.1
ევროკავშირის წილი %	28.2	39.2	54.2	27.8	35.5	25.9	40.5	34.2	53.2*	41.9

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი
შენიშვნა: * დაზუსტებული მონაცემები

საანალიზო პერიოდში გაგრძელდა ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი ინვესტიციების წლიური მატების ტენდენცია, რაც მეტწილად ჩეხეთიდან, ნიდერლანდებიდან და შვედეთიდან შემოსულმა საინვესტიციო ნაკადებმა განაპირობა. აღსანიშნავია, რომ დანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან კაპიტალდაბანდებების შესაბამისად, 15-ჯერ და 3.6-ჯერ, შემცირებამ კვარტალურ ჭრილში ინვესტიციების მოცულობის მხოლოდ 2.9 მლნ აშშ დოლარით ზრდა გამოიწვია, რასაც მთლიან ინვესტიციებში ევროკავშირის წილის მკვეთრი (11.3 პროცენტული პუნქტი) დაცემა მოჰყვა.

ევროპელ ინვესტორთა შორის ჩეხეთი ლიდერობდა. მის წილად ევროკავშირის ინვესტიციების 47.6 პროცენტი მოდიოდა. ჩეხური კაპიტალის უდიდესი ნაწილი ენერჯეტიკის სფეროში იქნა განთავსებული. უმსხვილეს ინვესტორთა შორის მეორე ადგილს კვლავ ნიდერლანდები ინარჩუნებდა. ამ ქვეყნიდან შემოსული ინვესტიციები ერთობ შთამბეჭდავი დინამიკით ხასიათდებოდა, რაც საზღვაო ტერმინალის მშენებლობაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობასა და სასტუმროების ქსელში კაპიტალური დაბანდების შედეგი იყო.

მეორე კვარტალში, ევროკავშირის ქვეყნებს შორის, საქართველოში ინვესტიციების თვალსაზრისით, მესამე და მეოთხე ადგილს კვიპროსი და დიდი ბრიტანეთი იკავებდნენ. მართალია, კვიპროსიდან შემოსული ინვესტიციები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის განახევრდა, მაგრამ კვარტალურ გამოსახულებაში შთამბეჭდავად – 61-ჯერ გაიზარდა, რაც ენერჯეტიკის სფეროში ინვესტიციებმა განაპირობა. ბრიტანული ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი სამთომომპოვებელ მრეწველობაში იქნა დაბანდებული, გარკვეული ნაწილი კი უძრავი ქონების შეძენას მოხმარდა.

1. შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში: მოცულობა, სტრუქტურა, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი

მერაბ კაკულია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების
ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC-ის) წამყვანი
მაცხოვრებელი ექსპერტი

განვითარებადი ქვეყნებიდან უცხოეთში სამუშაოდ წასული მიგრანტების მიერ სამშობლოში გამოგზავნილი ფულადი სახსრების მოცულობამ ბოლო წლებში ერთობ შთამბეჭდავი დინამიკა გამოავლინა: მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2001-2005 წლებში იგი 73 პროცენტით გაიზარდა და 167 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია [1, გვ.87-88; 2, გვ.157-159]. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს მიგრანტების ფულადი გზავნილების ნაკადის მხოლოდ ნაწილია, რადგანაც იგი მართლმოდენ ოფიციალური არხებით, ანუ უშუალოდ საბანკო ანგარიშებით და სხვა ელექტრონული საშუალებებით გადმორიცხულ თანხებს მოიცავს. მათი აზრით, ნაღდი ფულის სახით გამოგზავნილი თანხების ოდენობა მიმდებ ქვეყნებში ოფიციალური ფულადი გზავნილების მოცულობის 30-დან თითქმის 250 პროცენტამდე ვარირებს [3, გვ.4-5]. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა, ბანკოტური გზავნილების ჩათვლით, დაახლოებით 250 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს [4, გვ.3].

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების (Remittances) ფაქტობრივი სიდიდე დღეისთვის მრავალჯერ აღემატება დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის გაწეული ე.წ. ოფიციალური დახმარების (Official Development Assistance) მოცულობას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგ განვითარებადი ქვეყნების სავარგო დაფინანსების ყველაზე დიდი წყაროა. გასაკვირი არ არის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე როგორც დონორი და რეციპიანტი ქვეყნების მთავრობები კოლოსალურ ინტერესს იჩენენ ამ ფენომენის მიმართ: წელი არ გავა ისე, რომ არ ჩატარდეს ფულადი გზავნილების მასშტაბური გამოკვლევა, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ცალკეული რეგიონების, ისე ამა თუ იმ ქვეყნის მაგალითზე.

ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო ბანკის მიერ 2006 წელს ორგანიზებული გამოკვლევა [5], რომელმაც აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის 28 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, მოიცვა.

წინამდებარე სტატიის მიზანია რემიტანსული ნაკადების ბოლოდროინდელი გამოკვლევებისა და ექსპერტული შეფასებების ურთიერთმეჯერების საფუძველზე განისაზღვროს საქართველოში ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობა, უკანასკნელის მშპ-ისა და სხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებთან შედარების გზით დადგინდეს მისი მასშტაბი და გავლენა ქვეყანაში სავალუტო ნაკადების შემოდინებაზე, ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ვითარებაზე. დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელად მიგვაჩნია შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების არსებული, ოფიციალური მონაცემების მიმოხილვა.

ელექტრონული ფულადი გზავნილები

საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ-ი) სისტემატურად აქვეყნებს ინფორმაციას ელექტრონული ფულადი გზავნილების მოცულობის და ქვეყნების მიხედვით წარმომავლობის შესახებ, რომელიც საბანკო სექტორში მოქმედი სწრაფი გადარიცხვის ელექტრონული სისტემების (Western Union, MoneyGram, Anelik, Caucasus Express და სხვ.) მონაცემებს ეყრდნობა. უკანასკნელი ასახავს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ფიზიკური პირების მიერ საქართველოს მოქალაქეების ან ამ ქვეყანაში მყოფი სხვა ფიზიკური პირებისთვის გადმორიცხულ თანხებს. მათ შორისაა უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეების მიერ საქართველოში ჩარიცხული ის თანხებიც, რომელიც არ განეკუთვნება შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებულ ფულად გზავნილებს, რადგან აღნიშნული მოქალაქეები, საზღვარგარეთ დამკვიდრებული ქართველების ჩათვლით, არ წარმოადგენენ უცხოეთში სამუშაოდ წასულ მიგრანტებს. იგივე შეიძლება ითქვას საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეების მიერ საქართველოში თავისი თანამემამულეებისთვის გადმორიცხულ თანხებზეც.

შემოთქმულიდან გამომდინარე, ელექტრონული გზავნილები რაოდენობრივად სრულყოფილად ვერ ასახავენ ჩვენთვის საინტერესო ფენომენს, მით უმეტეს, რომ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები სხვა არხებითაც შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის უშუალოდ საბანკო ანგარიშების მეშვეობით ან კიდევ არასაბანკო გზით – ნაღდი ფულის სახით. მიუხედავად ამისა, სწრაფი გადარიცხვის ელექტრონული სისტემების მონაცემები საკმარისად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რომელი ქვეყნებიდან ხორციელდება ძირითადად ფულადი გზავნილები საქართველოში.

ცხრილი 1: ელექტრონული ფულადი გზავნილები საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007*
სულ	63269	69559	72122	96085	259122	403133	546340	352801
აშშ	28196	24292	20297	23641	30612	42631	59497	48269
რუსეთი	14841	18776	21597	26382	132129	253523	364642	222141
გერმანია	2408	3057	3380	5439	5370	6025	4968	2814
ისრაელი	1903	2575	2632	2922	2492	3936	4189	3137
ესპანეთი	1504	1775	1716	2063	4170	6300	11348	10470
საბერძნეთი	1860	2762	3729	5895	7971	15671	16401	8860
ბელგია	1200	1559	1313	1472	1796	1368	1901	1637
უკრაინა	1206	1458	1706	1755	7361	15252	11146	8569
გაერთიანებული სამეფო	1170	1531	1677	2341	5902	4904	5923	3851
პოლონეთი	291	215	179	321	282	285	339	222
ნიდერლანდები	532	481	371	732	829	887	1022	477
ყაზახეთი	883	1002	838	863	2663	1638	3652	3845
კანადა	691	710	618	1266	1093	1604	2049	1055
თურქეთი	834	1221	1598	2819	5721	10215	13929	7299
საფრანგეთი	424	946	1627	3167	3148	3651	3545	1580
არაბთა გაერთიანებული საამიროები	510	499	609	670	899	1200	1302	457
აზერბაიჯანი	46	52	49	100	160	2256	567	386
თურქმენეთი	140	91	83	115	519	120	231	30
დანარჩენი ქვეყნები	4630	6558	8104	14123	46002	31667	39690	27703

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
შენიშვნა: *ნ თვის მონაცემები

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ ელექტრონული ფულადი გზავნილების ნაკადი საქართველოში მეტწილად რამდენიმე ქვეყნიდან მოედინება, რომელთა შორის დიდი უპირატესობით ლიდერობს რუსეთი. ბოლო სამ წელიწადში მასზე საშუალოდ გზავნილების 60 პროცენტი მოდიოდა, თუმცა წინა წლებში (2001-2003) მისი წილი საშუალოდ 27 პროცენტს არ აღემატებოდა და საგრძნობად ჩამოუვარდებოდა აშშ-ს შესაბამის მაჩვენებელს. ამ პერიოდში სწრაფი ელექტრონული გზავნილები საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, შედარებით ახალი სერვისი იყო, რომლითაც მიგრანტთა ერთობ შეზღუდული ნაწილი სარგებლობდა, მით უმეტეს, რომ ორ ქვეყანას შორის ინტენსიური სატრანსპორტო კომუნიკაცია არსებობდა, რომელიც ამარტივებდა ნაღდი ფულადი გზავნილების განხორციელებას. მომსახურების აღნიშნული სახეობით უფრო იმ ქვეყნებში სამუშაოდ წასული მოქალაქენი სარგებლობდნენ, სადაც მკაცრი სამედიცინო რეჟიმი მოქმედებს, რაც მგზავრობის სიძვირესთან ერთად, პრობლემატურს ხდიდა საქართველოსთან მიმოსვლას. ამით შეიძლება აიხსნას, ახალი საუკუნის დასაწყისში ელექტრონული გზავნილების მოცულობის ერთობ დაბალი მაჩვენებლები, რომლებიც ნამდვილად არ იძლევა აღნიშნულ პერიოდში შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების რეალურ სურათს.

საგადამხდლო ბალანსის მონაცემები

საგადამხდლო ბალანსის საჭიროებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი, რომელსაც 2007 წლიდან მისი შედეგა ევალება*, ახორციელებს შინამეურნეობათა პერიოდული გამოკვლევების შედეგების საბანკო სექტორის, უწინარეს ყოვლისა, სწრაფი გადარიცხვების ელექტრონული სისტემების, მონაცემებთან შეჯერებას. ამის საფუძველზე ხორციელდება შრომითი მიგრანტების ფულად გზავნილებთან დაკავშირებული სამი ძირითადი სტატისტიკური კატეგორიის გამოყოფა. ესენია: საკუთრივ მუშაკთა ფულადი გზავნილები, რომელშიც იგულისხმება საქართველოს იმ მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი თანხები, ვინც საზღვარგარეთის ქვეყნებში სამუშაოდ ერთ წელზე მეტ ხანს იმყოფება; მუშაკთა შრომის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს ერთი წლის ფარგლებში საზღვარგარეთ სეზონურ, დროებით და საზღვრისპირა სამუშაოზე დასაქმებულ მოქალაქეთა გზავნილებს და მიგრაციასთან დაკავშირებული ტრანსფერტები, რომელიც გულისხმობს მოქალაქის სამშობლოში დაბრუნების დროს უცხოეთის შესაბამისი ქვეყნიდან გადმოყვანილი აქტივების ფულად ეკვივალენტს. სწორედ აღნიშნულ კატეგორიებში გატარებულ მაჩვენებელთა ჯამი წარმოადგენს, ჩვენი აზრით, ოფიციალური ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობას.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობა საქართველოში (იხილეთ ცხრილი 2), არსებითად განსხვავდება ელექტრონული გზავნილების მონაცემებისგან. ეს განსაკუთრებით 2000-2003 წლებზე ითქმის, როდესაც მიგრანტები ნაკლებად სარგებლობდნენ სწრაფი ელექტრონული გადარიცხვების სისტემებით. ინფორმაციული ვაკუუმის შევსება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს სხვადასხვა წყაროების, მათ შორის შინამეურნეობათა მიმოხილვებისა და სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევების შედეგების საბანკო სისტემის შედარებით მწირ მონაცემებთან შედარების გზით უხდებოდა, რაც, ცხადია, ვერ იძლეოდა სასურველ შედეგს. მოგვიანებით, ელექტრონული ტრანსფერტების მოცულობის მკვეთრი ზრდის და მათი აღრიცხ-

* 2007 წლამდე ამ ფუნქციას სტატისტიკის დეპარტამენტი ასრულებდა.

ვის მოწესრიგების კვალობაზე, შესაძლებელი გახდა უფრო კორექტული ოფიციალური მონაცემების მიღება, თუმცა სპეციალური სტატისტიკური კვლევების ნაკლებობა, რაც მათი დაფინანსების პრობლემასთან არის დაკავშირებული, არ იძლევა ფულადი გზავნილების უფრო ზუსტი რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას.

ცხრილი 2: შრომითი მიგრანტების მთლიანი ფულადი გზავნილების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში (მილიონი აშშ დოლარი)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007*
სულ	274	181	231	235	303	346	485	305
მუშაკთა შრომის ანაზღაურება	179	94	152	168	236	247	315	182
მუშაკთა ფულადი გზავნილები	95	87	75	64	64	94	153	101
მიგრანტების ტრანსფერტი	-	-	4	3	3	5	17	22

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; World Bank, Migration and Remittances Factbook
შენიშვნა: * 6 თვის მონაცემები

კრილიდან კარგად ჩანს, რომ ოფიციალურ რემიტანსულ ნაკადში მუშაკთა შრომის ანაზღაურება (Compensation of Employees) პრივალირებს, ანუ საქართველოს იმ მოქალაქეთა გზავნილები, რომლებიც ერთ წელზე ნაკლები ვადით რჩებიან დონორ ქვეყანაში და საგადასახადო ბალანსის სტატისტიკაში მიგრანტებად არც კი ითვლებიან [6, გვ.75]. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ სამემიგრაციო და სავიზო რეჟიმის გამკაცრებას, განსაკუთრებით, ბოლო რამდენიმე წელიწადში, აგრეთვე მგზავრობის სიძვირეს და სირთულეს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მოკლევადიანი მიგრანტები 2-ჯერ და კიდევ უფრო მეტ თანხას აგზავნიან სამშობლოში, ვიდრე მიგრანტები, რომლებიც წლების მანძილზე რჩებიან დონორ ქვეყანაში. არადა, ქართველ მიგრანტთა სწორედ ეს კატეგორიაა ყველაზე მრავალრიცხოვანი. ამასთან, მიზერულია მიგრანტების ტრანსფერტების (Migration transfers) წილი საერთო რემიტანსულ ნაკადში, რაც, საზოგადოდ, მათი აღრიცხვის სიმძნელით აიხსნება და მართლ საქართველოს პრობლემას არ წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების აღრიცხვის და კლასიფიკაციის უფრო სრულყოფილი პრაქტიკის დამკვიდრება, რისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია ეროვნული ბანკისა და აწ უკვე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ფულადი გზავნილების სპეციალური ერთობლივი კვლევების რეგულარულად წარმოება. ერთობლივის იმიტომ, რომ პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული რიგი საკითხების (ქვეყნის გარეთ მიგრაცია, შინამეურნეობათა ქცევა და სხვ.) შესწავლა სცილდება ეროვნული ბანკის კომპეტენციას. მეორე მხრივ, სტატისტიკის დეპარტამენტს არა აქვს საბანკო სისტემის უნიკალური პირველადი მონაცემების წვდომა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ეროვნულ ბანკს მეტი საშუალება აქვს, თუნდაც დონორების დახმარების გარეშე, დააფინანსოს შედარებით მასშტაბური კვლევა, რასაც მოკლებულია სტატისტიკის დეპარტამენტი.

არაოფიციალური ფულადი გზავნილები

მსოფლიო ბანკის უკანასკნელმა გამოკვლევამ, რომელმაც ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის 28 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, მოიცვა, აჩვენა, რომ მიგრანტების საშუალოდ 41 პროცენტი ფულადი გზავნილებს არაფორმალური არხებით ანუ საბანკო დაწესებულებათა გვერდის ავლით ახორციელებს [5, გვ.7] ჩვეულებრივ ეს არის ნაღდი ფულის გადაგზავნა როგორც სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების და ნაცნობ-მეგობრების, ისე კარგად ორგანიზებული საკურიერო მომსახურების ქსელის საშუალებით [5, გვ.7]. ამგვარი არაოფიციალური გზავნილების სტატისტიკური შეფასება მაღალი სიზუსტით საკმაოდ პრობლემატურია. მათგან განსხვავებით, უშუალოდ საბანკო დაწესებულებების და მათთან მოქმედი ელექტრონული სისტემების, აგრეთვე ფოსტის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები გაცილებით ადვილად ექვემდებარებიან აღრიცხვას და ანგარიშგებას.

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბანკის აზრით, მხოლოდ ორი ქვეყანა, კერძოდ, მოლდოვა და რუსეთი ცდილობს არაოფიციალური გზავნილების საფუძვლიან აღრიცხვას საგადასახადო ბალანსში. დანარჩენი ქვეყნები, საქართველოს მსგავსად, ფულადი გზავნილების კატეგორიაში ძირითადად ოფიციალურ გზავნილებს აჩვენებენ, რის გამოც მათი მონაცემები, როგორც წესი, სრულად ვერ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. გასაკვირი არ არის, რომ მშპ-ის მიმართ ფულადი გზავნილების ყველაზე მაღალი ოფიციალური მაჩვენებელი აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის სწორედ მოლდოვას აქვს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ოფიციალური გზავნილების დინამიკა ამ ქვეყანაში მაღალი ტემპით არ გამოირჩევა, მაშინ როდესაც საქართველოს აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის 28 ქვეყანას შორის, ამ მხრივ, მეოთხე ადგილი უკავია [4, გვ.60]. უნდა ვივარაუდოთ, რომ ელექტრონული ფულადი გზავნილების მოცულობის თითქმის გაექვსმადება საქართველოში 2003-2006 წლებში უფრო ფულადი გზავნილების საბანკო არხებში მოქცევის პროცესს ასახავს, ვიდრე მათი მთლიანი ოდენობის მკვეთრ ზრდას.

მიგრანტთა არაოფიციალური გზავნილების მოცულობაზე საქართველოში გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული კვლევის (2003) შედეგები [7]. მიგრანტთა 50 პროცენტი გზავნილებს საბანკო დაწესებულებების, ხოლო 17 პროცენტი ფოსტის საშუალებით ახორ-

ციელებდა [7, გვ.49]. ამდენად, დარჩენილი 33 პროცენტი ნაღდ ფულს აგზავნიდა. ეს მონაცემი მნიშვნელოვნად ნაკლებია იმავე პერიოდში მოლდოვის და, უფრო მეტად, სომხეთის ანალოგიური მაჩვენებლებზე (შესაბამისად, 38 და 47 პროცენტი).

აღსანიშნავია, რომ არასაბანკო ფულადი გზავნილების წილი საქართველოში ბევრად უფრო მაღალი იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს (1999-2000). იმჟამინდელი ექსპერტული შეფასებებით, ფულადი გზავნილების მთლიანი ნაკადი 600-დან 720 მლნ აშშ დოლარამდე შეადგენდა [7, გვ.51]. თუ მოყვანილ მონაცემებს მთლიანი ფულადი გზავნილების 2000 წლის ოფიციალურ მაჩვენებელს შევუდარებთ (ცხრილი 2), მივიღებთ, რომ არაოფიციალურ გზავნილებზე ამ დროს 54-62 პროცენტი მოდიოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდისთვის რუსეთთან სავიზო რეჟიმი არ მოქმედებდა, ხოლო სხვა ქვეყნებთან სავიზო პროცედურები ისეთი მკაცრი არ იყო როგორც დღესაა, რაც თავისთავად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა არასაბანკო გზავნილების განხორციელებისთვის, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის გზავნილების წილი მართლაც აღწევდა და აჭარბებდა კიდევ 60 პროცენტს. მომდევნო პერიოდში კი მან კლების ტენდენციის გამოვლენა დაიწყო, რომელიც ბოლო წლებში (2004-2006) საგრძნობლად გაძლიერდა, რის შედეგადაც არაოფიციალური ფულადი გზავნილებების წილი გზავნილების მთლიან ნაკადში 2006 წლისთვის არსებითად შემცირდა. ამ საკითხს ქვევით კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით.

მოსაზრებას საქართველოში შრომით მიგრანტთა არაოფიციალური ფულადი გზავნილების კლების ტენდენციის შესახებ ის გარემოებაც ადასტურებს, რომ არასაბანკო გზავნილები საქართველოში იმ ქვეყნებიდან პრივალიზირებდა, რომლებთანაც საქართველოს მოქალაქეებს ინტენსიური მიმოსვლა ჰქონდათ; კერძოდ, რუსეთიდან და საბერძნეთიდან. მათგან შემოსული გზავნილების ნახევარზე მეტი, როგორც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული კვლევიდან ჩანს, ნათესავ-მეგობრების და ავტობუსის მძღოლების საშუალებით ხორციელდებოდა, მაშინ როდესაც აშშ-დან მიგრანტების 84 პროცენტი გზავნილებისთვის უშუალოდ საბანკო ან ელექტრონულ ტრანსფერებს მიმართავდა [7, გვ.49].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა უკიდურესად დაძაბვამ, რომელსაც ამ ქვეყნის მხრიდან სატრანსპორტო, სავიზო და საფოსტო ბლოკადა, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან დებორტაციის კამპანია მოჰყვა, მნიშვნელოვნად გააძლიერა ოფიციალური ფულადი გზავნილების ნაკადები: კომუნიკაციური ბლოკადის პირობებში ძალზე გართულდა არაოფიციალური არხებით გზავნილების განხორციელება, რამაც აიძულა ქართველი მიგრანტები უფრო ფართოდ ესარგებლათ საბანკო დაწესებულებებისა და მათთან მოქმედი სწრაფი გადარიცხვების სისტემების მომსახურებით. აღნიშნული სისტემებით 2007 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რუსეთიდან საქართველოში 1.5-ჯერ მეტი თანხა გადმოირიცხა. ამასთან, დაკვირვება აჩვენებს, რომ ლეგალური სტატუსის არმქონე მიგრანტები მიმართავენ ფულადი სახსრების ჩვეულებრივზე მეტად აკუმულირებას პირველი შესაძლებლობის გაჩენისთანავე საქართველოში გამოგზავნის მიზნით.

ფულადი გზავნილების აგრეგატული სიდიდე

შრომით მიგრანტთა ფულადი გზავნილების მთლიანი ფაქტობრივი ნაკადის რაოდენობრივი შეფასება ჩვეულებრივ ცალკეული მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ჰაბოთეზებს ეყრდნობა და მისი დასაბუთება ძალზე ძნელია. ყველაზე მარტივი გზა ამ მიმართულებით შეიძლება იყოს საქართველოს გარეთ სამუშაოდ წასული მოქალაქეების რაოდენობის გამრავლება ფულადი გზავნილის საშუალო სიდიდეზე, რომელიც ემპირიულად საკმარისი სიზუსტით შეიძლება განისაზღვროს.

საქართველოდან უცხოეთში სამუშაოდ წასული მოქალაქეების რაოდენობა, ზოგიერთი კვლევის შედეგით და ექსპერტული შეფასებით, 250-300 ათასის ფარგლებშია [7, გვ.51; 8, გვ.9]. ამ მონაცემს აშკარად ეწინააღმდეგება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ბ. გრიზლოვის 2006 წლის 2 ოქტომბრის ოფიციალური განცხადება მარტო რუსეთში საქართველოდან 300 ათასი არალეგალური შრომითი მიგრანტის არსებობის შესახებ, თუმცა რუსი ექსპერტების შეფასებით, ამ კატეგორიის ქართველ მიგრანტთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებს – 117 ათასს შეადგენს [9]. უფრო სარწმუნოდ გვესახება შრომითი მიგრაციის ცნობილი რუსი სპეციალისტის ე. ტიურიუკანოვას შეფასება, რომლის მიხედვითაც ყოველ მეოთხე ქართულ შინამეურნეობას რუსეთში ერთი შრომითი მიგრანტი ჰყავს [10]. შესაბამისად, ამ ქვეყანაში სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეთა საერთო რაოდენობა, ლეგალური მიგრანტების ჩათვლით, 250 ათასს უნდა აღწევდეს. რაც შეეხება საქართველოდან ლეგალური მიგრანტების კონკრეტულ ციფრს, თუ რუსეთის ფედერალური საემიგრაციო სამსახურის ინფორმაციას დავყრდნობით, რომლის მიხედვითაც, შრომითი მიგრანტების საშუალოდ 15 პროცენტს აქვს ამ ქვეყანაში მუშაობის იურიდიული უფლება, იგი დაახლოებით 35-40 ათასი იქნება.

დსთ-ს სხვა ქვეყნებში ერთად, სავარაუდოდ 40-50 ათასი ქართველი შრომითი მიგრანტი უნდა იყოს, როგორც ლეგალური [5, გვ.115-122], ისე არალეგალური. ამდენად, მარტო დსთ-ს სივრცეში საქართველოდან სამუშაოდ 300 ათასამდე ადამიანი იმყოფება. თუ ამ ციფრს მთლიანი შრომითი მიგრაციის სიდიდის ზემოთ მოტანილ ექსპერტულ შეფასებასთან (300 ათასამდე მოქალაქე) შევჯერებთ, დსთ-ს მიღმა დარჩენილ ქვეყნებში შრომითი მიგრანტები საქართველოდან საერთოდ არ არიან, რაც დაუჯერებელია. უფრო ზუსტი უნდა იყოს ბოლოდროინდელი შეფასება, რომლის მიხედვითაც უცხოეთში საქართველოდან სამუშაოდ წასულ მოქალაქეთა კრებისითი

მაჩვენებლის ზედა ზღვარი 450 ათასია [11, გვ.90]. აქედან, ჩვენი აზრით, 66.7 პროცენტი რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებზე მოდის, ხოლო 150 ათასი, ანუ 33.3 პროცენტი დარჩენილ ქვეყნებზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოდან წასული მიგრანტების დიდმა ნაწილმა შესაბამისი ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის, მოქალაქეობა მიიღო. მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, მათი რაოდენობა 400 ათასს აჭარბებს. მართალია, უმეტესობა ეთნიკური რუსი და სხვა არაქართველი ეროვნების ემიგრანტია [5, გვ.115, 122-123], მაგრამ საკმაოდ დიდი უნდა იყოს აგრეთვე უშუალოდ ქართველ ემიგრანტთა რიცხვიც, რომელსაც პირობითად “ახალი ქართული დიასპორა” შეიძლება ეწოდოს. ძველ, საბჭოთა პერიოდთან დარჩენილ, დიასპორასთან ერთად იგი რუსეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანია და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსურად რეგულარულად ეხმარება საქართველოში დარჩენილ ნათესავებსა და მეგობრებს, თუმცა ამ სახის ტრანსფერებს შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების კატეგორიაში ვერ განვიხილავთ.

კვლევები აჩვენებს, რომ ქართველ შრომით მიგრანტთა 20-28 პროცენტი, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ ახორციელებს ფულად გზავნილებს სამშობლოში [7, გვ.49; 8, გვ.16]. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო მიგრანტების რაოდენობა 360 ათასი მოქალაქით შეიძლება განისაზღვროს. თუ ფულადი გზავნილის საშუალო თვიურ მოცულობად, ასევე ემპირიული კვლევების შედეგად დადგენილ დაახლოებით 180 აშშ დოლარს მივიჩნევთ* [12, გვ.112], გზავნილების წლიური აგრეგატული მოცულობა 770-800 მლნ აშშ დოლარი გამოდის.

ბევრად უფრო მაღალია გაეროს საერთაშორისო მიგრაციის გლობალური კომისიის ბოლო (2005) მოხსენებაში გაკეთებული შეფასება, რომლის მიხედვითაც საქართველოში ყოველწლიურად 1 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის გზავნილები შემოდის [13, გვ.28]. თუ ფულადი გზავნილების აგრეგატულ მაჩვენებელს რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ქართული დიასპორის მიერ სამშობლოში რეგულარულად გამოგზავნილ თანხებსაც მივუმატებთ, მან შეიძლება გადააჭარბოს კიდევ 1 მლრდ აშშ დოლარს.

თუ ფულადი გზავნილების აგრეგატულ მაჩვენებელს გამოვაკლებთ ოფიციალური ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობას (იხილეთ ცხრილი 2), საქართველოში განხორციელებული არაოფიციალური გზავნილების სიდიდე 2006 წელს დაახლოებით 315 მლნ აშშ დოლარი იქნებოდა, მისი წილი კი 39.4 პროცენტი ანუ რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე საგრძნობად დაბალი.

ცხრილიდან, რომელიც ზემოთ მოტანილ მონაცემებს ეყრდნობა, კარგად ჩანს მთლიანი რემიტანსული ნაკადის რაოდენობრივი მახასიათებლები საქართველოში. აშკარაა, რომ გზავნილების წლიური აგრეგატული მაჩვენებელი 2006 წელს 2000 წელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ არც თუ ისე შთამბეჭდავად, თუმცა ოფიციალური გზავნილების წილმა საკმაოდ მნიშვნელოვნად მოიმატა. ნიშანდობლივია, რომ 2007 წლის პირველ ნახევარში ელექტრონული ფულადი გზავნილების მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 62 პროცენტით გაიზარდა. ეს მხოლოდ შრომითი მიგრანტების მიერ საბანკო არხებით გამოგზავნილი ფულადი სახსრების ნაკადის გაძლიერებით ვერ აიხსნება, მით უმეტეს, რომ ელექტრონულმა ტრანსფერებმა იმატა იმ ქვეყნებიდანაც, საიდანაც საქართველოში ფულადი გზავნილები ტრადიციულად მხოლოდ ოფიციალური გზით შემოდის (მაგალითად, აშშ, ესპანეთი და სხვ.).

ცხრილი 3: ფულადი გზავნილების აგრეგატული სიდიდე საქართველოში და მისი მასშტაბი

	2000	2006
ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობა* (მლნ აშშ დოლარი)	720.0	800.0
ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობის შეფარდება მშპ-თან, %	23.5	10.2
ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობის შეფარდება ექსპორტის მოცულობასთან, %	223.1	80.6
ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობის შეფარდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან, %	548.8	67.2

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ბანკი; World Bank

შენიშვნა: *ექსპერტული შეფასება. მოიცავს შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ნაკადებს

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ისიც, რომ 2000-2006 წლებში არსებითად შემცირდა ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობა მშპ-თან მიმართებაში, რაც, ერთი მხრივ, მშპ-ის მკვეთრი ზრდით, ხოლო, მეორე მხრივ, ფულადი გზავნილების მთლიანი ნაკადის ნაკლებად შთამბეჭდავი დინამიკით არის გამოწვეული. გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე ეროვნული ვალუტის გამყარებამაც.

მიუხედავად ამისა, მშპ-ის მიმართ მიგრანტთა ფულადი გზავნილების მაჩვენებელი მაინც მაღალია, თუმცა ბევრად ნაკლებია, ამ მხრივ, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების რეგიონის ლიდერთა სამეულის (მოლდოვას, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის და ალბანეთის) შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც, ოფიციალური გზავნილების ბაზაზეც კი, მშპ-ის 15-დან 30 პროცენტამდე აღწევს.

* სხვა წყაროებით მიგრანტთა ფულადი გზავნილების საშუალო თვიური მოცულობა 162.4 აშშ დოლარს [7, გვ.50] და 176 აშშ დოლარს [8, გვ.17] შეადგენდა.

სავალუტო ეფექტი

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე, უწინარეს ყოვლისა, მისი, როგორც უცხოური ვალუტის ნაკადების წყაროს, სიდიდით ფასდება. უკანასკნელის დასადგენად გზავნილების მოცულობას ექსპორტისა და ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებს უდარებენ. ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან (იხილეთ ცხრილი 3) ჩანს, რომ 2000 წელს ფულადი გზავნილების აგრეგატული მაჩვენებელი საქართველოში ანუ რემიტანსული ნაკადის ოფიციალური და არაოფიციალური კომპონენტები ერთად აღებული ქართული ექსპორტის მოცულობას 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა, ხოლო ინვესტიციების ოდენობას 5.5-ჯერ.

ექსპორტის რეალური მოცულობა საქართველოში გასული საუკუნის ბოლოს იმდენად მცირე იყო, რომ, კონტრაბანდის ძალიან დიდი მასშტაბის გათვალისწინებითაც კი, ფულადი გზავნილები რაოდენობრივად მაინც მეტი იქნებოდა ქვეყნის საექსპორტო შემოსავლებზე. აღარაფერს ვამბობთ მათ პირდაპირ ინვესტიციებთან მიმართებაზე, რომელთა მოცულობა, არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის გამო, საქართველოში იმჟამად მართლაც მიზერული იყო. ამკარაა, რომ სულ რაღაც 6-7 წლის წინ ფულადი გზავნილები საქართველოში შემომავალი უცხოური ვალუტის მთავარ წყაროს წარმოადგენდა, რაც ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ უკიდრესად მძიმე ვითარებაზე მეტყველებს.

მოგვიანებით, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, რაც, ერთი მხრივ, ფულადი გზავნილების ზომიერი ზრდის, მეორე მხრივ კი, ექსპორტის მატების, მისი მზარდი ლეგალიზაციისა და უცხოური ინვესტიციების ნაკადის მკვეთრად გაძლიერების შედეგი იყო. დღეისთვის, ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობა უკვე ჩამოუვარდება როგორც ექსპორტის, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებს ანუ გზავნილები უკვე აღარ არის ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების სიდიდით პირველწყარო, თუმცა კვლავინდებურად დიდ როლს თამაშობს სავალუტო ნაკადების გენერირებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების ნაკადის სტაბილურობის შენარჩუნება, უცხოური ინვესტიციების მკვეთრი მატების პირობებშიც კი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი საქონლისა და მომსახურების სავაჭრო ბალანსის მზარდი დეფიციტის (თითქმის 2 მლრდ აშშ დოლარი) დაფინანსების საიმედო წყაროა. საქმე იმაშია, რომ საინვესტიციო ბუმი მცირე ზომის, თუნდაც უაღრესად გახსნილ, ეკონომიკაში დროებით ხასიათს ატარებს, მაშინ როდესაც გზავნილების დინამიკა გაცილებით უფრო სტაბილურია და პროგნოზირებადი. მეორე მხრივ, როგორც ემპირიული მონაცემები ადასტურებენ [14, გვ.4], ქვეყნები, რომლებშიც რემიტანსული აქტივობა მაღალია, მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტით (საშუალოდ მშპ-ის 20 პროცენტი) ხასიათდებიან, მაშინ როდესაც ქვეყნებში, სადაც ფულადი გზავნილების მოცულობა არც თუ ისე დიდია, აღნიშნული დეფიციტი ზომიერია (მშპ-ის დაახლოებით 5 პროცენტი). აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების ბაზაზე საექსპორტო პროდუქციის მოცულობის მატებისა და შრომითი მიგრაციის მასშტაბის შემცირების შემთხვევაში ნაკლებად სასურველია ფულად გზავნილებზე ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულების შემდგომი ზრდა. მანამდე, კი მიზანშეწონილია გზავნილების ისეთ ჩარჩოში მოქცევა, რომ მათ მაქსიმალური სარგებელი მოუტანონ საქართველოს ეკონომიკას.

ამ თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების სტაბილურად ძლიერი ნაკადი მცირე ზომის ეკონომიკაში ეროვნული ვალუტის რეალური გამყარების მიზეზი შეიძლება გახდეს [1, გვ.104]. ალბანეთისა და მოლდოვას გამოცდილებამ ნაწილობრივ დაასაბუთა ეს ჰიპოთეზა [15, გვ.37]. რაც შეეხება საქართველოს, მართალია, ბოლო სამ წელიწადში ლარი მკვეთრად გამყარდა, მათ შორის რეალურ განზომილებაში, მაგრამ ამის მიზეზი ეკონომიკის ლეგალიზაცია, ფისკალური ადმინისტრირების გამკაცრება და რაც მთავარია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მძლავრი ნაკადი იყო და არა ფულადი გზავნილები, რომლის როლი, ისე როგორც ადრე, იმპორტის დაფინანსებით და შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ტვირთის შემსუბუქებით შემოიფარგლა, რითაც ხელი შეუწყო შიდა სავალუტო ბაზარზე ჭარბი მიწოდების საკმაოდ ხანგრძლივი ტრენდის ჩამოყალიბებას. ამდენად, საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკაში ღრმა სტრუქტურული ცვლილებების პირობებში რემიტანსული ნაკადის სტაბილურობა ეროვნული ვალუტის გამყარების ხელშემწყობ, მაგრამ არა გამომწვევ ფაქტორად იქცა.

მულტიპლიკაციური ეფექტი

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე მიმდებ ქვეყანაში ან შინამეურნეობათა სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდით ხორციელდება, ან კიდევ დაგროვებით და ინვესტირებით. მიჩნეულია, რომ გზავნილების უშუალოდ ბიზნესში დაბანდებას ან ფინანსურ სექტორში განთავსებას უფრო მეტი მაკროეკონომიკური ეფექტი აქვს, ვიდრე მათ მოხმარებაზე წარმართვას, თუმცა ბოლო დროს ამგვარი მიდგომის მართლზომიერება ეჭვის ქვეშ დადგა [15, გვ.25-28].

ემპირიული კვლევებით უკვე კარგა ხანია დადასტურდა რემიტანსული ნაკადის მნიშვნელოვანი მულტიპლიკაციური ეფექტის არსებობა. ერთ-ერთი ასეთი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ განვითარებად ეკონომიკაში შემოსული ყოველი "მიგროლოლარი", საბოლოო ჯამში, საქონელსა და მომსახურებაზე 4 აშშ დოლარის სიდიდის

მოთხოვნას წარმოშობს [4, გვ.66]. საქართველოსთვის ანალოგიური მაჩვენებლის განსაზღვრა ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ზოგადად იმის გარკვევა, თუ რამდენად სერიოზული შეიძლება იყოს ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მულტიპლიკაციური ეფექტი უკვე არსებული ემპირიული მონაცემებითაც შეიძლება.

უწინარეს ყოვლისა, სასურველია დადგინდეს იმ შინამეურნეობათა მიდრეკილება მოხმარებისკენ, რომლებიც ფულადი გზავნილების რეციპიანტები არიან. მსოფლიო ბანკმა შეისწავლა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა სივრცის ექვსი ქვეყნის (ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, ბულგარეთის, საქართველოს, ყირგიზეთის, რუმინეთისა და ტაჯიკეთის) შინამეურნეობათა მიერ ფულადი გზავნილების სახით მიღებული შემოსავლების ხარჯვა, რომელიც დაბრუნებული მიგრანტების გამოკითხვებს ეყრდნობა. გაირკვა, რომ მოხმარებაზე დასახელებული ქვეყნების შინამეურნეობები საშუალოდ გზავნილების 30 პროცენტზე მეტს ხარჯავენ, განათლებაზე თითქმის 15-ს, ხოლო დაგროვებაზე – 10 პროცენტზე მეტს. შედარებით მოკრძალებულია უშუალოდ ბიზნესში ინვესტიციების წილი – 5 პროცენტამდე [5, გვ.64]. გამოდის, რომ მოხმარებაზე ორიენტირებული ფულადი გზავნილების მესამედზე მეტი, ხოლო დაგროვებასა და ინვესტირებაზე დაახლოებით 16 პროცენტი.

ეს მონაცემები ვერ ასახავენ რეალურ სურათს, რადგანაც დაბრუნებული მიგრანტების გამოკვლევის ბაზაზე მიღებული შედეგები მათ მიერ ჩამოტანილი შედარებით მსხვილი თანხების ხარჯვასაც მოიცავს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ მიკრო და მცირე მეწარმეთა შესწავლამ (2006) დასახელებული გეოგრაფიული არეალის ხუთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, აჩვენა, რომ იმ რესპონდენტთა (მიკრო და მცირე მეწარმეები) 93 პროცენტი, რომლებიც თავიანთ სამეწარმეო საქმიანობაში ასე თუ ისე სარგებლობდა ფულადი გზავნილებებით, მიღებულ სახსრებს ძირითადად ბიზნესის დასაწყებად იყენებდა. გამოკვლევის ავტორთა აზრით, ეს სწორედ ის თანხებია, რომელიც დაბრუნებული მიგრანტების მიერ იქნა აკუმულირებული [14, გვ.6]. ამ ტაპის ქართველი მიგრანტების სხვა კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მათი 63 პროცენტი საზღვარგარეთ სამუშაოდ ყოფნისას დანაზოგს ქმნიდა და ბევრ შემთხვევაში ფულს სამშობლოში არ გზავნიდა [8, გვ.17].

როგორც ემპირიული დაკვირვება აჩვენებს, აღნიშნულ თანხების აკუმულირებას მიგრანტი იმთავითვე გარკვეული მიზნით ახდენს, კერძოდ, უძრავი და სხვა სახის ქონების შესაძენად, ოჯახის წევრის ან საკუთარი განათლების ხარჯების გასასტუმრებლად, ბინის რემონტისთვის, ბანკში დეპოზიტზე შესატანად, ბიზნესში ინვესტირებისთვის და სხვ. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო ბანკის გამოკვლევის მიხედვით, დასახელებულ მიზნებს საშუალოდ გზავნილების საერთო მოცულობის თითქმის 60 პროცენტი ხმარდება [5, გვ.64]. საქართველოში მიგრანტის ამგვარი დანაზოგი უპირატესად უძრავი ქონების ან ავტომობილის შეძენას და ბინის რემონტს, შედარებით იშვიათად კი მცირე ბიზნესში ჩართვას ისახავს მიზნად. გამოკვლევების შედეგად, დაბრუნებული ქართველი მიგრანტების მხოლოდ 20-მა პროცენტმა მოახერხა შემოსავლიანი საქმიანობის წამოწყება, მაშინ როდესაც 40 პროცენტი იძულებულია დანაზოგები პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოახმაროს, რადგანაც სამსახურის შოვნას ვერ ახერხებს. სავარაუდოდ, დაახლოებით ამდენივემ ჩამოტანილი თანხა ავტომობილის, ბინის და სხვა სახის უძრავი ქონების შეძენაზე დახარჯა [12, გვ. 108].

აღნიშნული ქვეყნისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება შინამეურნეობათა მიერ მიმდინარე ფულადი გზავნილების (უცხოეთში მომუშავე რეზიდენტების რეგულარული ტრანსფერები) ხარჯვითი მოდელი (Expenditure Pattern). ამგვარი გზავნილები, თითქმის მთლიანად მოხმარებაზე ორიენტირებული. მათი მოცულობა ერთობ მცირეა იმისთვის, რათა ქონების შეძენას, მით უმეტეს კი დაგროვებას და ბიზნესში ინვესტირებას მოხმარდეს. მაგალითად, ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ქართველი შრომითი მიგრანტი რუსეთიდან საშუალოდ თვეში 179.5 აშშ დოლარს აგზავნის, საბერძნეთიდან – 204.2-ს, აშშ-დან 397.3, ბელგიიდან – 232.9-ს, თურქეთიდან – 149.8-ს და ა.შ. [12, გვ.106].

მიმდინარე გზავნილები, მათი მიმღები შინამეურნეობების შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყაროა: შრომით მიგრანტთა გამოკითხვების მიხედვით, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი სამშობლოში გაგზავნილ თანხებს იქ მყოფი მათი ოჯახების ძირითად საარსებო წყაროდ ასახელებს, თითქმის 40 პროცენტი კი – ერთ-ერთ წყაროდ [12, გვ.107]. შინამეურნეობები, რომელთათვისაც გზავნილები შემოსავლის ძირითადი წყაროა, ცხადია, მოხმარებისკენ მეტ მიდრეკილებას ავლენენ, ვიდრე ისინი, რომლებიც სხვა წყაროებითაც სარგებლობენ. “მიგრანტოლოარების” მიმღები საშუალო ოჯახი კი, ჩვენი აზრით, საშუალოსტატისტიკური ქართული შინამეურნეობის მსგავს ხარჯვით მოდელს უნდა ავლენდეს, რომლის ფულადი ხარჯების დაახლოებით 80 პროცენტი, უშუალოდ მოხმარებასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება დაგროვებასა და ინვესტირებას, მათი წილი შინამეურნეობათა ფულად ხარჯებში უმნიშვნელოა.

ის, რომ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში მეწარმეობის, კერძოდ, მიკრო და მცირე საწარმოების, დაფინანსების შედარებით უმნიშვნელო წყაროს წარმოადგენს ნაწილობრივ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგებითაც დასტურდება. საქართველოში გამოკითხული 149 მიკრო და მცირე მეწარმიდან ფულადი გზავნილების რეციპიანტი მხოლოდ 20 აღმოჩნდა, რომელთაგანაც შემოსავლის აღნიშნულ წყაროს საწარმოო მიზნებისთვის იყენებდა მხოლოდ 6 [14, გვ.6]. გამოდის, რომ ფულად გზავნილებს ბიზნესში ჩართული შინამეურნეობებიც კი ძირითადად სამომხმარებლო ხარჯების დასაფარად იყენებენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შრომით მიგრანტთა ფულადი გზავნილები მკვეთრადაა ორიენტირებული მოხმარებაზე და ამდენად, მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ძირითადად სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდაში გამოვლენილი მულტიპლიკაციური ეფექტით შეიძლება შემოიფარგლოს. ამ მხრივ საქართველო უფრო მოლდოვურ მოდელთან ავლენს მსგავსებას, ვიდრე სომხურთან [5, გვ.66]. დაგროვების ბევრად მაღალი სტატისტიკური წილი ამ უკანასკნელში ფულადი გზავნილების გამოყენებაში იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ სომხეთის მაგალითზე ჩატარებული კვლევა ფულადი გზავნილების სუბიექტად ე.წ. “ძველ დიასპორასაც” (Old Diaspora) მიიჩნევს, რომლის წარმომადგენლები არ არიან სომხეთის მოქალაქეები და შესაბამისად, არც შრომითი მიგრანტები [16, გვ.3-5]. მათი ტრანსფერები ნაკლებად რეგულარულ ხასიათს ატარებენ, მაგრამ მოცულობით უცხოეთში სამუშაოდ წასული მიგრანტების ტრანსფერებზე გაცილებით მეტია და დაგროვების მეტ შესაძლებლობას იძლევა. ჩვენი აზრით, დიასპორის ჩართვა იმ ფენომენის კვლევაში, რომელსაც Remittances ჰქვია, გაუმართლებელია. თუ “ძველი დიასპორის” მიერ გამოგზავნილ თანხებს არ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სომხეთის შინამეურნეობებიც ფულადი გზავნილების ხარჯვის ისეთივე მოდელს ავლენენ, როგორც საქართველოსა და მოლდოვაშია.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების ხარჯვის მოხმარებაზე გამოკვეთილი ორიენტაცია იმპორტის ზრდის სერიოზული ფაქტორია, რადგანაც ადგილობრივი წარმოება საქართველოში ვერ აკმაყოფილებს სამომხმარებლო მოთხოვნას. მოხმარების სტრუქტურაში იმპორტულ საქონელს, როგორც სამრეწველოს, ისე სასურსათოს, ერთობ მაღალი წილი აქვს. ამდენად, ფულადი გზავნილები უფრო მათზე წარმოქმნის მოთხოვნას, ვიდრე ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რემიტანსული ნაკადის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოს ეკონომიკაში ზომიერია.

სოციალური ეფექტი

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოს მოსახლეობის ღარიბი ფენების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამაზე მეტყველებს ყოფილი ქართველი მიგრანტების გამოკითხვის შედეგები, რომელთა თანახმადაც, რესპონდენტთა 65 პროცენტმა განაცხადა, რომ გზავნილების დახმარებით მათი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მათგან 50 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ მკვეთრად გაუმჯობესდა [8, გვ.17]. მიუხედავად ამისა, თუ გზავნილების მიმღები შინამეურნეობების ხარჯვითი ქცევის მოდელით ვიმსჯელებთ, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ რემიტანსული ნაკადი საქართველოში უფრო სიღარიბის შემსუბუქების ძლიერი ფაქტორია, ვიდრე მისი დაძლევის და ქვეყანაში საშუალო კლასის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი.

ერთობ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ გამოკითხულ დაბრუნებულ მიგრანტთა 37 პროცენტი კვლავ, უმუშევარია და მიგრაციის დროს აკუმულირებული დანახოვებით ცხოვრობს [12, გვ. 108]. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია რა სირთულეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო რუსეთიდან მიგრანტების დიდი ნაკადის სამშობლოში იძულებით დაბრუნების შემთხვევაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარტო ამ ქვეყანაში საქართველოს ყოველ მეოთხე შინამეურნეობას ერთი შრომითი მიგრანტი მაინც ჰყავს. ეს კი სულ ცოტა 250 ათასი ქართული შინამეურნეობაა. აღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ხელისუფლებამ თანმიმდევრული მიგრაციული პოლიტიკა უნდა გაატაროს, კერძოდ, უნდა დაიწყოს საგნობრივი მოლაპარაკება ქვეყნებთან, რომლებიც მუშახელის ღირსეულ განიცდიან და შეთანხმდეს მათთან შრომითი მიგრაციის ქვოტები. ერთ-ერთ ასეთ ქვეყანას წარმოადგენს, მაგალითად, ესტონეთი, სადაც მთელ რიგ დარგებში სამუშაო ძალის ამკარა ნაკლებობა შეინიშნება. აღარაფერს ვამბობთ რუსეთზე, სადაც ამგვარი ღირსეული საკმაოდ მასშტაბურია, განსაკუთრებით პროვინციებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ რემიტანსული ნაკადების განაწილება ქვეყნის შიგნით არათანაბარია: თუ შუა აზიის ქვეყნებში გზავნილები მეტწილად სოფელ ადგილებში წარმართება, საქართველოში, ისე როგორც სომხეთში – დედაქალაქსა და შედარებით დიდ ქალაქებში [5, გვ. 70]. მსოფლიო ბანკის მიერ შესწავლილი 5 ქვეყნიდან (ალბანეთი, სომხეთი, საქართველო, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი) ფულადი გზავნილების ურბანული კონცენტრაცია ყველაზე მაღალი (თითქმის 70 პროცენტი) სწორედ საქართველოში აღმოჩნდა [5, გვ. 70], თუმცა სოფლის მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში საქართველოში საგრძნობლად ნაკლებია ალბანეთსა და ცენტრალური აზიის შესწავლილ ქვეყნებთან შედარებით.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების მაღალი ურბანული კონცენტრაცია საქართველოში მათი სოციალური ეფექტის არათანაბარ განაწილებაზე მიუთითებს, რადგანაც თბილისიდან საზღვარგარეთ წასულ მიგრანტებს, როგორც წესი, განათლების და პროფესიონალიზმის უფრო მაღალი ცენზი აქვთ და უფრო ინფორმირებული არიან, რაც განაპირობებს კიდევ მათ უფრო მაღალ ანაზღაურებას. მაგალითად, თბილისელი მიგრანტი, 1.5-ჯერ მეტ თანხას გზავნის ოჯახში, ვიდრე ტყიბულელი, 1.3-ჯერ ვიდრე ზუგდიდელი და სენაკელი; 1.2-ჯერ ვიდრე ამბროლაურელი და 3.3-ჯერ, ვიდრე ახალქალაქელი. ემპირიულ ცდომილებას უნდა მივაწეროთ თელაველი მიგრანტის მიერ სამშობლოში გამოგზავნილი თანხის სიდიდე, რომელიც თბილისელ მიგრანტზე საგრძნობლად მეტი აღმოჩნდა [12, გვ.106]. ამ ფონზე, ნიშანდობლივია მსოფლიო ბანკის გამოკვლევის დასკვნა იმის შესახებ, რომ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფი შინამეურნეობები უფრო მეტ გზავნილებს იღებენ, ვიდრე ღარიბი და უღარიბესი შინამეურნეობები, რაც ერთგვარად აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას

[5, გვ. 73]. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ფულად გზავნილებს უღარიბესი შინამეურნეობებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

ფულადი გზავნილების სოციალური ეფექტი საქართველოში, ისე როგორც ყველგან, სადაც რემიტანსული ნაკადის ინტენიურობა მნიშვნელოვანია, ბევრად არის დამოკიდებული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსისა და ინფლაციის დინამიკაზე. ლარის მკვეთრმა გამყარებამ 2004 წლიდან დღემდე სერიოზული ზიანი მიაყენა ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებს, განსაკუთრებით უღარიბეს შინამეურნეობებს: თუ 2003 წელს საშუალოთვიური ფულადი გზავნილი საქართველოში ეროვნულ ვალუტაში 348 ლარამდე იყო, 2006 წელს იგი 289 ლარამდე შემცირდა, დღეს კი 270 ლარს არ აღემატება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2003-2006 წლებში სამომხმარებლო ფასები საშუალოდ მინიმუმ 7 პროცენტით იზრდებოდა, ადვილი წარმოსადგენია ფულადი გზავნილების გაუფასურების მასშტაბი.

დასკვნები და რეკომენდაციები

არსებული სტატისტიკური მონაცემები საკმარისი სიზუსტით ვერ ასახავენ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების მთლიანი ნაკადის ფაქტობრივ სიდიდეს. ამასთან, ელექტრონული გზავნილების ფართოდ გამოყენება და მათი აღრიცხვის გაუმჯობესება ბოლო წლებში ფულადი გზავნილების წარმომავლობის გეოგრაფიული სტრუქტურისა და ზოგადი ტენდენციების უფრო სრულყოფილი ანალიზის საშუალებას იძლევა;

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების წლიური აგრეგატული მოცულობა საქართველოში 2000 წელთან შედარებით დიდად არ შეცვლილა. ამასთან, ბოლო წლებში არაოფიციალური ანუ ბანკნოტური ფულადი გზავნილების წილი მთლიან რემიტანსულ ნაკადში დაეცა და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია. ამასთან, მნიშვნელოვნად მოიმატა ელექტრონული და უშუალოდ საბანკო ფულადი გზავნილების წილმა, რომელიც 60 პროცენტს აღემატება;

ერთი მხრივ, რემიტანსული ნაკადის არც თუ ისე შთამბეჭდავი დინამიკა, მეორე მხრივ კი, ელექტრონული საშუალებებით განხორციელებული ოფიციალური ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა წამყვანი დონორი ქვეყნის – რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ სავიზო და ემიგრაციული რეჟიმების მკვეთრმა გამკაცრებამ და კომუნიკაციური ბლოკადის დაწესებამ;

რუსეთიდან ფულადი გზავნილების ნაკადის შენარჩუნებისა და ქართველ შრომით მიგრანტთა უფლებების დაცვის ამოცანა დღის წესრიგში აყენებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ეფექტიანი მიგრაციული პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობას. ამ პოლიტიკის უპირველესი მიზანი უნდა იყოს რუსეთსა და სხვა დონორ ქვეყნებში მყოფი შრომითი მიგრანტების ლეგალიზება და სამომავლოდ შრომითი მიგრაციის რეალისტური ქვოტების დაწესება;

ფულადი გზავნილების აგრეგატული სიდიდის და მისი კომპონენტების შეფასება ექსპერტულია და სტატისტიკურ დასაბუთებას საჭიროებს, რისთვისაც აუცილებელია რემიტანსული ნაკადების რეგულარული სტატისტიკური კვლევის ორგანიზება. მის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტთან ერთად შესძლებს პერიოდულად მოამზადოს და გამოსცეს რემიტანსული მიმოხილვა;

მიუხედავად იმისა, რომ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების მასშტაბმა მშპ-თან, ექსპორტის მთლიან მოცულობასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდესთან შედარებით 2000 წლის შემდეგ მკვეთრად იკლო, შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები კვლავ რჩება ქვეყანაში უცხოური ვალუტის ნაკადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ, რომლის ინტენსიურობის შენარჩუნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს;

ფულადი გზავნილები საქართველოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით უფრო მეტად არის ორიენტირებული მოხმარებაზე, ვიდრე დაგროვებასა და ინვესტირებაზე. ამდენად, რემიტანსული ნაკადის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე მხოლოდ მისი მულტიპლიკაციური ეფექტით შემოიფარგლება, რომელიც, თავის მხრივ, ერთობ შეზღუდულია მოხმარების იმპორტზე მკვეთრი ორიენტაციის გამო;

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოს შინამეურნეობათა დიდი ნაწილისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, თუმცა რემიტანსული ნაკადის განაწილება გარკვეული უთანაბრობით ხასიათდება: რეგიონალთა შორის დედაქალაქის და დიდი ქალაქების მაცხოვრებლები სჭარბობენ, რომელთათვისაც ფულადი გზავნილები ხშირ შემთხვევაში შემოსავლის დამატებითი წყაროა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება;

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფი შინამეურნეობების მიერ მიღებული ფულადი გზავნილები ქვეყანაში საკრედიტო რესურსების არც თუ უმნიშვნელო წყაროდ შეიძლება იქცეს, თუ საბანკო დაწესებულებები შეიმუშავენ რემიტანსულ ნაკადზე ორიენტირებულ პროდუქტებს, რომელთა ფარგლებში, ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება შრომითი მიგრანტის მიერ თანხების შედარებით ნაკლები ხარჯით გადმორიცხვა, მეორე

მხრივ კი, ხელსაყრელი სადებოზიტო განაკვეთებით სარგებლობა. ამგვარი პროდუქტების დამკვიდრება საჭიროებს ბანკების სათანადო მოტივირებას, რაზეც სასურველია ეროვნულმა ბანკმა იზრუნოს;

ეროვნული ვალუტის გამყარებამ ბოლო წლებში, რომელიც ინფლაციური პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა საგრძნობლად დაახარა ფულადი გზავნილების მიმღები ღარიბი შინამეურნეობები, რაც ხშირ შემთხვევაში მათი სოციალური მდგომარეობის დამძიმებას უწყობდა ხელს. ამდენად, მაკროეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კოორდინირების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფულადი გზავნილების გაუფასურების მასშტაბი.

გამოყენებული წყაროები:

1. Ratha, D., “Trends, Determinants, and Macroeconomic Effects of Remittances” in *Global Economic Prospects 2006: Economic Implications of Remittances and Migration*, Washington, DC: World Bank.
2. Ratha, D., “Workers’ Remittances: An Important and Stable Source of External Development Finance” in *Global Development Finance 2003: Striving for Stability in Development Finance*, Washington, DC: World Bank, April 2003.
3. Freund, C. and Spatafora, N., “Remittances: Transaction Costs, Determinants and Informal Flows,” *World Bank Policy Research Working Paper 3704*, Washington, DC: World Bank, September 2005.
4. Chami, R., Cosimano T., Gapen M., “Beware of Emigrants Bearing Gifts: Optimal Fiscal and Monetary Policy” in *The Presence of Remittances, IMF Working Paper WP/06/61*.
5. Mansoor, Ali and Bruce Quillin (editors), *Migration and Remittances, Eastern Europe and the Former Soviet Union*, Washington, DC: World Bank, 2006.
6. *Balance of Payment Manual*, International Monetary Fund. Available at: <http://www.imf.org/external/np/sta/bop/BOPman.pdf>
7. *Labour Migration from Georgia*, 2003, International Organisation of Migration (IOM) and Association for Economic Education. Available at: <http://www.iom.ge/index.php?publications&Labour>
8. Badurashvili, I., *Illegal Migrants from Georgia: Labour Market Experiences and Remittance Behaviour*, Georgian Centre for Population Research. Available at: <http://iussp2005.princeton.edu/abstractViewer.aspx?submissionId=51259>
9. Мукомель, Вл., Экономика нелегальной миграции в России, *Население и Общество*, N92, Август 2005. См.: www.demoscope.ru
10. Тюрюканова Е., Денежные переводы мигрантов: беда или благо, *Население и Общество*, N98, Май 2006. См.: www.demoscope.ru
11. მიგრაცია, 1, პროფ. მ. ტუხაშვილის რედაქციით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2007.
12. ჭელიძე, ნ., *შრომითი მიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან*, თბილისი: გამომცემლობა “ლევა”, 2006.
13. Tishkov, V., “Migration in the Countries of the Former Soviet Union,” Global Commission on International Migration (GCIM). Available at: www.gcim.org
14. EBRD, *Transition Report Update*, May 2006. Available at: <http://www.ebrd.com/pubs/econo/6593.htm>
15. “Remittances and Development: Trends, Impacts and Policy Options: A Review of the Literature,” Migration Policy Institute. Available at: www.migrationpolicy.org
16. *Remittances in Armenia: Size, Impacts and Measures to Enhance their Contribution to Development*, USAID/Armenia, October 2004.

2. საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები

გიორგი ლალანძიძე,
 ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
 თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
 სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ექსპორტის განმაზოგადებელი მაჩვენებლების და ზოგიერთი ბოლოდროინდელი ტენდენციის მიმოხილვის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის შესაძლებლობების განხილვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებას, კერძოდ, ევროკავშირში ექსპორტის გაფართოებას, რომელიც ახლო მომავალში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაგისტრალურ მიმართულებად არის მიჩნეული. ცალკე განიხილება ექსპორტის ხელშეწყობის სპეციფიური ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, მათი მსოფლიოში და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებთან მორგების აუცილებლობა. სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრებები, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს არსებული საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებას.

ექსპორტზე ორიენტაციის აუცილებლობა

საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური ზრდის ისეთი მოდელის დამკვიდრებას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას შეუწყობს ხელს. მართალია, სამეწარმეო გარემოს ლიბერალიზაცია საექსპორტო პოტენციალის ეფექტურად გამოყენების აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი. ექსპორტის ხელშეწყობის, როგორც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტის ხელაღებით უარყოფა, სამწუხაროდ, პოლიტიკური ნების დეფიციტზე მეტყველებს, რომელიც ერთობ დაუსაბუთებელ ეკონომიკურ ჰიპოთეზას ეყრდნობა [1]. ეს უკანასკნელი კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს არ გააჩნია სერიოზული საექსპორტო პოტენციალი, რომლის რეალიზაცია საშუალოვადიან პერსპექტივაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

ამ მოსაზრების თანახმად, ეკონომიკური აქტივობა უპირატესად შიდა დაგროვებას და მოხმარებას, აგრეთვე უცხოურ ინვესტიციების მოზიდვას უნდა დაეფუძნოს. ამგვარი მოდელი შეიძლება ეფექტური იყოს მოკლევადიან პერსპექტივაში, თუმცა შემდეგ, თუ ამთავითვე არ იქნა აღებული ექსპორტზე მკვეთრი ორიენტაცია, ძალზედ გაჭირდება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნება. მეორე მხრივ, თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობა წარმოადგენს ორმხრივი მოძრაობის მოდელს, სადაც იმპორტის ზრდა ექსპორტის ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. ეკონომიკის ლიბერალიზაცია ააქტიურებს ზოგადად საგარეო ვაჭრობას, ხელს უწყობს მისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, კერძოდ, მსხვილი უნივერსალური სავაჭრო კომპანიების შექმნას, რაც საქართველოში ჯერჯერობით არ შეინიშნება.

ექსპორტის მონაცემები

ბოლო წლებში ქართული ექსპორტის ზრდის დამაიმედებელი ტენდენცია გამოიკვეთა. მისმა საშუალო წლიურმა ტემპმა 2003-2006 წლებში 13.5 პროცენტი შეადგინა და მნიშვნელოვნად გაუსწრო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს, რომელიც იგივე პერიოდში საშუალოდ 9 პროცენტი იყო. მიუხედავად ამისა, ექსპორტის ზრდა კვლავ ჩამორჩებოდა სავაჭრო დეფიციტის მატებას, რომელიც აღნიშნულ პერიოდში წლიურად საშუალოდ 15.3 პროცენტს შეადგენდა.

ცხრილი 1: ექსპორტის დინამიკა და სტრუქტურა ქვეყანათა ჯგუფის მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი)

	2003	2004	2005	2006	2007 იანვარი-აგვისტო
ექსპორტი სულ	461.4	646.9	865.5	992.5	784.5
დსთ	224.8	327.6	407.2	394.7	301.5
შავი ზღვის ეკონ. თანამშ. ორგ.	250.3	343.2	498.8	505.0	418.1
სუამი	46.7	41.1	120.6	149.3	-
ევროკავშირი	81.6	111.4	165.2	188.5	172.9
ექონომ. თანამშ. და განვ. ორგ.	212.4	272.0	360.7	423.1	372.7
სავაჭრო დეფიციტი	-679.8	-1198.7	-1624.5	-2685.2	-2340.5

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

იმპორტის ზრდის წინმსწრები ტემპის გარდა, ამგვარი ვითარება ქართული ექსპორტის ზრდის უპირატესად ექსტენსიურმა მოდელმა ანუ არსებული საექსპორტო პროდუქციის ტრადიციულ ბაზრებზე მკვეთრმა ორიენტაციამ განაპირობა, რაც რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომაც კი ვერ შეცვალა.

გასულ წელს მაინც გამოვლინდა ევროპის, უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირის, როგორც ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრის როლის გარკვეული ზრდა: კერძოდ, გაიზარდა ევროკავშირში ექსპორტის წილი, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში შემცირდა. რასაკვირველია, ეს, პირველ რიგში, რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს

შედეგი იყო და არა ქართული ექსპორტის მიზანმიმართული დივერსიფიკაციის. ამასთან, სერიოზული განსხვავებები საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო სტატისტიკაში ძალზე ართულებს უფრო საგნობრივი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

საქართველოდან ექსპორტის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნების შესაბამისი მონაცემებისგან (შედარებისთვის იხილეთ ცხრილი 2). ასევე განსხვავებული მაჩვენებლები იკვეთება აშშ-სთან ვაჭრობის შემთხვევაშიც, კერძოდ, 2005 და 2006 წლებში აშშ-ში დაფიქსირებულია შესაბამისად, 194.3 და 105.3 მლნ აშშ დოლარის იმპორტი საქართველოდან, მაშინ, როდესაც საქართველოს საბაჟოს მონაცემებით, ექსპორტი აშშ-ში შესაბამისად, 26.7 და 58.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. ამ ზომის განსხვავებები ნამდვილად ვერ აიხსნება აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა ის, რომ ქართველი ექსპორტიორები მოგების გადასახადის შემცირების მიზნით რეალურ საკონტრაქტო ფასებს ამცირებენ.

ცხრილი 2: ექსპორტი ევროკავშირში: ევროკავშირის მონაცემები (მილიონი აშშ დოლარი)

წლები	2002	2003	2004	2005
ბრუნვა	469.9	607.4	990.8	1009.4
იმპორტი საქართველოდან	190.5	244.0	366.4	351.1

წყარო: ევროკავშირი, http://ec.europa.eu/external_relations/georgia/intro/index.htm

მიუხედავად საქართველოს საბაჟოზე განხორციელებული სერიოზული ძვრებისა, როგორც ჩანს, რეფორმები ნაკლებად შეეხო საბაჟო სტატისტიკის სფეროს. მონაცემთა სანდოობის ხარისხის ამაღლების გარეშე კი შეუძლებელია არსებულ ტენდენციებზე ადეკვატური რეაგირება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბაჟო დეპარტამენტმა ყოველკვარტალურად ჩაატაროს სარკისებური შედარება ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან და მიღებული განსხვავებების საფუძველზე გამოავლინოს კონკრეტული ექსპორტიორი კომპანიები, რომლებიც საბაჟო პროცედურების გავლისას შეგნებულად ამცირებენ საკონტრაქტო ფასებს.

საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურა

საექსპორტო პროდუქციის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართული ექსპორტი პრაქტიკულად იგივე ათი დასახელების ძირითადი პროდუქტითაა წარმოდგენილი, როგორც წინა წლებში იყო. ამასთან, აშკარაა ორიენტაცია დაბალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის, კერძოდ, ნედლეულის ექსპორტზე.

ცხრილი 3: საქართველოს საექსპორტო პროდუქცია (მილიონი აშშ დოლარი)

სასაქონლო პოზიციები	2005	2005, (%)	2006	2006, (%)
ექსპორტი	865.5	100	992.5	100
ფეროშენადნობები	80.2	9.3	89.8	9.0
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	36.4	4.2	79.5	8.0
შავი ლითონის ჯართი	84.2	9.7	72.4	7.3
ახალი ან გამხმარი კაკალი	70.3	8.1	56.6	5.7
მსუბუქი ავტომობილები	17.9	2.1	50.5	5.1
საფრენი აპარატები	69.0	8.0	49.7	5.0
დაუმუშავებელი ან ნახევრადდაუმუშავებული ოქრო	34.7	4.0	49.4	5.0
მინერალური, ან ქიმიური აზოტოვანი სასუქები	35.9	4.1	46.6	4.7
ყურძნის ნატურალური ღვინოები	81.3	9.4	41.1	4.1
სპილენძის ნარჩენები და ჯართი	11.5	1.3	30.2	3.0
სხვა პროდუქცია	34.4	39.7	42.7	43.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი სულ რამდენიმე კატეგორიით – ფეროშენადნობებით, მინერალური ან ქიმიური სასუქებით და ღვინით შემოიფარგლება. 2007 წლის იანვარ-ივნისში ამ ჩამონათვალს ცემენტი დაემატა. რაც შეეხება მსუბუქ ავტომობილებს, საქართველოდან ფაქტიურად მხოლოდ მათი რეექსპორტი ხორციელდება, საფრენი აპარატების ექსპორტი კი რეალურად მათ შეეკეთებასა და რემონტთან არის დაკავშირებული, რაც წლების მანძილზე თურქმენეთის მიმართ საქართველოს საგარეო ვალის დაფარვას ემსახურებოდა.

ექსპორტის გეოგრაფია

საქართველოდან ექსპორტის გეოგრაფია ძირითადად ორ მიმართულებას მოიცავს: დსთ-ს და ევროკავშირს. დსთ-ს სივრცეში წამყვანი ადგილი უჭირავს რუსეთს. სამწუხაროდ, ეს ქვეყანა ვერ იქცა საქართველოს საიმედო სავაჭრო პარტნიორად, რადგან მის დამოკიდებულებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ტრადიციულად პოლიტიკური მოტივი დომინირებს, რისი ნათელი დადასტურებაა გასულ წელს საქართველოს წინააღმდეგ შემოღებული ემბარგო. ამ გადაწყვეტილებამ სერიოზული ცვლილებები გამოიწვია ქართული ექსპორტის გეო-

გრაფიაში. კერძოდ, თუ 2005 წელს რუსეთზე მოდიოდა საქართველოს ექსპორტის 17.8 პროცენტი, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 7.6 პროცენტამდე შემცირდა.

ცხრილი 4: ძირითადი საქსპორტო ქვეყნები (მილიონი აშშ დოლარი)

ქვეყნები	2005	2005, (%)	2006	2006, (%)
ექსპორტი სულ	865.5	100	992.5	100
თურქეთი	121.9	14.1	124.9	12.6
აზერბაიჯანი	83.4	9.6	92.2	9.3
რუსეთი	153.7	17.8	75.7	7.6
სომხეთი	39.7	4.6	73.6	7.4
თურქმენეთი	75.8	8.8	71.8	7.2
ბულგარეთი	42.8	4.9	62.3	6.3
აშშ	26.7	3.1	58.9	5.9
უკრაინა	36.9	4.3	57.0	5.7
კანადა	35.6	4.1	48.9	4.9
გერმანია	28.4	3.3	45.4	4.6
სხვა ქვეყნები	220.3	25.5	282.0	28.4

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

ცხადია, საქართველო რუსეთისთვის არ წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს, რომ რაიმე სერიოზული ზიანი მიაყენოს მის ეკონომიკურ ინტერესებს. ამდენად, რუსეთზე საქსპორტო ორიენტაცია, საქართველოს გეოპოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, ქვეყანას საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით გადააქცევს და მუდმივად ბლოკადის ან ეკონომიკური სანქციების დაწესების საფრთხის ქვეშ ამყოფებს. რაც შეეხება დსთ-ს სხვა ქვეყნებს, სავაჭრო პოტენციალით ისინი რუსეთს ვერ ჩაანაცვლებენ, თუმცა ქართული ექსპორტის მაქსიმალური დივერსიფიკაცია ამ მიმართულებით აუცილებელია და შესაძლებელიც. კერძოდ, 2006 წელს გაიზარდა ექსპორტის პროცენტული წილი უკრაინასა და სომხეთში, საგრძნობლად გაფართოვდა სავაჭრო ურთიერთობები აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან.

ექსპორტის დივერსიფიკაციის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება ევროკავშირი. მის ბაზარზე ქართული პროდუქციის პოზიციების განმტკიცება უნდა მოხდეს როგორც ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოებით (ამას ევროკავშირის გაფართოებაც უწყობს ხელს), ისე ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურის დივერსიფიკაციით [2]. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს – თურქეთს, ევროკავშირთან საბაჟო კავშირი აქვს. ამდენად, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა ევროკავშირთან ანალოგიური რეჟიმის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

გარდა ამისა, ევროპაში ფუნქციონირებს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (ეთვა – EFTA), რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს ევროკავშირთან. ეთვა-ში შედიან ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი. რასაკვირველია, ეთვა თავისი ზომით გაცილებით მცირეა ვიდრე ევროკავშირის ბაზარი, მაგრამ გარკვეული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობები ამ ბაზარზეც შეიძლება მოიძებნოს. პირველ რიგში, ალბათ უნდა ვიფიქროთ მაღალხარისხოვან ღვინოებზე და ორგანული წესით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. მაღალი ცხოვრების დონე და მაღალი ფასები ეთვა-ს წევრი ქვეყნების შიდა ბაზრებზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის ექსპორტიორებისთვის. თუნდაც მცირე მოცულობის ექსპორტი შესაძლებელია საკმაოდ სერიოზული შემოსავლების წყარო გახდეს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან გაამარტივებს ანალოგიური სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ეთვას-თანაც, ისევე როგორც ევროკავშირთან საბაჟო კავშირში ან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში მყოფ მესამე ქვეყნებთან.

თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან მკვეთრად ვერ გაზრდის იმპორტს საქართველოში, ვინაიდან ევროკავშირიდან ძირითადად მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები შემოდის, რომელთა იმპორტი ისედაც უბაჟოდ ხორციელდება. ტექნოლოგიური იმპორტი ხელს უწყობს ინოვაციურ პროცესს და ზრდის საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან დამატებითი სტიმული იქნება ინვესტიციების მოსაზიდად როგორც ევროპიდან, ისე მესამე ქვეყნებიდან. ამ შემთხვევაში საქართველოში წარმოებული პროდუქცია საბაჟო გადასახადებისა და ნაკლები არასატარიფო ბარიერების გავლით მოხვდება ევროკავშირის ბაზარზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის გაფართოება ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების ხარჯზე გარკვეულწილად ამარტივებს ქართულ ექსპორტს, რადგან ეს ქვეყნები ქართული პროდუქციის ტრადიციული მომხმარებლები იყვნენ. ამდენად, პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და რუმინეთი მეტად ხელსაყრელი სავაჭრო პარტნიორები არიან, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს ამ ქვეყნებში ექსპორტის შემზღუდავი ობიექტური ფაქტორებიც, კერძოდ, საქსპორტო პროდუქციის ერთგვაროვნება და შედარებით მცირე შიდა ბაზრები. მათი გათვალისწინებით, გარკვეული პერსპექტივა აქვს აღნიშნულ ქვეყნებში ერთობლივი საწარმოების ფორმირებას და მათ ბაზარზე მესამე ქვეყნების ბაზრებზე, უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირის შიგნით, ექსპორტის განხორციელებას ორმხრივად მომგებიანი პირობების დაცვით.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ევროკავშირის რეაქცია საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადების შეთავაზებაზე არ არის ცალსახა, მაგრამ მისი ინიციატივით და დაფინანსებით გადაწყდა სპეციალური კვლევის ჩატარება იმის გასარკვევად, თუ რა შესაძლო შედეგები მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას. თუმცა ერთი რამ აბსოლუტურად ნათელია, რომ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირზე რაიმე სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს.

ექსპორტის ზოგადი პირობები

საქართველოში უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდა ექსპორტის გადიდების საკმაოდ ხელსაყრელი ფონი. დავიწყეთ თუნდაც იქიდან, რომ ქვეყანა გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, აქვს პრეფერენციები ვაჭრობაში ევროკავშირთან, აშშ-სთან, კანადა-სთან, იაპონია-სთან, შვეიცარია-სთან. დადებულია ორმხრივი ხელშეკრულებები თავისუფალ ვაჭრობაზე დსთ-ს სივრცის ქვეყნებთან, თუმცა მათი რეალიზაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური ნიშნით ფერხდება. ამის ნათელ მაგალითს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ დაწესებული ემბარგო წარმოადგენს.

საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია კი ევროკავშირის მიმართულებით ერთობ სერიოზულ არასატარიფო ბარიერებს აწყდება, რაც ძირითადად პროდუქციის აკრედიტაციისა და სერთიფიკაციის პრობლემას უკავშირდება [3]. სამწუხაროდ, საქართველოში მოქმედი ხარისხის სერტიფიცირების ლაბორატორიებიდან არც ერთს არ აქვს ევროპული აკრედიტაცია, ეს კი მნიშვნელოვნად აფერხებს პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირში. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციის ინიციატივით გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), 2003 წელს დააფინანსა ხარისხის სერტიფიცირების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი, რომლის განხორციელებაში მონაწილეობდნენ შესაბამისი პროფილის კერძო სტრუქტურები საქართველოდან და გერმანიიდან. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები აღნიშნული ლაბორატორიის მიერ გაცემული ხარისხის სერთიფიკატების ევროკავშირში აღიარებისთვის, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. როგორც ჩანს, სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, კერძოდ, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, საწყის ეტაპზე მაინც, უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ხარისხის სერტიფიცირების ლაბორატორიების შექმნა, რომელთა მართვის უფლება შეიძლება კერძო სტრუქტურებს გადაეცეთ ღია კონკურსის წესით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანებამ (1998) დააჩქარა ღია ეკონომიკის ფორმირება საქართველოში, რამაც კარგი პირობები შექმნა ინვესტიციების მოზიდვისთვის. მიუხედავად ამისა, შიდა ბაზრის მცირე მოცულობისა და რეგიონული ბაზრის კონსოლიდაციის დაბალი დონის გამო, უცხოური ინვესტიციები სამრეწველო წარმოების სფეროში ჯერჯერობით შედარებით მცირე ზომისაა, რაც ხაზს უსვამს ინვესტიციების ექსპორტზე ორიენტირებისთვის დამატებითი პირობების შექმნის აუცილებლობას. მართალია, ამ ეტაპზე ინვესტირება უპირატესად ენერგეტიკის, მშენებლობის და მომსახურების სფეროებში ხორციელდება, მაგრამ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდა, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს განვითარება, საბოლოო ჯამში, მაინც იქონიებს პოზიტიურ გავლენას ექსპორტზე. ამ მხრივ ერთობ მნიშვნელოვანია უცხოელი ტურისტების მოზიდვა, რაც არსებითად ფარული ექსპორტია (Hidden Export) [4], რომლის დროსაც ადგილი აქვს არა პროდუქტის მყიდველისთვის მიწოდებას, არამედ მის პროდუქტთან მიყვანას.

ხელშეწყობის დამატებითი მექანიზმები

საქართველოში არ არსებობს ექსპორტის ხელშეწყობის ისეთი აპრობირებული მექანიზმები, როგორცაა ექსპორტის დაკრედიტება და დაზღვევა, რაც პრაქტიკულად აფერხებს ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნასა და ბაზრების დივერსიფიკაციას. თუ სახელმწიფოს მიერ ექსპორტიორების სპეციალური საკრედიტო პროდუქტებით უზრუნველყოფის პრაქტიკის უარყოფა საქართველოს მთავრობის მხრიდან ასე თუ ისე მოტივირებულია, თუნდაც პოტენციური კორუფციის საფრთხით, გაუგებარია, რატომ არ ხდება ექსპორტის დაზღვევის მექანიზმის გამოყენება. სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი შესაბამისი სტრუქტურები აღმოსვლეთ და ცენტრალური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და ერთი და იმავე სქემას ეფუძნება [5]. ისინი მიზნად ისახავს შეამციროს ექსპორტიორთა პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები. ტიპურია ამ სტრუქტურების ორგანიზაციული ფორმებიც (BAEZ-ი ბულგარეთში, EGAP-ი ჩეხეთში და სხვ.). საქართველოში აღნიშნული მექანიზმი ეკონომიკაში სახელმწიფოს უხემ ჩარევად ჩაითვალა და იმთავითვე უარყოფილ იქნა.

ინსტიტუციური გამოწვევა

საექსპორტო პროდუქციის ქართველი მწარმოებლები, გარკვეული აზრით, ხშირ შემთხვევაში უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, როდესაც თვითონ უწევთ საკუთარი პროდუქციის ექსპორტირება. არადა, პრაქტიკულად ყველა მაღალგანვითარებული ქვეყნის გამოცდილება ცალსახად ადასტურებს მრავალპროფილიანი სავაჭრო კომპანიების ძალზე მნიშვნელოვან როლს ექსპორტში [6,7]. სწორედ ამ ტიპის კომპანიებზე მოდის განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის სულ ცოტა 50 პროცენტი. ვინაიდან უშუალოდ ექსპორტზე ორიენტირებული სავაჭრო-საშუამავლო კომპანიების ჩამოყალიბება საქართველოში დაბეგვრის არასრულყოფილი მექანიზმის გამო ვერ განხორციელდა, ამ ფუნქციის ყველაზე უკეთ შესრულება მსხვილ სავაჭრო იმპორტიორ კომპანიებს შეუძლიათ.

მსხვილ იმპორტიორ კომპანიებს გააჩნიათ პოტენციური საექსპორტო ბაზრების პროფესიული ცოდნა და უცხოელ პარტნიორებთან მუშაობის გამოცდილება. შესაძლებელია მათთან საექსპორტო ალიანსების ფორმირება, რაც საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. საექსპორტო ალიანსები ძლიერი მრავალპროფილიანი სავაჭრო კომპანიის ირგვლივ იქმნება, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ბაზრის მოძიების ან უკვე არსებულისთვის ახალი საექსპორტო პროდუქციის შეთავაზებას. სწორედ ამგვარი უნივერსალური სავაჭრო კომპანია ახდენს ბაზრის ანალიზს და განსაზღვრავს ახალ საბაზრო სეგმენტებს.

საექსპორტო ალიანსები იქმნება როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად. პირველ შემთხვევაში ერთიანდებიან ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული კომპანიები (სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მიწოდებლები). ამ შემთხვევაში საექსპორტო ბაზარზე გადის ერთი კომპანია, რომელიც ახდენს საბოლოო პროდუქტის წარმოებას. ალიანსის მიზანია ამ უკანასკნელის მაქსიმალური ხელშეწყობა, ვინაიდან საექსპორტო შეკვეთების ზრდის შემთხვევაში იზრდება დაკვეთები მათ პროდუქციაზეც. საექსპორტო ალიანსში გაერთიანება ამ კომპანიებს უხსნის დღე-ს გადახდისა და შემდეგ მისი დაბრუნების დროში გაწევილ პროცედურასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჰორიზონტალური საექსპორტო ალიანსის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი და იმავე პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების გაერთიანება ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების ან უკვე არსებულ ბაზრებზე საექსპორტო დაკვეთების გაზრდის მიზნით. ასეთ ალიანსებში მონაწილე კომპანიები თანხმდებიან, რომ საექსპორტო პროდუქცია ერთი სავაჭრო ნიშნის ქვეშ დაამზადონ.

სავაჭრო კომპანიის გარშემო შექმნილი საექსპორტო ალიანსი წარმოადგენს ვერტიკალურ გაერთიანებას; ამ პრაქტიკას ფართოდ მიმართავენ როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე აშშ-სა და იაპონიაში. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საექსპორტო ალიანსების ფორმირების ორგანიზაციულ ასპექტებს, კერძოდ, გამარტივდეს ასეთი ალიანსების რეგისტრაცია და შესაბამისი ცვლილებები შევიდეს კანონში სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.

მიზანშეწონილია ვიფიქროთ, საექსპორტო ალიანსების საგადასახადო შეღავათებზეც, კერძოდ, დასაშვებია მოგების რეგრესული გადასახადის დაწესება. ამგვარი მექანიზმი გულისხმობს მოგების მოცულობის ზრდის კვალობაზე მოგების გადასახადის პროცენტულ შემცირებას, რაც სტიმულს მისცემს ქართველ ექსპორტიორებს არ დამალონ თავიანთი რეალური მოგება. შესაძლოა ამან ხელი შეუწყოს საექსპორტო სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებასაც.

კონკურენტუნარიანობის პრობლემა

სერიოზულ პრობლემად უნდა ვაღიაროთ ქართული პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა, კერძოდ კი, მისი სიძვირე. ხშირად ქართული ნაწარმი შიდა ბაზარზეც კი უფრო ძვირია, ვიდრე იმპორტული საქონელი, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მწარმოებლები მოკლებული არიან წარმოების მასშტაბზე ფარდობითი ეკონომიის მიღების შესაძლებლობას, რაც, საზოგადოდ, ყველა მცირე ზომის ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი.

ამასთან, საქართველოში ერთობ ძვირია წარმოების ფაქტორები, მაგალითად, ელექტროენერგია, რომ ალარაფერი ვთქვათ მის ხარისხზე და მიწოდების სტაბილურობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში. მწარმოებლები საკმაოდ მაღალი ტარიფით სარგებლობენ, მაშინ როდესაც, სხვა რომ არაფერი, შესაძლებელია ტარიფის დიფერენციაცია სეზონური ნიშნით ან კიდევ დღე-ღამის განმავლობაში.

გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოში მუშა ხელი იაფია. ერთი შეხედვით ეს ასეც ჩანს, თუ მხოლოდ ხელფასის დონით ვიმსჯელებთ, მაგრამ თუ ჩავატარებთ გამოშვებული პროდუქციის ერთეულების მიხედვით ანალიზს (Unit Labor Cost), დავრწმუნდებით ამ შეხედულების უსაფუძვლობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად დაბალი ხელფასებისა საქართველოში, თუ ამ ხელფასებს გადავიანგარიშებთ დამზადებული პროდუქციის ერთეულზე ფარდობით უპირატესობას უკვე ვეღარ აღმოვაჩენთ. რასაკვირველია, ეს უკავშირდება შრომის დაბალ მწარმოებლურობას. შესაბამისი მონაცემების გაცნობა შეიძლება მსოფლიო ბანკის პუბლიკაციაში – „საქართველო: ვაჭრობის განვითარების ინტეგრირებული სტრატეგია“ [8], ამდენად, მათზე ამჯერად აღარ შევჩერდებით.

მიგვაჩნია, რომ საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასება საქართველოში რეგულარულად უნდა განხორციელდეს და შემუშავებულ უნდა იქნეს სათანადო რეკომენდაციები. ეს მიდგომა, სხვათა შორის, კარგადაა აპრობირებული ირლანდიაში, სადაც ექსპორტის დინამიკა ძალზე შთამბეჭდავი იყო სწორედ მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხარჯზე. ამ ქვეყნის ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონკურენტუნარიანობის შესახებ სპეციალური ანგარიშის მომზადებას (Competitiveness Report), სადაც დეტალურადაა გაანალიზებული ირლანდიის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ფაქტორები და შემუშავებულია შესაბამისი კონკრეტული რეკომენდაციები [9].

მაღალი პოტენციალის საექსპორტო საქონელი

ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა [2] იმ საექსპორტო პროდუქციის განსაზღვრავს, რომელსაც გააჩნია ფარდობითი უპირატესობა. რასაკვირველია, აღნიშნული სამუშაოების ჩატარება მნიშვნელო-

ვანია, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტორი, რომ უმეტეს შემთხვევაში გამოყენებული მეთოდოლოგიები აანალიზებენ უკვე არსებულ საექსპორტო პროდუქციას და ამის საფუძველზე განსაზღვრავენ ფარდობით უპირატესობებს.

ამგვარი მიდგომა, გარკვეული აზრით, ზღუდავს საექსპორტო პოტენციალის სრულ გამოვლენას, რასაც თუნდაც შემდეგი მაგალითი ადასტურებს. ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიო ვაჭრობაში განუხრელად იზრდებოდა ისეთი პროდუქტის რეალიზაცია, როგორცაა სადენები (ყველა ტიპის დაწყებული მაღალი სიმძლავრის, დამთავრებული უმარტივესი სატელეფონო ან საყოფაცხოვრებო სადენებით). ამ ტიპის პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან არ ხორციელდება, თუმცა არსებობს როგორც გამოცდილება (საბჭოთა პერიოდში ზესტაფონის საკაბელო ქარხნის პროდუქცია მწვავედ დეფიციტური იყო მთელ კავშირში), ისე ამ პროდუქციის წარმოებისთვის აუცილებელი ადგილობრივი რესურსები, ფეროშენადნობები. მეორე მაგალითია მანგანუმის ბაზაზე დამზადებული პროდუქცია, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის ბატარეები და ა.შ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბოლო 10-15 წლის მანძილზე მსოფლიო ვაჭრობის განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე გამოიყოს პროდუქციის ის სახეობები, რომელზეც მსოფლიო ბაზარზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნა არსებობს. კვლევა უნდა ჩატარდეს, როგორც ცალკეული პროდუქტის, ისე მსოფლიო ბაზრის რეგიონულ ჯრილში. შედეგად, გამოიკვეთება პროდუქციის ის სახეობები, რომელთა ექსპორტი საქართველოდან ფაქტობრივად არ ხორციელდება, მაგრამ მათი წარმოებისთვის ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები არსებობს.

თავისუფალი სავაჭრო ზონები

არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ საკითხს, როგორცაა სპეციალური საექსპორტო ზონების შექმნა, რაც ხშირად ექსპორტის ხელშეწყობის ყველაზე ეფექტიან მექანიზმად მოიაზრება [10]. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ზონების ფორმირება ყოველთვის არსებულ პირობებთან მიმართებაში განიხილება: მათი ეფექტინობა დამოკიდებულია არა იმდენად ფუნქციონირების ზოგად პრინციპებზე, რამდენადაც კონკრეტულ ვითარებაზე.

სპეციალური საექსპორტო ზონების შექმნა საქართველოში ზოგადად მიზანშეუწონელია, რადგანაც არსებულ შეღავათებს, რომლებიც უკვე აქვთ ექსპორტიორებს ძნელად თუ დაემატება რამე. ამდენად, ანალოგიური ზონების ჩამოყალიბებას ამა თუ იმ ტერიტორიაზე ქვეყნის მასშტაბით არ ექნება სერიოზული ეფექტი, თუმცა მოცემული რეგიონის დაჩქარებულ ეკონომიკურ განვითარებას ხელს შეუწყობს.

აქედან გამომდინარე, უმჯობესია ვისაუბროთ ზოგადად თავისუფალ ეკონომიკურ (სავაჭრო) ზონებზე, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები საქართველოს, როგორც რეგიონის სავაჭრო ლიდერის პოზიციის ფორმირებისთვის. გარდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა საქართველოს შეუძლია გამოიყენოს მეტად თავისებური პოლიტიკური გარემო, რომელიც რეგიონში ჩამოყალიბდა. სახელდობრ, თურქეთ-სომხეთსა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არ ხორციელდება ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები; და თუ ხორციელდება, ძირითადად ნახევრად ლეგალური ფორმით, საქართველოს მეშვეობით. ამ ურთიერთობების ლეგალიზაციისა და შესაბამისი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად მიზანშეწონილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირება. რეგიონი ესაზღვრება როგორც თურქეთს, ისე სომხეთს, თანაც კომუნიკაციების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გარდა ამისა, ეს არის უმოკლესი გზა თურქული პროდუქციისთვის სომხეთში და პირუკუ.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც მიიღებდა რეგიონი ამ გადაწყვეტილების რეალიზაციიდან. რუსეთის ფედერაციის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორია საკმაოდ კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით (პერიმეტრის კონტროლი, შიდა კომუნიკაციები, არსებული სამოქალაქო ობიექტები, საწყობები და ა.შ.) იდეალურად შეასრულებდა ამ ფუნქციას. ამ პროექტის რეალიზაცია სავსებით შესაძლებელია უკვე 2007 წლის ბოლოს სამხედრო ბაზის სრული გაყვანის შემდეგ. იგი სრულებით არ იქნება დაკავშირებული დამატებით სახელმწიფო დანახარჯებთან. შესაბამისი თავისუფალი სავაჭრო ზონის ოპერირებაზე შესაძლებელია გამოცხადდეს ტენდერი, რომლის გამარჯვებულიც უზრუნველყოფს თავისუფალი სავაჭრო ზონის ფუნქციონირებას. მაგალითად, შესაძლებელია მოდელად ავიღოთ ასეთი ზონების ფუნქციონირების გამოცდილება ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებში.

დასკვნები და რეკომენდაციები

სამეწარმეო გარემოს ლიბერალიზაცია ექსპორტის ხელშეწყობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა საკმარისი. საქართველოს ეკონომიკის იმპორტიდან ექსპორტზე რეორიენტაცია ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა გადაიქცეს;

ქართული ექსპორტის არსებული სტატისტიკური მონაცემები ხშირ შემთხვევაში არ ედრება პარტნიორი ქვეყნების შესაბამის მონაცემებს, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მათ საიმედოობას. დღის წესრიგში დგება საბაჟო სტატისტიკის სრულყოფისა და სარკისებური შედარებების საფუძველზე ექსპორტის მონაცემების დაზუსტე-

ბის გადაუდებებელი აუცილებლობა. უტყუარი სტატისტიკური ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი იქნება ექსპორტის ხელშეწყობის ეფექტური პოლიტიკის გატარება;

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ პოლიტიკური მოტივით შემოღებულმა სავაჭრო ემბარგომ მნიშვნელოვნად გაზარდა ქართული ექსპორტის დივერსიფიკაციის საკითხის აქტუალურობა. შექმნილ ვითარებაში ამ პროცესის მაგისტრალურ მიმართულებად ევროკავშირი და, საზოგადოდ, ევროპა უნდა იქცეს.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, რომლის დადების პერსპექტივა ასე თუ ისე გამოიკვეთა, ქვეყანას, ერთი მხრივ, საექსპორტო წარმოების მოდერნიზაციისა და გამრავალფეროვნების შესაძლებლობას მისცემს, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ბაზრებისკენ გაუხსნის გზას, მათ შორის ევროკავშირთან საბაჟო კავშირში მყოფ მესამე ქვეყნებთან;

ევროკავშირში ქართული ექსპორტის გაფართოების დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს არასატარიფო ბარიერების არსებობა, რომელთა გადასახადად აუცილებელია ქვეყანაში ხარისხის თანამედროვე ინფრასტრუქტურის დამკვიდრება, კერძოდ კი, ევროპული აკრედიტაციის მქონე ტესტირების ლაბორატორიების ქსელის შექმნა;

ქართული ექსპორტის ხელშეწყობისთვის მიზანშეწონილია ექსპორტიორების მიერ გაწეული რისკების დაზღვევა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შექმნილი სადაზღვევო ფონდის საშუალებით, რომელშიც მოხდება იმპორტზე საბაჟო გადასახადის გარკვეული პროცენტის (3-5 პროცენტი) აკუმულირება. ადმინისტრაციული დანახარჯების მინიმიზაციისთვის შესაბამისი საქმიანობა უმჯობესია განხორციელოს უკვე არსებულმა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურამ, კერძოდ, ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ.

ქვეყნის საექსპორტო წარმოების ოპტიმიზაციისთვის საჭიროა ხელსაყრელი პირობების შექმნა საექსპორტო ალიანსების ფუნქციონირებისთვის. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ საექსპორტო ალიანსებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის ექსპორტზე, მაგალითად, არა ხე-ტყის პროდუქციის, არამედ ხისგან დამზადებული დეტალების ექსპორტზე. ეს იგივე ან უფრო მცირე მოცულობის ნედლეულით გაცილებით მაღალი საექსპორტო შემოსავლების მიღების საშუალებას იძლევა.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებისთვის ერთობ სასარგებლო იქნება ექსპორტიორთა ყოველწლიური ფორუმის ორგანიზება, რომელზეც ექსპორტიორ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები ექსპორტის დივერსიფიკაციასთან მიმართებაში სახელმწიფოს მიერ გატარებული ან გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ფორუმის ორგანიზაციული ასპექტები უნდა დაარეგულირონ ექსპორტიორთა ასოციაციამ და შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა. ფორუმზე მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელი იქნება.

მიზანშეწონილია ყოველწლიურად ჩატარდეს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასება და მომზადდეს შესაბამისი ანგარიში ექსპორტიორთა ფორუმზე განსახილველად. ამ ტიპის სამუშაოს შესრულება სასურველია მოხდეს ევროკავშირის ან ცალკეული დონორი ქვეყნების ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

სპეციალური საექსპორტო ზონების ფორმირება საქართველოში არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ეფექტიან მექანიზმად, უმჯობესია აქცენტი გადატანილ იქნეს თავისუფალ სავაჭრო ზონებზე, რომელთა ფუნქციონირება ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც რეგიონის სავაჭრო ლიდერის ფორმირებას. მიზანშეწონილია ამგვარი ზონის შექმნა სამცხე-ჯავახეთში, სადაც საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით შესაძლებელია განხორციელდეს სავაჭრო ურთიერთობები, ერთი მხრივ, თურქეთსა და სომხეთს, ხოლო, მეორე მხრივ, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

გამოყენებული წყაროები:

1. *ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის*, საქართველოს მთავრობის პროგრამა, 07.09.2007
www.government.gov.ge
2. ვისენტზი, ვ., საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაცია და ხელშეწყობა, *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა*, ოქტომბერი 2006.
3. *სტანდარტიზაციის, სერტიფიცირების, მეტროლოგიის (ასევე, სურსათის უვნებლობის და ხარისხის) რეფორმირების პრობლემები*, კონფერენციის მასალები, თბილისი 2006.

4. Exposing Hidden Exports. Available at: http://www.cedarrapids.org/_includes/fileblob.asp?I=17&table=content&ext=pdf&name=Exposing+Hidden060501.pdf
5. Export Insurance. Available at: www.export.gov
6. "What's New in Trade Associations, Forming Export Alliances and Avoiding Antitrust," *New York Times*, 9 October 2007.
7. Czech Export Alliances. Available at: <http://www.czechtrade.cz/en>
8. "Georgia: An Integrated Trade Development Strategy," *World Bank, Report No 27264*, 5 November 2003, p.16. Available at: <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/COUNTRIES/ECAEXT/GEORGIAEXTN/>
9. "Ireland's Competitiveness Challenge," *Annual Competitiveness Report*, Volume 2, February 2007. Available at: www.competitiveness.ie
10. "Special Economic Zones, Export Oriented Units and Foreign Overseas Investment," *Annual 2003*. Available at: www.nic.in

მარეგულირებელი ჩარჩოს დაახლოება ევროკავშირთან, როგორც ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისების მნიშვნელოვანი ფაქტორი

კახა გოგოლაშვილი,
ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების
ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC-ის)
დირექტორი

არის თუ არა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მიზანი ევროკავშირის გაფართოება? ამ საკითხის მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომების არსებობის მიუხედავად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პოლიტიკა ნამდვილად ისახავს მიზნად ევროპულ სამეზობლოში ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას. კერძოდ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის ინტენსიფიცირებას. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიღებულ საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში ნათქვამია, რომ "...ევროკავშირის და საქართველოს უფრო მჭიდრო ურთიერთობის შესაძლებლობა მიეცათ, რომელიც სცილდება თანამშრომლობის ფარგლებს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტეგრირებას... გულისხმობს." [1, გვ.2].

არსებობს ეკონომიკური ინტეგრაციის რამდენიმე ფორმა. ეს ფორმები ან მოდელები განსხვავდებიან ურთიერთგახსნილობის, პოლიტიკის კოორდინაციისა და საკანონმდებლო და მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს ჰარმონიზაციის ხარისხით. ევროპული ინტეგრაცია მნიშვნელოვანწილად ეკონომიკურ განზომილებაში ხორციელდება. იგი ისეთი მოვლენებში ჰპოვებს რეალიზაციას, როგორცაა თავისუფალი ვაჭრობა, საბაჟო კავშირი, ეკონომიკური კავშირი, მონეტარული კავშირი, ერთიანი ბაზარი და ა.შ.

რაციონალური საფუძველი

თანამშრომლობის ან დაახლოების ფორმები პარტნიორ ქვეყნებს შორის მარეგულირებელი და საკანონმდებლო გარემოს დაახლოების სხვადასხვა დონეს საჭიროებს.

გლობალურ კონტექსტში აღნიშნული ჰარმონიზაციის ამოცანა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წესების საყოველთაო დამკვიდრების შედეგად ხორციელდება. სწორედ ამ ინსტიტუტების დამსახურებაა, რომ ქვეყნების უმეტესი ნაწილი პატივს სცემს და იყენებს კომერციული, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის, ფინანსური და კარგი მმართველობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. გამონაკლისს მხოლოდ ე.წ. "მარტოდ მოთამაშე" სახელმწიფოები წარმოადგენენ. ამ წესების საშუალებით აღნიშნული ორგანიზაციების წევრებს შორის შესაძლებელი გახდა ინტეგრაციის მინიმალური დონის მიღწევა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა უფრო ფართოა იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც შიდა ბაზარზე თამაშის ერთნაირი წესები აქვთ. ეს არა მხოლოდ საქონლით ვაჭრობას, არამედ კაპიტალისა და მომსახურების გადაადგილებასაც შეეხება.

ევროკავშირში მარეგულირებელი ჩარჩოების დაახლოება, რომელიც ძირითადად ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის ფორმას ატარებს, მოტივირებულია წევრ ქვეყნებს შორის ე.წ. "მარეგულირებელი კონკურენციის" თავიდან აცილებით [2, გვ.84]. "გარემოდაცვითი ან სოციალური დემპინგის" გამოყენებით იმ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობა ნაკლებად მკაცრია, შესაბამისად, შედარებით დაბალი დანახარჯების საშუალებით, შეუძლიათ "არასამართლიანად" მოიპოვონ უპირატესობები საერთაშორისო ვაჭრობაში. ამიტომ ევროკავშირის კანონმდებლობა ხშირად მიმართავს ე.წ. "პროცესზე ორიენტირებულ სტანდარტებს". იგივე ლოგიკა გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო დახმარების სისტემების მიმართ. სწორედ ამიტომ, რომ ევროკავშირის GSP+ სქემა* საქართველოსა და 14 დანარჩენი ბენეფიციარი ქვეყნისგან საერთაშორისო შრომის, სოციალური და გარემოდაცვითი კონვენციების სრულ იმპლემენტაციას მოითხოვს.

არსებობს ასევე სხვა, ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნისგან მთელ რიგ სფეროებში ძალზე მკაცრი წესების დანერგვას "მოითხოვს". კერძოდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესების, პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტებისა და რეგლამენტების საკითხებთან დაკავშირებით. ამ მოთხოვნის მიზანია მოქალაქეთა ინტერესების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა. ქვეყნები, რომელთაც აღნიშნულ სფეროებში მარეგულირებელი კონტროლის მაღალი დონე გააჩნიათ, დაბალი უვნებლობისა და უსაფრთხოების სტანდარტების მქონე ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტს არ დაუშვებენ. სტანდარტების ამაღლებისთვის მოწოდებული კანონმდებლობის შემოღება ასევე მოითხოვს ხარისხისა და შესაბამისობის შეფასების, სერტიფიცირების ადეკვატური სისტემის დანერგვას. შესაბამისობის შეფასების ურთიერთაღიარება ქვეყნებს შორის ვაჭრობის წახალისების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

* GSP (Generalised System of Preferences) წარმოადგენს სატარიფო შეღავათების სისტემას, რომლითაც განვითარებული სახელმწიფოები ეხმარებიან განვითარებად ქვეყნებს მათი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაში.

მარეგულირებელი ჩარჩოს დაახლოების ყველაზე ამბიციური და საინტერესო პროცესი ევროკავშირის გაფართოების ბოლო ტალღის დროს ევროკომისიის თეთრი წიგნის რეკომენდაციის შესაბამისად მიმდინარეობდა. კანდიდატ სახელმწიფოებს ევალებოდათ ევროკავშირის შიდა ბაზრის კანონმდებლობის 100 პროცენტით გადმოტანა თავის საკანონმდებლო სივრცეში. რა შედეგებს ვარაუდობდნენ მაშინ ამ ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით? ეს საკითხი კარგად გააშუქა პიტერ ჰოლმსმა: “ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების გაწევრიანების წინა ეტაპზე რეგულატორული დაახლოების პროცესი ამ ქვეყნებში არსებული, ევროკავშირის ბაზრებზე გასული ექსპორტიორებისთვის არ გაზრდის შესაძლებლობებს, რადგანაც მათი პროდუქცია (მომსახურება) ისედაც შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს. სამაგიეროდ სხვა კომპანიებს, რომლებიც იძულებულნი გახდებიან დააკმაყოფილონ ევროკავშირის მარეგულირებელ პრინციპებთან თავსებადი სტანდარტები გაუჩნდებათ ახალი სტიმული და შესაძლებლობები, რათა თავიანთი პროდუქტი გაიტანონ ევროკავშირის შიდა ბაზარზე, რაც ამ ქვეყნებიდან ევროკავშირში ექსპორტიორთა რაოდენობრივ ზრდაში აისახება [3, გვ. 146-163].

საქართველოს კონტექსტი

როგორც ცნობილია, საქართველომ 2006 წლის 24 თებერვალს მიღებული მთავრობის დადგენილების [4] შესაბამისად ცალმხრივად აღიარა იმ ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრები არიან. ამით რა თქმა უნდა, საგრძნობლად გადავიდა აღნიშნული ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტი საქართველოში. მაგრამ ეს მხოლოდ ცალმხრივი “ქესტია” და იგი არ უწყობს ხელს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტს სხვა სახელმწიფოებში. საერთოდ, ეს კონცეპტუალური დავის საგანია, თუ რამდენად სასარგებლოა არასატარიფო ბარიერების გამარტივების ცალმხრივი პრაქტიკა, რადგანაც ასეთ ზომებს ქვეყნები, როგორც წესი, ვაჭრობის საგნად იყენებენ და, მათგან ურთიერთსარგებლის მიღებას ცდილობენ.

1996 წელს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების პირველი მნიშვნელოვანი მცდელობა იყო. შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი GATT-ის* დებულებებიდან იღებს სათავეს. შეთანხმება არ იძლევა არავითარ დაპირებას თანამშრომლობის ან ინტეგრაციის უფრო მაღალი დონის თაობაზე. მაგრამ, ამავე დროს, შეთანხმების კარგად ცნობილი 43-ე მუხლი (საკანონმდებლო დაახლოება) მიზანად ისახავს საქართველოში ევროკავშირის შიდა ბაზართან გარკვეულწილად თავსებადი საკანონმდებლო გარემოს შექმნას.

აღნიშნული მუხლი ევროკავშირის Acquis-ით მოცული სფეროების მხოლოდ ნაწილს ასახავს და მისი სათანადოდ განხორციელება ქვეყანაში ევროკავშირის შიდა ბაზრის წესებსა და სტანდარტებთან დაახლოების საკმარისად მაღალ დონეს უზრუნველყოფს. ამ მუხლის განხორციელება შექმნიდა თანამშრომლობისა და ურთიერთგაცვლის საუკეთესო პირობებსა და ბუნებრივად გააჩენდა უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ სწრაფვის ტენდენციას. ევროკავშირის მიერ ასეთი სახის დებულებების ჩართვა შეთანხმებაში უთუოდ მიანიშნებს ევროკავშირის ფარულ მისწრაფებაზე უფრო ღრმა ურთიერთობებისკენ, ვიდრე ამას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს.

ინტეგრაციის სხვადასხვა მოდელები

ევროკავშირთან თანდათანობითი დაახლოების გზები შეიძლება სხვადასხვა ქვეყნებთან მისი თანამშრომლობის მოდელებზე დაკვირვებით გაანალიზდეს.

ისეთ ქვეყნებთან, როგორც საქართველოა, ვაჭრობაში ევროკავშირს გააჩნია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. ეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი რეჟიმის ანალოგია. მარეგულირებელი დაახლოების არსებული დაბალი დონის პირობებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროპის კავშირთან მისი მთლიანი ვაჭრობის 25 პროცენტს აღწევს. ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვაში კი საქართველოს წილი 0.07 პროცენტზე დაბალია. ევროკავშირის წილმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 70-პროცენტიან დონესაც რომ მიაღწიოს, ევროკავშირისთვის იგი მაინც უმნიშვნელო პარტნიორად დარჩება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ GSP+ საქართველოსთვის არ არის “სამუდამოდ ნაჩუქარი”. მას გააუქმებენ, როგორც კი ქვეყანა ეკონომიკურ სიძნელეებს დააღწევს თავს. სრულიად ბუნებრივია, რომ დღეს საქართველოს უფრო სჭირდება ევროპის კავშირთან ინტეგრაცია, ვიდრე ევროპის კავშირს საქართველოსთან. მაგრამ ვითარება შეიცვლება, თუკი საქართველო მიაღწევს ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრ გაუმჯობესებას და შეძლებს ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას. ამდენად, საჭიროა, რომ საქართველომ ერთდროულად გაზარდოს თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების დონე.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული კონტექსტი. შავი ზღვის რეგიონი თანამშრომლობის სულ უფრო ფართო ასპარეზად გვევლინება. საქართველოს ინტერესებშია, რომ გაღრმავდეს რეგიონში თანამშრომლობა და მოხდეს ინსტიტუციური ევროპეიზაციის პროცესების დაჩქარება. საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში ხაზგასმითაა აღნიშნული რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობა [5, გვ. 9].

* GATT (General Agreement on Trade and Tariffs) – საერთაშორისო შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფების შესახებ (1948), რომლის საფუძველზეც მოგვიანებით (1994) ვმო შეიქმნა.

სხვა მოდელს წარმოადგენს მრავალმხრივი სავაჭრო თანამშრომლობა, რომელიც კარგად ჩანს ბარსელონის პროცესის (1995) მაგალითზე, რომლის ფარგლებში სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის ქვეყნების უმეტესობას ევროკავშირთან (და ერთმანეთთან) ასოცირებული შეთანხმებებით გათვალისწინებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს. მისი ამოქმედება ე.წ. ევრო-მედიტერანული თავისუფალი ვაჭრობის ზონის სახით სრულად 2010 წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ, ჯერჯერობით ეს თარიღი საეჭვოდ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ბრუნვა ამ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ძალზე მნიშვნელოვანია, მათი მარეგულირებელი ჩარჩოების განუვითარებლობა და შეუთავსებლობა შეუძლებელს ხდის ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას. შესაბამისად, ევროკავშირისთვის საკუთარი ბაზრის ამ ქვეყნებისთვის სრულად გახსნა ჯერჯერობით ეკონომიკურად ნაკლებად მიმზიდველია.

საბაჟო კავშირი

თურქეთის მაგალითზე შეგვიძლია დავაკვირდეთ საბაჟო კავშირის (შექმნილია მხოლოდ სამრეწველო საქონლის სფეროში) შექმნის სპეციფიკას. ევროკავშირსა და თურქეთს შორის საბაჟო კავშირი 1963 წლის ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე 1995 წელს ჩამოყალიბდა. საინტერესოა, რომ თვით ასოცირების შეთანხმება არ აკეთებს ძლიერ აქცენტს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის დაახლოებაზე, იგი ვალდებულებას აკისრებს ქვეყანას, რომ მოახდინოს ვაჭრობასთან დაკავშირებული წესების, განსაკუთრებით საბაჟო კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია ევროკავშირის მიერ მიღებულ შესაბამის რეგულაციებთან [6]. ეს იმით აიხსნება, რომ ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი ბაზარი და მისი რეგულირების ჩამოყალიბებული სისტემა, რომელმაც საბოლოო სახე 1993 წლისთვის მიიღო. მაგრამ, როდესაც 1995 წელს თანამშრომლობის საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილებით საბაჟო კავშირი ამოქმედდა, დამფუძნებელ ოქმში საკანონმდებლო დაახლოებას სპეციალური თავი მიეძღვნა, მასში მოყვანილია საკანონმდებლო დაახლოების მიმართულებები ისეთ სფეროებში, როგორცაა კონკურენციის კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა და სხვ. როგორც ევროკომისიის 1998 წლის რეგულარულ ანგარიშშია აღნიშნული თურქეთის მიერ გაწვევრიანებისთვის გაკეთებული პროგრესის შესახებ, “ევროგაერთიანების შიდა ბაზრის გარკვეული ნაწილი, მაგალითად, კომპანიების შესახებ კანონმდებლობა, მოქალაქეთა გადაადგილების თავისუფლება ან მონაცემთა დაცვა, არ ექვემდებარება საბაჟო კავშირის შესახებ გადაწყვეტილებას...” [7, გვ. 45]. საბაჟო კავშირის შესახებ შეთანხმების საგანს არც ის კანონები წარმოადგენს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტანდარტებს, ტრანსპორტს, ენერჯეტიკას ან გარემოს დაცვას ეხება. მიუხედავად ამისა, თურქეთს, როგორც ამას აღნიშნული ანგარიში გვიჩვენებს, მრავალ სფეროში უკვე ნაწილობრივ დანერგილი ჰქონდა ევროგაერთიანების სტანდარტები.

ევროპის ეკონომიკური სივრცე

ეკონომიკური თანამშრომლობის ძალზე მაღალ დონეს გვთავაზობს ევროპის ეკონომიკური სივრცე (EEA)*. მისი შექმნის შესახებ შეთანხმება ევროგაერთიანებასა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ შვიდ სახელმწიფოს შორის 1992 წელს დაიდო**. როგორც შეთანხმების პირველი მუხლი გვამცნობს: მის “მიზანს წარმოადგენს მხარეთა შორის თანასწორი კონკურენციის პირობებით, აგრეთვე ერთგვაროვანი წესების პატივისცემის საფუძველზე დამყარებული გრძელვადიანი და დაბალანსებული ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა, რომელიც მოწოდებულია ჰომოგენური ევროპის ეკონომიკური სივრცის შექმნისთვის...” [8]. აღსანიშნავია, რომ კონკურენციისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, პირველ რიგში, ისეთი ზოგადი წესების დაცვას გულისხმობს, როგორცაა კომპანიების მიერ ლომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების არდაშვება, სატრასტო შეთანხმებების, კომპანიების შერწყმისა და შემოერთების პროცესის ზედამხედველობა, სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო დანმარების და სხვა საკითხების სათანადო რეგულირება. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთლიანად მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების “ჰომოგენურობაც” პარტნიორ ქვეყნებში სამართლიანი კონკურენციისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ევროპის ეკონომიკური სივრცე არ არის საბაჟო კავშირი. მის მონაწილე ქვეყნებს შორის არსებულ თანამშრომლობის ფორმას შეიძლება “თავისუფალი ვაჭრობის ღრმა რეჟიმი” ეწოდოს. ეს მოდელი ინტეგრაციის მაღალ დონეს, ევროკავშირის ერთიან პოლიტიკაში, სხვადასხვა პროგრამებსა და სააგენტოებში მონაწილეობას გულისხმობს. ამ გაერთიანების წევრებმა ევროპის ეკონომიკური სივრცის შეთანხმების 22-ე დანართის შესაბამისად, ვალდებულება აიღეს თითქმის მთლიანად დანერგონ ევროკავშირის შიდა ბაზრის კანონმდებლობა. ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტაინი თითქმის 100 პროცენტით მიიღეს ევროკავშირის Acquis-ი. მათ მინიჭებული აქვთ “ოთხი თავისუფლება”. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სტანდარტების სრული ჰარმონიზაციის პირობებში ისინი (ქვეყნები და ევროკავშირი) მთლიანად ცნობენ ერთმანეთის შესაბამისობის შეფასების წესებს, სერტიფიკატებს, ლიცენზიებსა და ნებართვებს. ამ ქვეყნების სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან მათი მთლიანი საგარეო ვაჭრობის მოცულობის 80 პროცენტს აღწევს.

* ხელი მოეწერა 1992 წლის მაისში. ძალაშია 2004 წლის 1 იანვრიდან.
** შემდგომში ამ ასოციაციის სამი წევრი სახელმწიფო – შვედეთი, ფინეთი და ავსტრია ევროკავშირში შევიდნენ, ხოლო შვეიცარიამ კი რეფერენდუმით უარყო შეთანხმებაში მონაწილეობა. ფაქტობრივად EFTA-ს მხოლოდ სამი სახელმწიფო – ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტაინი დარჩა ევროკავშირთან შექმნილი ევროპის ეკონომიკური სივრცის მონაწილედ.

რაც შეეხება შვეიცარიას, რომელმაც რეფერენდუმით განაცხადა უარი ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებაზე, ევროკავშირთან მისი ორმხრივი შეთანხმებების ბაზა იმდენად ფართო და ღრმაა, რომ მისი ინტეგრაციის დონე ფაქტობრივად უმაღლეს წერტილს უახლოვდება. ნიშანდობლივია, რომ შვეიცარია, სულ შვიდნახევარი მილიონი მოსახლით, ევროკავშირის სიდიდით მეხუთე სავაჭრო პარტნიორია. მისი მარეგულირებელი (საკანონმდებლო) ბაზა 95 პროცენტითაა ჰარმონიზებული ევროკავშირის სატნდარტებთან. მას ევროკავშირთან ისეთი ორმხრივი შეთანხმებები აქვს გაფორმებული, როგორცაა თავისუფალი ვაჭრობის, საავიაციო ტრასპორტის, სახმელეთო ტრანსპორტის, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სახელმწიფო შესყიდვების და, ასევე, ცალკეული პროდუქციით ან ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები [9, გვ.22-42].

ერთიანი ბაზარი

ერთიანი ბაზარი – ეკონომიკური თანამშრომლობის ის ფორმაა, რომელიც ცნობილი ოთხი თავისუფლების სრული რეალიზაციის გარდა მასში გაერთიანებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილის "სუბრანაციონალიზაციას" გულისხმობს. ამგვარი ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითია ევროპის გაერთიანება (ანუ ევროკავშირის "პირველი ბურჯი"). ერთიანი ბაზრის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1957 წლის რომის ხელშეკრულებაში [10] ჩაიდო. მართალია, მისმა სახელწოდებამ – ერთიანი ბაზარი (Common Market) – სახე იცვალა და, შემდგომ, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ შეთანხმების ე.წ. კონსოლიდირებულ ვერსიებში უკვე უფრო ხშირად შიდა ბაზრად (Internal market) მოიხსენიება, მაგრამ მისი დანიშნულება იგივე რჩება, როგორც ეს აღნიშნული შეთანხმების ორიგინალური ვერსიის მეორე მუხლითაა განსაზღვრული [10, მუხლი 2].

ამავე შეთანხმების 81-102 მუხლები ერთიანი ბაზრის პირობებში თავისუფალი კონკურენციის დაცვისა და უზრუნველყოფის დებულებებს შეიცავს. აქ ნათლადაა წარმოდგენილი ერთიანი ბაზრის პირობებში ძლიერი კონკურენციული პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. საყურადღებოა, რომ საკანონმდებლო დაახლოება სწორედ დასახელებულ მუხლებშია მოქცეული და მისი აუცილებლობა სწორედ პარტნიორ ქვეყნებს შორის არასამართლიანი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული. ნიშანდობლივია, რომ კანონმდებლობის დაახლოება უკვე ისეთი ზეეროვნული ინსტიტუტის კვლევის საგანი ხდება, როგორცაა ევროკომისია, რომელიც, შეისწავლის რა სხვადასხვა წევრ ქვეყნებში არსებულ საკანონმდებლო განსხვავებებს, ატარებს კონსულტაციებს მათი აღმოფხვრის მიზნით.

შეთანხმებით დაშვებულია კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რომელიც ევროკომისიის რეკომენდაციით ევროკავშირის საბჭოს მიერ განიხილება და კონსენსუსის ან კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრის საფუძველზე მიიღება. ეს შეთანხმება, შემდგომი დამატებების შედეგად (რომელიც 1985 წლის ევროპის ერთიანი აქტის შესაბამისად შევიდა), უკვე აწესებს გაერთიანების შიდა ბაზარს. მისი ახალი 95-ე მუხლი პრაქტიკულად ამბობს 251-ე პროცედურულ მუხლზე მითითებით*, რომ ევროპის კომისიის წინადადების საფუძველზე, სოციალურ და ეკონომიკურ კომიტეტთან კონსულტაციისა და ევროპარლამენტის თანხმობისა და შესაძლო შესწორებების მიღების შემდეგ ევროკავშირის საბჭოს შეუძლია კვალიფიცირებული უმრავლესობით მიიღოს ერთიანი ბაზრის ფუქციონირებისთვის საჭირო საკანონმდებლო აქტები. აღნიშნული აქტები წევრ ქვეყნებში შიდა კანონმდებლობის მათთან აუცილებელ ჰარმონიზაციას მოითხოვს. მათი (კანონების, რეგულაციებისა და დირექტივების) იმპლემენტაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა ევროკავშირის სასამართლოს მიერ განიხილება, რომლის ვერდიქტი აუცილებელი აღსრულების ძალას ატარებს.

ეს ცვლილებები მიუთითებს იმაზე, რომ ერთიანი ბაზარი ახალი ფორმით სუბრანაციონალური ადმინისტრირების კიდევ უფრო მაღალ დონეს წარმოადგენს, ხოლო მისი გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საკანონმდებლო დაახლოების მექანიზმების უნიფიცირება.

სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობის თვალსაზრისით, ერთიანი ბაზარი ალბათ ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე მძლავრ ფორმას წარმოადგენს.

რა თქმა უნდა ეკონომიკური ინტეგრაცია უფრო მჭიდრო ურთიერთობების ფორმებსაც იცნობს მაგალითად, ეკონომიკური და მონეტარული კავშირები**, მაგრამ აქ აღვნიშნავთ აქვს უკვე პოლიტიკის კოორდინაციას, რაც ალბათ ირიბად ასევე ახდენს გავლენას ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებაზე,*** მაგრამ ნაკლებად ეხება მარეგულირებელი ჩარჩოს ჰარმონიზაციის საკითხებს.

ტრანსატლანტიკური დიალოგი

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინვესტიციების და სავაჭრო ბრუნვის დონე მაღალია იმ ქვეყნებსა და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, რომლებსაც: ა) ერთმანეთთან ინვესტიციებისა და საქონლის მოპყრობის საუკეთესო და არადისკრიმინაციული რეჟიმი აქვთ; ბ) მსგავსი წესები და სტანდარტები გააჩნიათ. ეს ბოლო თეზა იმ ლოგიკას

* იხილეთ: http://eur-lex.europa.eu/en/treaties/dat/12002E/htm/C_2002325EN.003301.htm

** იქვე, მუხლი 2.

*** მაგალითად, ერთიანი ფულადი ერთეულის შემოღებით გაცვლითი კურსების მერყეობის უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა (ავტორი).

ეყრდნობა, რომ ბიზნესი, და განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესი, ცდილობს იქ დაიმკვიდროს თავი, სადაც უფრო მეგობრული და ნაცნობი წესებია.

მსოფლიოს ორი უდიდესი კონკურენტი სავაჭრო სუბიექტი – ევროკავშირი და შეერთებული შტატები ცდილობს ასევე მოახდინოს სტანდარტების ჰარმონიზაცია [11, გვ.3]. შეერთებული შტატების სისტემა უფრო “მსუბუქია” იმ თვალსაზრისით, რომ ნაკლებად რეგულირებადია. მაგრამ იგი არ არის ადვილად შედარებადი ბაზარი, რადგანაც კონკურენციის ძალზე მკაცრი კანონმდებლობით, ინფრასტრუქტურის მაღალი დონით და დახვეწილი მოთხოვნით გამოირჩევა.

2003 წლის ოქტომბერში აშშ-ს სენატის კომიტეტის სხდომაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევრაზიის საკითხებში ჩარლზ რაისი აღნიშნავდა ეროვნული ბიზნესის გლობალური პოზიციების ინტერესებისა და ქვეყნის შიდა ბაზარზე უსაფრთხო პროდუქციის დამკვიდრებისთვის ევროკავშირთან რეგულაციურ თემებზე ტრანსატლანტიკური დიალოგის გაღრმავების აუცილებლობას, კერძოდ, ისეთი ინიციატივის მხდაჭერას, როგორცაა “კანონმდებელთა ტრანსატლანტიკური დიალოგი მარეგულირებელი პოლიტიკის საკითხებზე”. რაც შეეხება ეკონომიკური საქმიანობის ცალკეულ სექტორებს, ისეთებს, როგორცაა საავიციო მომსახურება, სურსათის წარმოება, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ნაწარმი, საავტომობილო წარმოება და სხვ. უკვე არსებობს ევროკავშირსა და აშშ-ს შორის სტანდარტების დაახლოების საკმაოდ წარმატებული პრაქტიკა.

ჰარმონიზაციის ალტერნატივა

ცნობილია, რომ “ევროკავშირის შიდა ბაზრის კანონმდებლობასთან ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოება მნიშვნელოვან დანახარჯებთანაა დაკავშირებული” [12, გვ. 14]. საქართველო არ არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფო და შეუძლია ჰარმონიზაციის დონე შეარჩიოს იმის მიხედვით, თუ რა უფრო შეესაბამება მის მიზნებს [12, გვ.22]. მარეგულირებელი ეფექტის შეფასების პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გაამარტივებდა ამ ამოცანას [13].

ბარსელონის პროცესის მონაწილე ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო დილემის არსებობა, მარეგულირებელი ჩარჩოს დაახლოების რა გზა აირჩიოს კონკრეტულმა სახელმწიფომ – მთლიანად, ეკონომიკის დარგების მარეგულირებელი სტანდარტების ჰარმონიზაცია, თუ ცალკეული ვიწრო სექტორების, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე არსებულ კომერციულ ინტერესს წარმოადგენენ.

მარეგულირებელი სისტემის დაახლოებამ ისეთ სფეროში, რომელიც ქვეყნისთვის ფარდობითი უპირატესობის ნიშნის მატარებელია (მაგალითად, გადამუშავებული აგრარული პროდუქცია, ევროკავშირში ყველაზე “ჩაკეტილი” დარგი), სერიოზული მუშაობის შედეგად შესაძლოა რეალური გახადოს აღნიშნული დარგის პროდუქციის ევროკავშირის შიდა ბაზარზე შეღწევის პერსპექტივა. ქართული ღვინის ბიზნესის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის დამაბრკოლებელ ძირითად ფაქტორს არა საბაჟო განაკვეთი, არამედ არასატარიფო ბარიერები წარმოადგენს – გეოგრაფიული დასახელებები, სტანდარტები, შესაბამისობის შეფასება ან სერტიფიცირების ცნობა. ამ პრობლემების გადალახვა შესაძლებელს გახდოდა ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს ღვინის იმპორტის საგრძნობლად გაზრდას.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ესპ) საქართველოს სთავაზობს შესაძლებლობას, ევროკავშირთან უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები განავითაროს, ვიდრე ეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებითაა გათვალისწინებული [14, გვ.5]. ესპ – როგორც პოლიტიკური ჩარჩო, არა მარტო პარტნიორობისა და თანამშრომლობის, არამედ ასოცირებული შეთანხმების ფარგლებსაც კი სცდება და ქვეყანას ევროპის ერთიან ბაზარში სთავაზობს გაერთიანებას.

სამეზობლო პოლიტიკის ფორმატი

ევროკომისიის 2006 წლის დეკემბერის “მიმართვაში”, რომელიც ესპ-ს მიღწევებსა და სამომავლო პერსპექტივებს მიმოიხილავს გაკეთებულია მნიშვნელოვანი განცხადება იმის თაობაზე, რომ “ორმხრივი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი უნდა მოიცავდეს მთელ სამრეწველო საქონელს, შესაძლო ასიმეტრიის დაცვით, სადაც ამის საჭიროება არსებობს”. ამავ დროს ევროკომისია სთავაზობს ქვეყნებს საქონლისა და მომსახურების სფეროში თავისუფალი ვაჭრობის არა მარტივ ფორმას, არამედ ე.წ. ღრმა თავისუფალ ვაჭრობას, რაც “საზღვრებს მიღმა” საკითხებსაც მოიცავს და არასატარიფო ბარიერების მოხსნასა და შესაბამისად, მარეგულირებელი ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილის კონვერგენციას გულისხმობს. “მიმართვაში” მითითებულია ის კონკრეტული სფეროები, რომელთა თანდათანობითი ჰარმონიზაცია აუცილებელია ვაჭრობისა და ინტეგრაციის ახალ დონეზე აყვანისთვის.

ამ პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, რეფორმის ძირითად სამიზნეებს საბაჟო, სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის სისტემების, ასევე ვეტერინარული და ფიტოსანიტარული, სურსათის უვნებლობის სტანდარტები, საქონლის წარმოშობის სერტიფიცირების პროცედურები წარმოადგენენ. ერთობ მნიშვნელოვნად არის მიჩნეული აგრეთვე კონკურენციის დაცვის პოლიტიკა. ევროკომისია აქვე მიაჩნებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, საგადასახადო სფეროს მართვის, მეწარმეობის შესახებ კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვებისა და ფინანსური მომსახურების სფეროებში საკანონმდებლო რეფორმების აუცილებლობაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ევროპის კავშირთან პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ვაჭრობის განვითარებას [15, გვ.4, 5]. რეფორმის წარმატება გავლენას მოახდენს

აგრეთვე ევროკავშირის ინსტიტუტებზე, რათა საქართველოსთან უფრო ხელსაყრელი, გახსნილი სავაჭრო რეჟიმი დამყარდეს. გახსნილობა შესაძლებელია თანმიმდევრულად განხორციელდეს სპეციფიკურ სექტორებში, იქ, სადაც მეტი ორმხრივი ინტერესი და მეტად დაახლოებული სტანდარტებია.

ინტეგრაციის “ამბიცია”

2007 წლიდან საქართველო და ევროკავშირი ერთობლივად მუშაობენ შეთანხმებული სამოქმედო გეგმის განხორციელებლად. ამ გეგმით გათვალისწინებულია ევროკავშირის მიერ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესაქმნელად არსებული შესაძლებლობების და მზადყოფნის შესახებ კვლევის ჩატარება. აღნიშნულ კვლევას ევროკომისიის დაკვეთით უკვე ატარებს ერთ-ერთი ევროპული საკონსულტაციო კომპანია. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, თუ რა შესაძლებლობები და პერსპექტივები აქვს ჩვენს სავაჭრო ურთიერთობებს. უკრაინაში ჩატარებულმა ანალოგიურმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქვეყანა ჯერ მთლიანად მზად არ არის, მაგრამ დიდი პოტენციალი აქვს იმისთვის, რათა ევროკავშირთან ე.წ. ღრმა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გააფორმოს. რაც მთავარია, ეკონომიკური სარგებელი ასეთი სახის შეთანხმებიდან ორივე მხარეს ექნება.

სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციას როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში, ევროკავშირი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზრის დაახლოებასა და კონვერგენციასთან კავშირში განიხილავს. ამის დასტურია ევროკომისიის 2007 წლის 14 აპრილის მიმართვა, რომელშიც შავი ზღვის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების განვითარება ევროკავშირთან სამოქმედო გეგმების საფუძველზე ასეა წამოდგენილი: “ესპ-ს სამოქმედო გეგმის სავაჭრო-ეკონომიკური დებულებების, კერძოდ კი, ვაჭრობასთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონული ვაჭრობის განვითარებასა და ინტეგრაციას [16, გვ.7]. ევროკომისია ასევე ხაზს უსვამს, რომ “...ღრმა თავისუფალი ვაჭრობა, მისი სირთული-სა და ამბიციურობიდან* გამომდინარე, ზოგიერთი ქვეყნისთვის საშუალო**”, ხოლო სხვებისთვის გრძელვადიან პერსპექტივას წარმოადგენს. მოლაპარაკებების დაწყებამდე ევროკავშირმა მხედველობაში უნდა იქონიოს ქვეყნის ამბიცია და მის მიერ მომავალი შეთანხმების განხორციელებისა და დაცვის შესაძლებლობები” [15, გვ. 5] შესაბამისად, ევროპის კავშირთან მოლაპარაკებების დაწყებამდე.

მნიშვნელოვანია, ქვეყანაში და განსაკუთრებით, მთავრობაში პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა არა მარტო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შექმნის აუცილებლობის, არამედ ყველა ზემოქანითვლილ სფეროში შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების შესახებ.

დასასრულს, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის წარმატება, საზოგადოდ, ისეთ კერძო მაგალითებზეა დამოკიდებული, როგორცაა საქართველოს, უკრაინის ან მაროკოს მაგალითი. ევროკავშირი ამ პოლიტიკას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ზღვარს გააველებს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც წარმატებით ასრულებენ სამოქმედო გეგმით ნაკისრ ვალდებულებებს და, მეორე მხრივ, რომლებიც არ უთმობენ მას სათანადო ყურადღებას. ჩვენი მიზანია, რაც შეძლება მეტი დახმარება და მხარდაჭერა მივიღოთ დასახული მიზნის მისაღწევად.

გამოყენებული წყაროები:

1. Introduction, *EU-Georgia Action Plan*, p. 2. Available at: http://ec.europa.eu/world/enp/documents_en.htm
2. Scharpf, F., *Governing in Europe*, Oxford, 1998.
3. Holmes, P., Smith, A. and Young, A. R., *Regulatory Convergence between the European Union and Central and Eastern Europe*, Baden-Baden: Nomos, 1998, pp. 146-163.
4. “საქართველოს მიერ ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესების შესახებ”, *საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის დადგენილება N45*.
5. EU-Georgia Action Plan. Available at: http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf
6. Accord créant une association entre la Communauté économique européenne et la Turquie - Protocole N 1 : protocole provisoire - Protocole N 2 : protocole financier - Acte final – Déclarations. Available at: [http://eurlex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexplus!prod!CELEXnumdoc&lg=fr&numdoc=21964A1229\(01\)](http://eurlex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexplus!prod!CELEXnumdoc&lg=fr&numdoc=21964A1229(01))

* ეღვარდ ბესტი განმარტავს ტერმინს “Integrative ambition” თავისუფალი ვაჭრობის ზონაში მონაწილეობასთან მიმართებაში, როგორც აღნიშნული რეჟიმის მოცვის არეალისა და სიღრმის ხედვასა და მიღწევის სურვილს. მისივე დახასიათებით ასეთი ამბიციების პირველი დონე მოიცავს პრეფერენციული სექტორული, ორმხრივი (რეცაპროკული) ნაწილობრივი ინტეგრაციის ან ცალმხრივი (არარეცაპროკული) ინტეგრაციის ფორმებს. თვით კლასიკური თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი შეიძლება ფარავდეს მთლიანად მრეწველობის სფეროს ან საერთოდ ყველა შესაძლო სფეროს. ასევე საბაჟო კავშირები ან ერთიანი ბაზრებიც შესაძლოა სფეროების ჩართვის განსხვავებული ინტენსივობით გამოირჩეოდნენ (17, გვ.55).

** როგორც ვიცით, უკრაინასთან უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები ასეთი რეჟიმის დამყარებისთვის.

7. Regular Report from the Commission on Turkey's progress towards accession. Available at: http://ec.europa.eu/enlargement/archives/pdf/key_documents/1998/turkey_en.pdf
8. EEA Agreement. Available at: http://secretariat.efta.int/Web/EuropeanEconomicArea/EEAAgreement/EEAAgreement/EEA_Agreement.pdf
9. Vahl, M. and Grolimund, N., *Integration without Membership*, CEPS, Brussels, 2004.
10. Treaty establishing the European Economic Community. Available at: http://en.wikisource.org/wiki/The_Treaty_establishing_the_European_Economic_Community_%28EEC%29
11. Ries, C. P., Principal Deputy Assistant Secretary for European and Eurasian Affairs, *Statement to the Senate Foreign Relations Committee*, Oversight of Foreign Assistance Programs - Europe Eurasia, US Department of State, Washington, DC.
12. Shumylo, O., Ukraine and the European Neighbourhood Policy: Ensuring the Free Movement of Goods and Services, *CEPS Working Document*, No. 240, March 2006.
13. Improving Policy Instrument through Impact Assessment, CCNM/SIGMA/PUMA(2001)1, OECD, 13 September, 2001.
14. *Communication from the European Commission to the European Council and the European Parliament: European Neighbourhood Policy Strategy Paper*, Brussels, 12 May 2004, COM(2004) 373 final.
15. *Communication from the European Commission to the European Council and the European Parliament: Strengthening the European Neighbourhood Policy*, Brussels, 4 December 2006, COM(2006) 726 final.
16. *Communication from the European Commission to the European Council and the European Parliament: Black Sea Synergy: A New Regional Co-operation Initiative*, Brussels, 11 April 2007, COM(2007) 160 final.
17. Best, E., *Capacities for Regional Integration: A conceptual Framework for Comparative Analysis* (Free trade agreements and customs unions), EIPA, 1997.